პერიოდიკა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 დეკემბერი პარასკევი 2013
№298 (14 214) ფასი 80 თეთრი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


საქართველოს სუპერთასი

22 დეკემბერი. მიხეილ მესხი

დინამო (თბილისი)
ჩიხურა (საჩხერე)

პირდაპირი რეპორტაჟი 17:00 პირველ არხზე


# კონფლიქტი



მარჯვნიდან: გურამ კაშია და გიორგი ჭანტურია როდასთან მატჩის შემდეგ

## ვიტესის მწვრთნელმა გურამ კაშიას შეურაცხყოფა მიაყენა

18 დეკემბერს ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერი არნემის „ვიტესი" ქვეყნის თასის გათამაშებას მერვედფინალიდან დაემშვიდობა - „როდასთან" 1:3 წააგო. მატჩის შემდეგ გაცოფებული იყო გუნდის თავკაცი **პეტერ ბოში**, რომელმაც ვერ მოითმინა და FOX Sports-ის კამერების წინ ძალიან ცუდად ილაპარაკა „ვიტესის" კაპიტან **გურამ კაშიაზე**:

*„კაშია ამბობს, „ვიტესს" ენერგია არ ჰქონდა. ნაგავი სიტუაციაა - თუკი ფეხბურთელს კვირაში სამჯერ ენერგიულად თამაში არ შეუძლია, სხვა პროფესია უნდა მოძებნოს".*

აქვე გეტყვით, რომ ბოშის ფრაზიდან უხმაწური სიტყვები ამოვიღეთ...

*„გუნდმა საშინლად ითამაშა, დაბალ დონეზე, „როდამ" კი გამარჯვება დაიმსახურა"*, - ესეც ბოშის სიტყვებია.

მოკლედ, „ვიტესის" თავკაცმა, სათასო მარცხის გამო, ჯოხი კაშიაზე გადატეხა. ისმის კითხვა - ხომ არ არის ეს დაკავშირებული კლუბიდან **მერაბ ჟორდანიას** წასვლასთან? გადაჭრით ძნელია რაიმეს თქმა, მაგრამ ფაქტია - ამ ბოლო დროს გუნდში **ვალერი ყაზაიშვილისა** და **გიორგი ჭანტურიას** პოზიციები მკვეთრად შეირყა. მაგალითად, „როდასთან" ხსენებულ მატჩში ჭანტურია სასტარტოში მხოლოდ **მაიკ ჰავენაარის** დისკვალიფიკაციის გამო მოხვდა.

სხვათა შორის, ჭანტურიამ პირველი ტაიმის ბოლოს ბურთი ხარიხას მოარტყა. მოგვიანებით კი **ვან აანჰოლტმა** ანგარიში სწორედ ქართველის საგოლე პასის წყალობით გაათანაბრა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## უილშირის ორი მატჩი ერთი თითის გამო



5-9
მსოფლიო ფეხბურთი

## ზამთარი დინამოსია



მერანი-დინამო 0:2

ფოტო: fcdinamo.ge

ვიტ ჯორჯიას ექვსეულის შანსი გაუჩნდა 2,4

შაბათობით! ლელო week

ეროვნული ბიბლიოთეკა

19.12. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 600 მაყურებელი

მერანი 0

დინამო (თბ) 2

0:1 მერებაშვილი (24. ჩისკოს პასით), 0:2 გლიშიჩი (72)

| მერანი 4-4-2 | დინამო 4-3-3 |
|---|---|
| შეროზია | ლორია |
| მელიავა | ხურცილავა |
| ლ. ღონღაძე | გ. კვარაცხელია |
| გაბუნია | გველესიანი |
| გ. ხუბუა | კვირკველია |
| გეგეჭკორი | ხმალაძე |
| კერძევაძე | პაპავა |
| ციკოლია | მერებაშვილი |
| ფონიავა | გოგა |
| ბაბუნაშვილი | ჩისკო |
| კუჭუხიძე | დვალი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| კ. ჩხეტიანი | მ.ყვანია |

**მერანი**

72. ციკოლია - **გ. ხუბუა**
78. გეგეჭკორი - **ჯღამაია**
84. ბაბუნაშვილი - **აშორტია**

*სათადარიგოები: ხარშილაძე, ქარქუზაშვილი, გეგია, ქათამაძე*

**დინამო**

70. მერებაშვილი - **გლიშიჩი**
80. ჩისკო - **ვუო**
84. გოგა - **სეთურიძე**

*სათადარიგოები: ზარქუა, ლექვთაძე, შაშიაშვილი, პაპუნაშვილი*

გაფრთხილება: კერძევაძე (6), მელიავა (29), მერებაშვილი (29), ხურცილავა (36), დვალი (53), ხმალაძე (60)

არბიტრი: ა. ბასლეპლო

# ყვანიას ფაქტორი და ღირსეული ჩემპიონი



ანგარიში გიორგი მერებაშვილმა გახსნა ფოტო: www.fcdinamo.ge

**მალხაზ ყვანია** 7 წლის განმავლობაში თავკაცობდა „მერანს". მის სახელს (კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად) უკავშირდება გუნდის უმაღლეს ლიგაში ალზევება და საკუთარი ხელწერის შექმნა, რომელსაც არაერთი ხმაურიანი გამარჯვებაც მოჰყვა, მათ შორის - თბილისის „დინამოსთანაც"...

თბილისელთა მთავარი მწვრთნელის რანგში ყვანია პირველად დაუპირისპირდა მშობლიურ კლუბს, საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა მოწინააღმდეგე და ზამთრის ჩემპიონიც გახდა...

სატურნირო მდგომარეობიდან და ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, დედაქალაქელები წყვილის უპირობო ფავორიტად მიიჩნეოდნენ, მაგრამ მაინც იყო ვარაუდი, რომ მასპინძლები სტუმრებს სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევდნენ. ეს ვარაუდი მეტ-ნაკლებად გამართლდა...

დინამოელებმა სწრაფ გოლზე გააკეთეს აქცენტი და მეტოქეს თავიდანვე შეუტიეს. ყრუ დაცვაში არც „მერანი" მჯდარა. ისინი სწრაფი კონტრიერიშებით ცდილობდნენ შეტევაში რაიმე ლირებულის შექმნას. მატჩის დებიუტში ორივე გუნდიდან ყველაზე გამორჩეული - ესპანელი ლეგიონერი **ჩისკო** იყო, რომელიც მცველებს დაძაბულობაში ამყოფებდა და კარშიც სახიფათოდ ურტყამდა.

თავდაპირველად გუნდებმა მომენტები გაცვალეს - ჯერ **დვალის** შორეული დარტყმა გამოდგა არაზუსტი, მოგვიანებით კი **გეგეჭკორს** უმტყუნა მიზანმა. ამას **ბაბუნაშვილის** სახიფათო კუთხური მოჰყვა, თუმცა **გაბუნიამ** ბურთს თავი ააცილა. სტუმრებმა ასე თუ ისე სწრაფი გოლის გატანა მაინც მოახერხეს - ჩისკოს გადაცემით **მერებაშვილი** გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე და თავისიანები დააწინაურა.

მასპინძლები ამ ფაქტს არ დაუბნევია. **კუჭუხიძეს** ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, თუმცა მის მცდელობას წინ **ლორია** აღუდგა. მოგვიანებით, გატანა შეეძლო ჩისკოსაც, თუმცა ამჯერად **შეროზიამ** ითამაშა საუცხოოდ.

პირველი ტაიმის დარჩენილი დრო საშუალო ტემპში გაგრძელდა. ბრძოლა ძირითადად მოედნის ცენტრალურ ნაწილში მიმდინარეობდა. შესვენების შემდეგ კი „მერანმა" მეტოქეს მწვავედ შეუტია და რამდენიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდიც შექმნა. ბაბუნაშვილმა შესანიშნავი გადაცემით **ციკოლია** მოძებნა, ამ უკანასკნელის დარტყმულზე კი სტუმართა მეკარემ მყისიერი რეაქცია გამოავლინა. მე-60 წუთზე დვალს ზედიზედ ორჯერ შეეძლო გატანა - პირველ შემთხვევაში, ბურთი კარს მცირე მანძილით აიცილა, შემდეგ კი შეროზიას ვერ აჯობა.

72-ე წუთზე სტუმრებმა მაინც იხეირეს - შეცვლაზე შესულმა **გლიშიჩმა** მეკარისაგან მარცხენა დაბალ კუთხეში დაარტყა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 0:2.

შეხვედრის დასრულებამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი, მაგრამ „მერანმა" მოწინააღმდეგეს განსაკუთრებული ხიფათი ვერ შეუქმნა. „დინამომ" ლოგიკური და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

ვთქვათ ისიც, რომ მატჩის შემდეგ მარტვილელმა გულშემატკივრებმა მალხაზ ყვანიას ოვაციები მოუწყვეს. კიდევ ერთხელ გადაუხადეს მადლობა და სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვეს.

**მატჩის შემდეგ**

მალხაზ ყვანია (დინამო): **„მერანის" ამჟამინდელი შემადგენლობა, ფაქტობრივად, ჩემი დაკომპლექტებულია და თავიდანვე ვიცოდი, რომ რთული მატჩი გველოდა. ვარაუდი გამართლდა და საკმაოდ მძიმე თამაშის მომსწრენი გავხდით. ბიჭებმა იბრძოლეს, რამაც შედეგი გამოიღო. აქვე, მინდა, მადლობა გადავუხადო მარტვილელ გულშემატკივრებს, მათ თანადგომასა და მხარდაჭერას დღესაც ვგრძნობ. „მერანს" კი წარმატებებს ვუსურვებ".**

კახა ჩხეტიანი (მერანი): **„პირველ ნახევარში ერთი შეცდომა დავუშვით და, სამწუხაროდ, დავისაჯეთ კიდეც. გუნდმა მთლიანობაში ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. ზამთრის შესვენებას ნაყოფიერად გამოვიყენებთ და ამ რთული სიტუაციიდან აუცილებლად გამოვალთ".**

**ბესიკ გვაზავა**
სამტრედიიდან

19.12. რუსთავი. ფოლადი. 100 მაყურებელი

სპარტაკი 0

დილა 0

| სპარტაკი 4-3-2-1 | დილა 4-3-2-1 |
|---|---|
| ნადირაძე | შეყრილაძე |
| ჯაფოძე | ღონღაძე |
| მგელაძე | კვახაძე |
| კილასონია | ო. ხიზანეიშვილი |
| ა. ხიზანეიშვილი | გ. გურული |
| შონია | დ. ბოლქვაძე |
| კვეკვესკირი | ი. მაისურაძე |
| თექთურმანიძე | აბურჯანია |
| ჩაფიძე | დოლიძე |
| ცერცვაძე | ფილიევი |
| მეტრეველი | მოდებაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| კ. კაჭარავა | რ. სოლოღაშვილი |

**სპარტაკი**

70. ცერცვაძე - **გაძოევი**
90. თექთურმანიძე - **ბურძენაძე**

*სათადარიგო: ნანიევი, მეგრელიშვილი, ქურდაძე, მაქაცარია, გელაშვილი*

**დილა**

46. აბურჯანია - **სადალაშვილი**
81. ფილიევი - **ახალკაცი**

*სათადარიგო: ლეგაშვილი, გორელიშვილი, აფხაზავა, გაფრინდაშვილი, გოგინაშვილი*

გაფრთხილება: კვახაძე (51), მეტრეველი (51), ჭაფოძე (85)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

# ფოლადზე ფოლადის დაცვით

შეხვედრა რუსთავში გაიმართა და ნომინალურ მასპინძელ ცხინვალის „სპარტაკს სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, გამარჯვება მართებდა ძლიერ მეტოქესთან - ცხრილის ქვევით ისეთი სიტუაციაა, რომ „სპარტაკის" გარდა, „ზუგდიდიც" და „მერანიც" შლეგად იბრძვიან ქულების მოსაწაგრებლად.

„დილას" სულ სხვა ამოცანები აქვს, ზედა ექვსეულში ადგილი ჯერაც არ დაუბევებია, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, გორელები ექვსეულში დარჩებიან და ევროსაგზურისთვისაც იბრძოლებენ.

გუშინ „დილამ" საკმაოდ ბევრი სახიფათო იერიში განახორციელა. რასაც აშკარა საგოლე მომენტი ჰქვია, ასეთი შანსიც გაანიავა. „სპარტაკი" მაგრად იდგა, კონცენტრაცია წამითაც არ დაუკარგავს და ნოყიერ ქულასაც გამორჩა.

**...ოთარ ხიზანეიშვილმა** საჯარიმო დარტყმით განიზრახა გოლის გატანა, კარგადაც გადაავლო ბურთი „ცოცხალ კედელს", მაგრამ დარტყმას ოდნავ დააკლდა სიზუსტე.

...და აშკარა საგოლე მომენტიც: **გრიგოლ დოლიძემ** მარჯვენიდან ჩააწოდა, **გიორგი აბურჯანია** ყველაზე მაღლა ახტა და მისი ლონიერი თავური ძელმა აისხლიტა.

ტაიმის მიწურულს, გორელთა სწრაფი კომბინაციის შემდეგ, დოლიძე მარჯვენიდან შეიჭრა „სპარტაკის" საჯარიმოში, კუთხე მახვილი იყო და დარტყმას კარის გასწვრივ ჩაწოდება ამჯობინა - ბურთის კარში გადაგზავნა ვერავინ მოახერხა.

„სპარტაკი" ყრუ დაცვაში როდი იჯდა, როგორც კი შესაძლებლობა გაუჩნდებოდა, შეტევაში გადადიოდა, თუმცა **კახა კაჭარავას** გუნდის იერიშებს ჯანი აკლდა.

შესვენების შემდეგ, სურათი არ შეცვლილა: „დილა" მეტწილად შეტევაზე ფიქრობდა, „სპარტაკი" - დაცვაზე.

ალსანიშნავია **ბოლქვაძე-დოლიძე-ბოლქვაძის** მოხდენილი კომბინაცია, რომლის შემდეგაც ბოლქვაძე დასარტყმელ პოზიციაზე კი აღმოჩნდა, თუმცა „სპარტაკის" ერთ-ერთმა მცველმა ბურთი კარისკენ არ გაუშვა.

ხიზანეიშვილმა ხელმეორედაც სცადა ჯარიმიდან ბურთის ბადეში გახვევა და კვლავ ოდნავ დააკლდა სიზუსტე.

მოგვიანებით, შეტევაში ჩართულმა **თემურ ლონლაძემ** 17-18 მეტრიდან დაარტყა ძლიერად, მაგრამ ბურთი კარს აიცილა.

**ირაკლი მოდებაძემ** კარგად დაამუშავა ბურთი, კორპუსი ისე ჩადგა, მცველი ჩამოიცილა - „დილას" ცენტრფორვარდის დარტყმაც არაზუსტი გამოდგა.

ასე იყო საქმე რუსთავის „ფოლადზე", სადაც ფოლადისებურმა დაცვამ ნულებს ვერაფერი შემატა.

**დავით თავართქილაძე**
რუსთავი-თბილისი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 18 | 13 | 3 | 2 | 42 | 13 | 42 |
| 2 | ჩიხურა | 18 | 10 | 5 | 3 | 35 | 22 | 35 |
| 3 | დილა | 18 | 7 | 7 | 4 | 23 | 15 | 28 |
| 4 | სიონი | 18 | 7 | 6 | 5 | 22 | 19 | 27 |
| 5 | გურია | 18 | 9 | 0 | 9 | 20 | 25 | 27 |
| 6 | მეტალურგი | 18 | 7 | 5 | 6 | 23 | 23 | 26 |
| 7 | ზესტაფონი | 17 | 7 | 4 | 6 | 19 | 15 | 25 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 18 | 7 | 4 | 7 | 25 | 23 | 25 |
| 9 | ტორპედო | 18 | 6 | 4 | 8 | 19 | 24 | 22 |
| 10 | სპარტაკი | 17 | 4 | 2 | 11 | 13 | 24 | 14 |
| 11 | ზუგდიდი | 18 | 3 | 5 | 10 | 8 | 24 | 14 |
| 12 | მერანი | 18 | 4 | 1 | 13 | 14 | 36 | 13 |

*ცხრილი მომზადებულია www.gff.ge-ს მიხედვით*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დ. ტატანაშვილი (ჩიხურა) | 12 |
| ი. მოდებაძე (დილა) | 9 |
| დ. გოგა (დინამო (თბ) | 9 |
| ჩისკო (დინამო თბ) | 8 |

**2014 წ.**

**XIX ტური**

**22 თებერვალი. შაბათი**

სპარტაკი-ჩიხურა
დილა-გურია
ზესტაფონი-ზუგდიდი
მეტალურგი –ვიტ ჯორჯია
ტორპედო-მერანი
დინამო-სიონი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის თანამშრომლებს ნარგიზა და კესარია ჩხიკვაძეებს დედის გარდაცვალების გამო.

„ბავშვთა სახალისო ფეხბურთის ლია სკოლების საქართველოს ფილიალი" სამძიმარს უცხადებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომლებს ნარგიზა და კესარია ჩხიკვაძეებს დედის გარდაცვალების გამო.

**ბენდელას თასი**

# ტურნირი ქვეყნის მასშტაბით!

მალე აფხაზეთში გმირულად დაღუპული **ზაზა ბენდელიანის** სახელობის თასის 23-ე გათამაშება დაიწყება. ტურნირი „საბურთალოს", სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდება.

ტრადიციული გათამაშება უფროსებსა და პატარებში გაიმართება, ხოლო 2014 წლის იანვარ-თებერვალში კი უმაღლესი ლიგის გუნდების თამაშებს სხვადასხვა ქალაქი უმასპინძლებს.

2002 წელს დაბადებულ ბავშვებში მატჩები 24-30 დეკემბერს, „ბენდელას" სტადიონზე გაიმართება. წილისყრამ გუნდები შემდეგნაირად გადაანაწილა: A ჯგუფი: **საბურთალო, დინამოს აკადემია 2, კასპი (განთიადი), ომც-ავაზა.** B ჯგუფი: **დინამოს აკადემია, საბურთალო 2, ივერიონი (თბილისი), ბაქსვუდი (თბილისი).**

რაც შეეხებათ უფროსებს: 25-26 და 27 დეკემბერს გაიმართება მოყვარულთა, ლეგიონერთა და ვეტერანთა ტურნირი. მატჩები იოსებიძის ქუჩაზე მდებარე „საბურთალოს" მოედნებზე გაიმართება. 19 იანვრიდან 20 თებერვლამდე კი საქართველოს მასშტაბით (ქობულეთი, ურეკი, სამტრედია, ქუთაისი, ზესტაფონი, გორი, მცხეთა, რუსთავი, თბილისის „დინამოსა" და „საბურთალოს" ბაზები) ჩატარდება „ბენდელას თასის" დასკვნითი ეტაპი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მონაწილეობით. შესაძლებელია, მათ ჩვენს ქვეყანაში შეკრებაზე მყოფი რამდენიმე უცხოური კლუბიც დაემატოს.

და ბოლოს - ალსანიშნავია, რომ მალე გლდანში, „ამერის" ყოფილ სტადიონზე, „საბურთალოს" ახალი ბაზა გაიხსნება. განახლებულია მთავარი და მცირე ზომის მოედნები, რომელსაც ქართული ფეხბურთის ლეგენდის, **რამაზ შენგელიას** სახელი მიენიჭა.

**მერაბ მამულაშვილი**

**სალერის თასი**

# ფინალი ატლეტიკომ და საბურთალომ დაიბევეს

მადრიდის „ატლეტიკო" და „საბურთალო" „სალერის თასის" ფინალში გავიდნენ. ესპანელებმა ჰაიფას „მაქაბი" 2:0 დაამარცხეს და ორ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი (6) დააგროვეს.

„საბურთალომ" იოლად სძლია დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" (3:0) და „სალერის თასის" გათამაშების ფინალში თამაშის უფლება ასევე ვადაზე ადრე მოიპოვა. **თემურ შალამბერიძის** განვრთნილებს მეტოქის კარის აღება ბევრჯერ შეეძლოთ, მაგრამ მხოლოდ სამი გოლით დაკმაყოფილდნენ. თავი **გაგი მარგველაშვილმა, გურამ გოშთელიანმა** და **ირაკლი რუხაძემ** გამოიჩინეს. ალსანიშნავია, რომ უკვე 30-ე წუთისთვის ანგარიში 2:0 იყო.

დარჩენილ დღეებში „საბურთალო" „ატლეტიკოს" ორჯერ შეხვდება: დღეს - ჯგუფის შეხვედრაში, 22 დეკემბერს კი - ფინალურ მატჩში. ტურნირის რეგლამენტიდან გამომდინარე, ჯგუფური მატჩების დასრულების შემდეგ პირველ-მეორე ადგილებზე გასული კლუბები ფინალში ხვდებიან ერთმანეთს. მათი ვინაობა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე გარკვეულია.

ალსანიშნავია, რომ ქართული და უკრაინული გუნდების თამაშს ლოჟიდან თვალს ინგლისის „ლივერპულის" სკაუტი ადევნებდა, რომელიც საგანგებოდ ამ ტურნირზე დასასწრებად გვესტუმრა...

დღეს კი III ტურის მატჩებია: 12 საათზე „დნიპრო" „მაქაბის" დაუპირისპირდება, ხოლო 16 საათზე „საბურთალო" „ატლეტიკოს" შეერკინება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ფონდი ნატახტარის“ დახმარებით 11 მზრუნველობამოკლებული მოზარდი დასაქმდა

კომპანია „ნატახტარის“ მიერ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერების კუთხით შექმნილი ფონდი „ნატახტარი“, 2012 წლიდან ახორციელებს პროექტს „იზრუნე მომავალზე“ საქართველოს საპატრიარქოსა და „ასოციაცია ჩვენი სახლი - საქართველოსთან“ ერთად, რომლის უმთავრესი მიზანია მზრუნველობამოკლებული მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ადაპტაციის მაქსიმალური ხელშეწყობა. ერთი სიტყვით, „ნატახტარის ლიმონათის“ გაყიდვებიდან შემოსული თანხებით ეს კომპანია მთელი საქართველოს მასშტაბით 15-დან 18 წლამდე 150 მოზარდს ეხმარება, რომ მათ მიიღონ პროფესიული და ზოგადი განათლება, დასაქმდნენ და შეძლონ დამოუკიდებელი ცხოვრება სახელმწიფოს დახმარების გარეშე.

„ჩვენი მიზანია, რომ რაც შეიძლება მეტმა მოზარდმა შეძლოს დამოუკიდებელი ცხოვრება და არ გაუჭირდეს საზოგადოებაში ინტეგრაცია. ამის საუკეთესო საშუალება კი მათთვის პროფესიული ცოდნის მიცემა და დასაქმებაა. დასაქმებული მოზარდი ჩვენთვის დახურული, ანუ წარმატებული პროექტი და ქეისია. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ მოზარდები ფსიქოლოგიურად და პროფესიულად მზად იყვნენ სამსახურის დასაწყებად და შესანარჩუნებლად“ - აცხადებს კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი, თორნიკე ნიკოლაიშვილი.

„ფონდი ნატახტარის“ მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში მოზარდებს, თავიანთი ინტერესების შესაბამისად, საშუალება ეძლევათ დაეუფლონ ხელობას. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს დახურული ქეისებიდან სამი ბენეფიციარი შესწავლილი ხელობით დასაქმდა. მათგან ორი - სალონში სტილისტად, ხოლო ერთი - სასტუმროში ელექტრიკოსად მუშაობს. 2013 წლის დახურული ქეისებიდან ფონდს რვა დასაქმებული ჰყავს. ორი ბენეფიციარი მალაზიაში მუშაობს, ერთი - ავტოპროფილაქტიკაში, ერთი - სალონში, ერთი - პურის საცხობში, ერთი - ეკოლოგიური დაცვის სამსახურში, ერთი - კაფეში და ერთიც რესტორანში.

სამი ბენეფიციარი, ვინც ფონდის ფარგლებში მართვის მოწმობის მოსამზადებელი კურსები გაიარა, „კარიტასისა“ და World Vision-ის დახმარებით დასაქმდა. „ფონდი ნატახტარის“ მიმდინარე ქეისებშიც არის 12 დროებით დასაქმებული ბენეფიციარი. მოზარდები ამჟამად გამოსაცდელი ვადით იმყოფებიან სამსახურში და ამიტომ მათი ქეისები ჯერ დახურულად არ ითვლება.

## „ფონდი ნატახტარის“ ფსიქოლოგიური სამსახურის როლი

ფონდი „ნატახტარის“ ფსიქოლოგიური სამსახური, რომელსაც კოორდინაციას უწევს „ასოციაცია ჩვენი სახლი - საქართველო“, ჩამოყალიბდა 2012 წლის დასაწყისში და მას შემდეგ ემსახურება მზრუნველობამოკლებულ (ძირითადად, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ) მოზარდებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების პროცესში.

ჩვენ ამ სამსახურის ხელმძღვანელს, ასოციაციის წარმომადგენელს, მანანა ომარაშვილს გავესაუბრეთ: „ვიდრე ფსიქოლოგიური სამსახურის კონცეფცია დაიწერებოდა, დაისვა კითხვა: რას ნიშნავს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოზარდის მომზადება? სპეციალისტების ნაწილი ფიქრობს, რომ მიზნად უნდა დავისახოთ მზრუნველობამოკლებული მოზარდებისთვის მხოლოდ მინიმალური ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების სწავლება და რომ არ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ ისინი დიდ წარმატებებს მიაღწევენ დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე, რადგან მათი უმრავლესობა სწავლაში ჩამორჩება თანატოლებს და ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემებიც უხვად აქვთ. ჩვენ რადიკალურად არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას და მთავარ მიზნად დავისახეთ ისეთი პროგრამის შემუშავება, რომელიც დაეხმარება 18 წლის მოზარდს სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ, ღირსეული კონკურენცია გაუწიოს მატერიალურად უზრუნველყოფილ, მზრუნველ ოჯახებში გაზრდილ ბავშვებს დამოუკიდებელ ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრების პროცესში. დამეთანხმებით, რთული ამოცანაა, მაგრამ სულ რამდენიმე წელში გვიჩვენებს მიღწეული შედეგები, რომ არ ვცდებით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ყველაზე მნიშვნელოვანია ბენეფიციართა ასაკის თანდათანობით დაწევა. ჩვენ შევძელით და 1 წელიწადში ასაკი დავწიეთ 16-დან 15 წლამდე. რაც უფრო შემცირდება ასაკი, მით უფრო ახლოს მივალთ მიზანთან, რადგან გაცილებით ადვილია ფსიქო-სოციალურ პრობლემებთან მუშაობა მცირე ასაკში. 15-16 წლის მოზარდის პიროვნული თვისებები კი თითქმის ჩამოყალიბებულია, მატრავმირებელი წარსულიც უფრო ხანგრძლივია. გარდა ამისა, ბავშვზე ზრუნვის რეფორმის წყალობით დღეს დიდი ბავშვთა სახლები აღარ არის საქართველოში და მათი ჩანაცვლება მოხდა მცირე საოჯახო ტიპის სახლებით, სადაც ბავშვებზე ინდივიდუალური ზრუნვა ხორციელდება და გაცილებით უკეთესი გარემოა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მათი მომზადების თვალსაზრისით. ამ მხრივ, ბევრს შრომობენ სახელწიფო სოციალური მუშაკები და აღმზრდელები“.



## და მაინც, რას ნიშნავს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოზარდის მომზადება?

„შევხვდით სპეციალისტებისგან შემდგარ ფოკუს ჯგუფებს და მივმართეთ მათ კითხვით: „წარმოიდგინეთ, რომ თქვენი შვილი გახდა უკვე 18 წლის და მიდის სახლიდან, რა სჭირდება მას იმისთვის, რომ დამოუკიდებლად ცხოვრება შეძლოს?“ ჩამონათვალის სია იმდენად გრძელი იყო, დაწყებული თვითმოვლის ჩვევებიდან და კომუნიკაციის უნარიდან დამთავრებული ბინით და სამსახურით, რომ ერთ-ერთმა მონაწილემ გვითხრა: ამდენი რამე არ ექნება ჩემს შვილს 18 წლის ასაკში და ამიტომ დაეტიოს სახლში და ისევ მშობლები მივხედავთო. აქვე დავსვით მეორე კითხვა: „მაშინ რა ქნას მოზარდმა, რომელიც მცირე საოჯახო ტიპის სახლში ცხოვრობს და გახდება თუ არა 18 წლის, იძულებულია დატოვოს სახელმწიფო ზრუნვის სისტემა, რადგან ის ვაუჩერით აღარ ფინანსდება? როგორ დაიწყოს დამოუკიდებლად ცხოვრება?“

სწორედ ამიტომ ჩვენი პროგრამა გათვლილია მაქსიმუმზე: უმაღლესი განათლება, ბინის დაქირავება, სტიპენდია, ხელობის შესწავლა, ახალ გარემოსთან ადაპტაციაში დახმარება, სამუშაო იარაღების შეძენა, ჯანსაღი ცხოვრების სტილის პოპულარიზაცია, ემოციური ინტელექტის, კომუნიკაციის უნარების განვითარება, ასერტული ქცევის სწავლება, თვითშეფასების ამაღლება... პროგრამას ახორციელებს 10 პროფესიონალი ფსიქოლოგი მთელი საქართველოს მასშტაბით. მინდა მადლობა გადავუხადო მათ განსაკუთრებული გარჯისთვის და სიამოვნებით გავაგრძელებთ მათთან ერთად მუშაობას ჩვენ მიერ დასახული რთული ამოცანის დასაძლევად, მით უმეტეს რომ დღეისათვის ჩვენ უკვე გვყავს 5 სტუდენტი, 20-ზე მეტი დასაქმებული, 8 აბიტურიენტი, სხვადასხვა კოლეჯის 50-ზე მეტი მოსწავლე, რა მაჩვენებლებიც მომავალში, ჩვენი მოლოდინით და ფონდის დახმარებით, უნდა გაიზარდოს და გაუმჯობესდეს“.

®



# ვეტერინარული შტორმი

19.12. მცხეთა. მცხეთა პარკი. 400 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 5**

**ტორპედო 0**

1:0 კუხალეიშვილი (ნ. მაისურაძის პასით), 2:0 ჯანელიძე (41), 3:0 ე. ლობჯანიძე (75. წყაროზიას პასით), 4:0 ნ. იაშვილი (82. ჯანელიძის პასით), 5:0 ნ. სიჭინავა (87. ლობჯანიძის პასით)

| ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 | ტორპედო 4-2-3-1 |
|---|---|
| დაუშვილი | მ. ქვილითაია |
| გეთიაშვილი | ჯანტურია |
| ადამაძე | სანდოხაძე |
| კასრაძე | ზ. ჭელიძე |
| მჭედლიშვილი | მთივლიშვილი |
| წყაროზია | ცინცაძე |
| ნ. მაისურაძე | გიგაური |
| კორიფაძე | გ. გოროზია |
| ჯანელიძე | კუხიანიძე |
| სიჭინავა | ფირცხალავა |
| კუხალეიშვილი | ბარაბაძე |
| მწვრთნელი ზ. ბერიძე | მწვრთნელი ჟ. სარაგოსა |

**ვიტ ჯორჯია**

42. მჭედლიშვილი - **იაშვილი**
55. კუხალეიშვილი - **ლობჯანიძე**
63. კორიფაძე - **ლიზრაძე**

*სათადარიგო: ჩალიგავა, დავლაშელიძე, პავლიაშვილი, ხვისტანი*

**ტორპედო**

20. ზ. ჭელიძე - **გაბაძე**
60. ფირცხალავა - **კაპანაძე**
79. გოროზია - **ფანცულაია**

*სათადარიგოები: მიქავა, უბილავა, ჯიქია, მარკოზაშვილი*

გაფრთხილება: მაისურაძე (70), ლიზრაძე (78), ფირცხალავა (39)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

ახლახან, ქუთაისში დიდთოვლობა იყო, გუშინ კი „ტორპედოს" „ვეტერინარულმა შტორმმა" გადაუარა. „ვიტ ჯორჯიამ" სეზონის საშემოდგომო ნაწილი ორი ჩინებული გამარჯვებით დაასრულა. **ზურაბ ბერიძის** განვრთნილებმა ჯერ თბილისის „დინამო" დაამარცხეს მისსავე მოედანზე, გუშინ კი სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარეს და ქუთაისის „ტორპედო" 5:0 გაანადგურეს.

აშკარა იყო, წინა ტურში „დინამოსთან" გამარჯვებამ, „ვიტ ჯორჯიას" საკუთარი ძალების რწმენა შემატა და მეტოქეს თამამად შეუტია. მასპინძლებმა პირველივე ხეირიანი შეტევით ანგარიში გახსნეს. **ნიკა მაისურაძის** მშვენიერი გადაცემით **ლევან კუხალეიშვილი** მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩა და ზუსტად დაარტყა - 1:0.

მალე, ანგარიშის გაზრდა შეეძლო **გიორგი ჯანელიძეს**, რომლის საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი ხარიხას მოხვდა. ქუთაისელები პირველ ტაიმში აქტიურები კი იყვნენ, მაგრამ ქაოსურად თამაშობდნენ და მეტოქის კართან მიახლოება უჭირდათ. ერთი მომენტის გახსენება შეიძლება - ფლანგური გადაცემის შემდეგ თავის გამოჩენის შანსი **რევაზ ბარაბაძეს** ჰქონდა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

ტაიმის მიწურულს „ვიტ ჯორჯიამ" მეორედაც გაიტანა. **აკაკი წყაროზია** მარცხენა ფლანგიდან ქუთაისელთა საჯარიმოში დრიბლინგით შეიჭრა და ბურთი თავისიანს გადააწოდა. ქუთაისელთა მცველმა გადაცემა კი ჩაჭრა, მაგრამ ჯანელიძემ აართვა ბურთი და ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყა - 2:0.

მეორე ტაიმი ქუთაისელებმა აქტიურად დაიწყეს და დიდი ძალებით სცადეს ანგარიშის შემცირება. ამით კი მასპინძლებმა ისარგებლეს და მეტოქე სამჯერ გამოიჭირეს კონტრშეტევაზე. „ტორპედო" საკუთარ თავს არ ჰგავდა, ჯანელიძე და კომპანია კი მოედანზე ყველაფერს აკეთებდა, რაც მოესურვებოდა - სწრაფად, აზრიანად და მწვავედ უტევდა.

75-ე წუთზე წყაროზიამ საჯარიმოში **ელგუჯა ლობჯანიძე** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მან კი მეკარეს ახლო კუთხეში დაურტყა - 3:0.

გავიდა რამდენიმე წუთი და მარცხენა ფლანგზე გაქცეულ **იაშვილს** ჯანელიძემ გამჭოლი გადაცემა გაუკეთა, ვიტელთა მარცხენა მცველმა კი მეტოქე ცრუ მოძრაობით ჩამოიცილა და მახვილი კუთხიდან შორეულ „ცხრიანში" ულამაზესი გოლი გაიტანა - 4:0.

საბოლოო წერტილი კი **ნიკა სიჭინავამ** დასვა. აღსანიშნავია ლობჯანიძის კარგი თამაში - მან ბურთისთვის ბოლომდე იბრძოლა, მცველს საჯარიმოში აართვა და საჯარიმოსკენ დაძრული თანაგუნდელი შენიშნა - სიჭინავამ დარტყმაში მთელი სული და გული ჩააქსოვა, ანგარიში კი 5:0 გახდა.

შეხვედრამ გაორებული გრძნობა დაგვიტოვა. ერთი მხრივ, როგორც იქნა, „ვიტ ჯორჯია" ათამაშდა და მშვენიერი ფეხბურთიც აჩვენა. მეორე მხრივ კი, დასანანია (და გაუგებარიც) „ტორპედოს" ასეთი ჩავარდნა - რა დაემართა გუნდს, რომელიც სეზონის დასაწყისში ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებდა?!



ფოტო: www.fctorpedo.ge

**მერაბ მამულაშვილი**

# ...მარცხი აღარ იციან

19.12. გორი. თ. ბურჯანაძე. 300 მაყურებელი

**ჩიხურა 1**

**სიონი 1**

1:0 რეხვიაშვილი (47), 1:1 განუგრავა (80)

| ჩიხურა 4-2-3-1 | სიონი 5-4-1 |
|---|---|
| სომხიშვილი | ბათიაშვილი |
| ოდიკაძე | ფოფხაძე |
| ლ. ჭელიძე | სვანიძე |
| რეხვიაშვილი | ქემოკლიძე |
| კაშია | აბრამიძე |
| ბეჟვაია | იმედაშვილი |
| ლომაშვილი | ზ. ლობჯანიძე |
| დეკანოიძე | გოგობერიშვილი |
| ქიმაძე | განუგრავა |
| ნ. კვასხვაძე | კახელიშვილი |
| ტატანაშვილი | ახალაია |
| მწვრთნელი ს. ფრუიძე | მწვრთნელი ლ. ბურდული |

**ჩიხურა**

78. კვასხვაძე - **ჩიკვაიძე**
80. ჭელიძე - **გაგედავა**

*სათადარიგოები: თევდორაძე, ივანიშვილი, გოგატიშვილი, ნადირაძე, დემეტრაშვილი*

**სიონი**

46. ახალაია - **პარუნაშვილი**
51. ქემოკლიძე - **მიკუჩაძე**
70. ფოფხაძე - **უგულავა**

*სათადარიგოები: მერლანი, ცხადაია, ხუჭუა, ბიბილეიშვილი*

გაფრთხილება: დეკანოიძე (79)

გაძევება: რეხვიაშვილი (86)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

საჩხერის „ჩიხურასა" და ბოლნისის „სიონის" გორულ დაპირისპირებაში ორი განსხვავებული ტაიმი იხილა მაყურებელმა. პირველმა ნახევარმა ორივე გუნდისთვის თითქმის უხიფათოდ ჩაიარა. ბურთი ძირითადად საჯარიმოდან საჯარიმომდე მოძრაობდა, ფეხბურთელები მატჩის მიმდინარეობის გასაკონტროლებლად არჩეული ტაქტიკური სქემების მიხედვით მოქმედებდნენ.

ეგრეთ წოდებულ პირველ ნომრად თამაში „ჩიხურამ" გადაწყვიტა, ხოლო მინდორზე 5 მცველით გამოსული „სიონი" მეტი ყურადღებით საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა, ბურთის მოპოვების შემთხვევაში კი საჩხერელთა კარის მიმართულებით სწრაფი იერიშების განხორციელებას ცდილობდა.

„ჩიხურას" მიერ წამოწყებული კომბინაციები მოედნის ცენტრშივე აწყდებოდა ბოლნისელთა მიერ კარგად გამაგრებულ ზღუდეებს. ამის გამო, იმერლები ხშირად მიმართავდნენ გრძელი პასის ტაქტიკას.

ყველაზე აღსანიშნავი ხიფათი საწყის ნახევარ საათში **კახელიშვილის** კუთხურის შემდეგ **იმედაშვილის** დარტყმული აღმოჩნდა, რომლის აღებაც **სომხიშვილმა** გაჭირვებით შეძლო. მანვე, ცოტა ხანში **განუგრავას** აუღო ათიოდ მეტრიდან დარტყმული. „ჩიხურა" შესვენებაზე ისე გავიდა, გარკვეული ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, ქვემოქართლელთა გოლკიპერი დიდად არ შეუწუხებია.

მართალია, სტუმრები ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ, მაგრამ **ლადო ბურდული**, როგორც ჩანს, მისი გუნდის შეტევითმა პოტენციალმა არ დააკმაყოფილა და გამოკვეთილი თავდამსხმელი შეცვალა. თუმცა მატჩის განახლებიდან ერთ წუთში „ჩიხურამ" პირველივე კუთხური გოლად აქცია - შეტევაში ჩართულმა ცენტრალურმა მცველმა **რეხვიაშვილმა** თავით გადაგზავნა ბურთი **ბათიაშვილის** კარში - 1:0.

ორიოდ წუთში, ჯერ კიდევ გოლის ეიფორიიდან გამოსვლამდე, **ოდიკაძის** შორეული დარტყმით **სოსო ფრუიძის** შეგირდებმა ანგარიშში სხვაობა კინაღამ გაზარდეს. იქვე, ბურდულმა, მოედანზე შექმნილი ვითარების შესაცვლელად, მცველი **ქემოკლიძე** შემტევი **მიკუჩაძით** შეცვალა...

გოლის მერე თამაში „გახურდა" - „სიონმა" სისწრაფეს მოუმატა, „ჩიხურას" კი თავდაჯერება შეეტყო და ვინაიდან მეტოქემ აქცენტი შეტევაზე გადაიტანა, ბოლნისელთა ნახევარზე ბურთით თავისუფლად მოქმედების საშუალებაც მიეცათ. ორმხრივი იერიშებისას, ორივე კართან იყო სახიფათო შორეული დარტყმები - ჯერ რეხვიაშვილმა გაარტყა ხარიხას, **გოგობერიშვილს** კი სომხიშვილმა აუღო.

დარჩენილი 20 წუთისთვის, „სიონის" მწვრთნელმა მინდორზე კიდევ ერთი შემტევი (**უგულავა**) შეუშვა. ფინიშის მოახლოებასთან ერთად, საჩხერელთა მოქმედებაში თავდაჯერებამ იმატა, ამასთან, ისინი იერიშებში უკვე შედარებით მცირე ძალებით გადადიოდნენ, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე გოლი მაინც მიიღეს - **განუგრავას** მიერ ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ასცდა ყველას და სომხიშვილის კარში შეგორდა - 1:1.

მალე „ჩიხურა" მსაჯის გადაწყვეტილებამ გაალიზიანა. არბიტრმა **ლევან კვარაცხელიამ, აბრამიძესთან** ორთაბრძოლაში რეხვიაშვილის თამაში ზედმეტად უხეშად მიიჩნია და გვერდით მსაჯთან კონსულტაციის შემდეგ, გასახდელისკენ მიუთითა. საფინალო სასტვენის წინ ბოლნისელებს კაცნაკლული მეტოქის ძლევის საშუალებაც მიეცათ, მაგრამ სომხიშვილი ისევ საიმედოდ ირჯებოდა. მან ამჯერად მასთან პირისპირ გასულ უგულავას არ გაატანინა.

საზავო შედეგი არც ერთი გუნდისთვის ურიგო არ უნდა იყოს. ნიშანდობლივია, რომ ორივე კლუბს ოქტომბრის შემდეგ არ წაუგია. საჩხერელებმა წაუგებელი სერია 9, ხოლო ბოლნისელებმა 8 მატჩამდე გაზარდეს. შედეგად, „ჩიხურა" მყარად დამკვიდრდა მეორე ადგილზე, „სიონს" კი სამეულში შესვლის შანსიც კი მიეცა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

იუბილე

# ბათუმის დინამო 90 წლისაა

ჟურნალისტი და პუბლიცისტი **ალექსანდრე ქურდობაძე** საფეხბურთო სამყაროში ცნობილი პიროვნებაა. ის ქართული საფეხბურთო ენციკლოპედიის გამოცემაზე მუშაობს. სწორედ მის მიერ მოპოვებული მასალებით გაირკვა, რომ ქართული ფეხბურთის აკვანი სამ ქალაქში - თბილისში, ბათუმსა და ფოთში დაირწა. ბათუმის პირველ გუნდს სათამაშო ადგილის, ცივი დაბის მიხედვით „ხოლოდნო-სლობოდსკაია" ერქვა. ის 1912 წელს შეიქმნა. შემდეგი გუნდი ჩეხმა მასწავლებელმა კოუბამ დააფუძნა. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა შემდეგ ბათუმის „დინამო", რომელსაც დღეს, 20 დეკემბერს, დაარსებიდან 90 წელი უსრულდება. კლუბის სპორტული დირექტორის **მალხაზ მახარაძის** თქმით, ამ დღის აღსანიშნავად საზეიმო ღონისძიებები იგეგმება.

*„უპირველესად, ბათუმელ და ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს ვულოცავ ამ დღეს. ბათუმის „დინამო" მხოლოდ ჩვენი სიხარული არ არის, ის ზოგადად ქართველი გულშემატკივრისთვის ბევრს ნიშნავს და ამიტომ, იუბილეს საზეიმოდ აღნიშვნა გადავწყვიტეთ. შევეცადეთ, არ გამოგვრჩენოდა არც ერთი ის ადამიანი, ვისაც გუნდის და ქართული ფეხბურთის წინაშე დამსახურება მიუძღვის - ისინი 20 დეკემბერს, ბათუმის ოპერის თეატრში, საზეიმო ღონისძიებაზე მოვიწვიეთ. დავაჯილდოებთ დამსახურებულ ადამიანებს. 1983 წელს გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველ ლიგაში გადავიდა, 1998 წელს კი საქართველოს თასი მოიპოვა. ცხადია, სხვა წლებშიც გვყავდა დამსახურებული ხალხი და ვეცდებით, არც ერთი მათგანის დამსახურება არ გამოგვრჩეს"*, - ამბობს მახარაძე.

იყო ლაპარაკი, თითქოს ამ დღის აღსანიშნავად ამხანაგური მატჩი გაიმართებოდა, მაგრამ ის სხვა ღონისძიებამ ჩაანაცვლა: *„გადავწყვიტეთ, 2000 წელს დაბადებულ ბავშვთა საერთაშორისო ტურნირი ჩავატაროთ. ბათუმისა და ქობულეთის გუნდების გარდა, მოვიწვიეთ აზერბაიჯანის გუნდი, „გალათასარაისა" და დონეცკის „შახტარის" ბავშვები. ვეცდებით, ეს ტურნირი ტრადიციული გახდეს"*.

მახარაძემ სხვა სიახლეებზეც გვიამბო: *„გვერდში გვიდგას მერია, საკრებულო და აჭარის მთავრობა, დაფინანსებისა და ინფრასტრუქტურის პრობლემებს ნელ-ნელა გვიგვარებენ. ანგისას ბაზა ერთი წლის წინათ გადმოგვცეს, მისი მოწყობა მალე დაიწყება. აშენდება 3-4 ათას მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა, გუნდმა რომ ივარჯიშოს და ითამაშოს. ეს ყველაფერი პირველ ლიგაში გამოსვლის დროს ვერ მოესწრება, მაგრამ ორი სავარჯიშო მოედანი, გასახდელები და დამხმარე ოთახები მაისამდე მოეწყობა. მთავარი ის არის, რომ საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძვრება. ჩვენი ტრადიციიდან და ტიტულებიდან გამომდინარე, სირცხვილია, ბათუმის „დინამო" უმაღლეს ლიგაში არ თამაშობდეს. ჩვენ გაცილებით მეტი ამბიცია გვაქვს. მერე კი ბაზაზე კლუბის საფეხბურთო აკადემიის დაფუძნებასაც ვაპირებთ"*.

მახარაძე დაფინანსების თემასაც შეეხო: *„2013 წელს კლუბის ბიუჯეტი 1.37 მილიონი ლარი იყო. ზუსტად ჯერ ვერ ვიტყვი, რა ბიუჯეტი გვექნება 2014 წელს, მაგრამ მინიმუმ შარშანდელ ოდენობას მაინც შევინარჩუნებთ. ბათუმში სტადიონზე დიდი მოთხოვნაა, ხალხს ჩვენი ქალაქი ამის გარეშე ვერ წარმოუდგენია. მანამდე კი მადლობა რეზო ჩელებაძესა და ქობულეთს, გვერდში რომ გვიდგანან და ვარჯიშსა და თამაშებში რომ გვეხმარებიან"*.

**მერაბ მამულაშვილი**

ქველმოქმედება

# გადავარჩინოთ ახალგაზრდა კაცი!

26 დეკემბერს, 14 საათზე, „არენაზე" (ყოფილი სკა-ს დარბაზი) ბევრი ცნობილი ფეხბურთელი (**ლევან ცქიტიშვილი, გიორგი დემეტრაძე, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, ალექსანდრე იაშვილი** და სხვები) შეიკრიბება და ბურთს გააგორებს. ფუტსალის ნაკრები **კახა ახალაძის** მეგობრებს დაუპირისპირდება.

„ლელო" უკვე წერდა, რომ ეს საქველმოქმედო მატჩი სწორედ კახა ახალაძის დასახმარებლად გაიმართება. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ფუტსალის ეროვნული გუნდის ყოფილ წევრს მძიმე დიაგნოზი დაუსვეს. ამ ამბავმა საფეხბურთო სამყარო გააერთიანა.

*„ჩვენს ერთ თეთრსაც არ აქვს ფასი, თუ ასეთ შემთხვევაში ადამიანს გვერდში არ დავუდექით. ცხადია, მე ვითამაშებ!"* - ასეთი კომენტარი გააკეთა თურქული „ქაისერის" მცველმა **ზურაბ ხიზანიშვილმა**.

მატჩის ერთ-ერთი ორგანიზატორი ამბობს: *„კახას გვერდში უნდა დავუდგეთ. ცხადია, თანხის შეგროვება აუცილებელია. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, მან დაინახოს, თუ რამდენი ადამიანი უდგას გვერდით. ამიტომ, ყველას მოვუწოდებ, დავესწროთ 26 დეკემბერს გასამართ საქველმოქმედო მატჩს და ვაკეთოთ სიკეთე"!*

კახა ახალაძის დახმარების მსურველებს „მაგთისა" და „ბილაინის" ნომრებიდან შეუძლიათ დარეკონ 0901700083-ზე. შეიტანეთ თქვენი წვლილი ახალგაზრდა ადამიანის გადარჩენაში!!!

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XVII ტურის წინ

# ტური ბაიერნის გარეშე


გოლეადორების დუელი: მაქს კრუზეს (მარცხნივ, 8 გოლი) „გლადბახი“ ივიცა ოლიჩის (მარჯვნივ, 7 გოლი) ვოლფსბურგს დაუპირისპირდება

## 20 დეკემბერი

**აინტრახტი–აუგსბურგი 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჩელოცი, რუსი, შტენდერა - მორავეკი, ექინი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 | +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 2 თამაში: +1=0-1, (4:4)**

## 21 დეკემბერი

**ვერდერი–ლევერკუზენი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** სპაჰიჩი (ლევერკუზენი)

**ტრავმა:** შმიტცი, ჰანტი, იუნუზოვიჩი, ფ. კროოსი - ჰილბერტი, რაინარტცი, სემი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 | +4=0-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 66 თამაში: +22=27-17, (101:103)**

**ფრაიბურგი–ჰანოვერი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჰიოფლერი - ჰუსტი

**ტრავმა:** ჰედენსტადი, მუივჯა, კოკელინი, შმიდი, შუსტერი - ფელიპე, კ. შულცი, დირსენი, ფრანკა, კადა, ია კონანი

ბოლო 6 მატჩი

+2=0-4 | +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 12 თამაში: +3=4-5, (16:22)**

**ჰამბურგი–მაინცი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** შლიშკოვიჩი (მაინცი)

**ტრავმა:** ადლერი, დიკმაიერი, რაიკოვიჩი, ვესტერმანი, დემირბაი - მათენია, ჰ. მიულერი, ბუნგერტი, ფათი, კოხი, ბაუმგარტლინგერი, დ. შაჰინი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 | +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 4 თამაში: +6=5-3, (16:13)**

**ბრაუნშვაიგი–ჰოფენჰაიმი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** რაიხელი, მ. კალიჯური, ჰოხშაიდტი - ვიზე, თესკერი, სასი, ვუკჩევიჩი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 | +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

**არ უთამაშიათ**

**ნიურნბერგი–შალკე 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** პოგატეცი (ნიურნბერგი)

**ტრავმა:** მარკოს ანტონიო, გებჰარტი, შტარკი - აოგო, ჰიოვედესი, ანანი, დრაქსლერი, ჰიოგერი, ჰუნტელაარი

ბოლო 6 მატჩი

+0=3-3 | +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 52 თამაში: +15=13-24, (54:75)**

## 22 დეკემბერი

**გლადბახი–ვოლფსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ალვარო დომინგესი - პოლაკი, ტრეში, ვიეირინია

ბოლო 6 მატჩი

+5=1-0 | +4=2-0

ურთიერთშეხვედრები

**სულ 26 თამაში: +8=3-15, (31:45)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 16 | 14 | 2 | 0 | 42-8 | 44 |
| 2. ლევერკუზენი | 16 | 12 | 1 | 3 | 32-15 | 37 |
| 3. დორტმუნდი | 16 | 10 | 2 | 4 | 37-18 | 32 |
| 4. გლადბახი | 16 | 10 | 2 | 4 | 33-17 | 32 |
| 5. ვოლფსბურგი | 16 | 9 | 2 | 5 | 26-17 | 29 |
| 6. შალკე | 16 | 8 | 3 | 5 | 32-28 | 27 |
| 7. ჰერთა | 16 | 7 | 4 | 5 | 25-19 | 25 |
| 8. აუგსბურგი | 16 | 7 | 2 | 7 | 20-24 | 23 |
| 9. მაინცი | 16 | 6 | 3 | 7 | 22-29 | 21 |
| 10. შტუტგარტი | 16 | 5 | 4 | 7 | 29-31 | 19 |
| 11. ჰოფენჰაიმი | 16 | 4 | 6 | 6 | 36-37 | 18 |
| 12. ჰანოვერი | 16 | 5 | 3 | 8 | 22-29 | 18 |
| 13. ჰამბურგი | 16 | 4 | 4 | 8 | 31-35 | 16 |
| 14. ვერდერი | 16 | 4 | 4 | 8 | 21-37 | 16 |
| 15. აინტრახტი | 16 | 3 | 5 | 8 | 19-28 | 14 |
| 16. ფრაიბურგი | 16 | 2 | 5 | 9 | 14-30 | 11 |
| 17. ნიურნბერგი | 16 | 0 | 10 | 6 | 17-33 | 10 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 16 | 2 | 2 | 12 | 9-32 | 8 |

**ბომბარდირები:** 11 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი); 10 - მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი), ადრიან რამოსი (ჰერთა); 9 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი), ვედად იბიშევიჩი (შტუტგარტი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), პიერ-მიშელ ლასოგა (ჰამბურგი).

დღეს, ხვალ და ზეგ ბუნდესლიგა დაძაბული მატჩებით 2013 წელს უკანასკნელად გაგვანებივრებს. პირველი წრის ბოლო, მე-17 ტური მიუნხენის „ბაიერნის“ გარეშე ჩატარდება - ბავარიელები მაროკოში მსოფლიოს თასისთვის იბრძვიან. თუმცა, უბაიერნობა ამ ტურში თითქმის არაფერს შეცვლის - რეკორდმაისტერმა შემოდგომის ჩემპიონობა უკვე გაინაღდა. ყველაზე საინტერესო, ლოგიკურად „დორტმუნდისა“ და „ჰერტას“, ასევე „გლადბახისა“ და „ვოლფსბურგის“ დუელები უნდა გამოვიდეს. „ნიურნბერგი“ „შალკეს“ ხვდება და არაფრით არ უნდა, რომ მიმდინარე სეზონის პირველი წრე გამარჯვების გარეშე დაასრულოს.

„დორტმუნდმა“ ბუნდესლიგის ბოლო 5 შეხვედრაში მხოლოდ 4 ქულას მოუყარა თავი და ცხადია, რომ იურგენ კლოპის შეგირდებს 2013 წლის დასრულება მხოლოდ გამარჯვებით სურთ. თუმცა მეტოქე „ჰერტა“ ხელწამოსაკრავი გუნდი აღარაა, რაც ბერლინელებმა ამ სეზონში არაერთხელ დაამტკიცეს და 16 ტურის შემდეგ მე-7 ადგილზე არიან. „ბორუსიას“ მთავარი პრობლემა საგოლე მომენტების გამოყენების უჩვეულოდ დაბალი მაჩვენებელია. ბერლინელები კი დაგეგმილზე უკეთ თამაშობენ, ზედიზედ ორი მატჩი მოიგეს და ევროზონაში შესვლას ესწრაფვიან.

### რა ეშველება ვერდერის დაცვას?

ბრემენის „ვერდერს“ ზამთრის შესვენებამდე ერთი მატჩიღა დარჩა გადასაგორებელი. „მუსიკოსები“ უმძიმეს კრიზისში არიან და თუ საშობაო არდადეგებზე რამე არ მოიფიქრეს, მეორე წრეში მხოლოდ გადარჩენისთვის მოუწევთ ბრძოლა. „ვერდერმა“ ბოლო ხუთი თამაშიდან ხუთივეში ცალ-ცალკე, მინიმუმ სამი გოლი გაუშვა და მიღებული გოლების გრაფაში 37 უწერია. შავ დღეშია ბრემენელთა მეკარე **ვოლფი**, რომელმაც 3 მატჩში 14 გოლი გაუშვა. სწორედ ამ დროს უწევს „ვერდერს“ მეორეადგილოსან „ლევერკუზენთან“ ჭიდილი, თუმცა წინა ტურში „ლევერკუზენიც“ შერცხვა (0:1 „აინტრახტთან“).

რაკი „ბაიერნი“ მაროკოშია, კვირას მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართება - ბუნდესლიგის უკანასკნელი კალენდარული შეხვედრა 2013 წელს: ძალიან კარგ ფორმაში მყოფი „გლადბახი“ ასევე კარგ ფორმაში მყოფ „ვოლფსბურგს“ უმასპინძლებს. მიონხენგლადბახელებმა ბოლო 6 მატჩში 21 შესაძლოდან 19 ქულა აიღეს, „მგლებმა“ კი, იმავე პერიოდში 17 ქულას მოუყარეს თავი. შესაბამისად, ეს გუნდები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ერთმანეთის კონკურენტებად ჩამოყალიბდნენ. რაც შეეხება „ბაიერნს“: „შტუტგარტისა“ და რეკორდმაისტერის ჯახი 29 იანვრისთვის გადაიდო.

**გოტფრიდ ლენცი**

**21.12 დორტმუნდი. სიგნალ იდუნა პარკი 18:30**

**დორტმუნდი**

ბოლო 6 მატჩი

+3=3-0 | +3=3-0

ურთიერთშეხვედრები

**სულ 166 თამაში: +75=40-51 (261-226)**

**ჰერთა**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჰუმელსი, სუბოტიჩი, ს. ბენდერი, გუნდოგანი - ბურჩერტი, ბრუკსი, ჰოლანდი, ს. ლანგკამპი, ვან დერ ბერგი, ბაუმიოჰანი, ბენ-ჰატირა

ტოტენჰემი


ფრანკ დე ბური

# ახალი კანდიდატურა ტოტენჰემისთვის

**ფრანკ დე ბურით** „ტოტენჰემის“ დაინტერესებაზე პირველად „დეილი მირორი“ ალაპარაკდა და მას სხვა საინფორმაციო სააგენტოებიც აჰყვნენ. გამოცემის ინფორმაციით, პირველად 43 წლის ჰოლანდიელის სახელი „დეზების“ ტექნიკურმა დირექტორმა **ფრანკო ბალდინიმ** ახსენა. იტალიელი „აიაქსის“ მთავარი მწვრთნელისა და მისი სამწვრთნელო შტაბის მთლიანად გადაბირებას აპირებს. ჩრდილოლონდონელებს შესაძლოა დე ბურის დათანხმების კარგი შანსი ჰქონდეთ, თუმცა ფრანკის თანაშემწეთაგან ერთი, ვინც „უაით ჰართ ლეინზე“ სამუშაოდ ნამდვილად არ წავა, ჩვენი აზრით, **დენის ბერგკამპია**, ვინც სულითა და გულით „არსენალის“ ერთგულია და საყვარელი კლუბის გაწვრთნაზე ოცნებობს.

ჰოლანდიელი საფეხბურთო ექსპერტების აზრით, ფრანკ დე ბური დიდი ხანია, მზად არის ჰოლანდიის ჩემპიონატზე უფრო მაღალ დონეზე მოსინჯოს ძალები.

### თავს მოხვეული პრობლემები

„ტოტენჰემის“ დროებითი თავკაცის **ტიმ შერვუდის** ასისტენტმა **ლეს ფერდინანდმა** გულწრფელად აღიარა, რომ ზაფხულზე ერთი მხრივ, **ვილაშ ბოაშსა** და მეორე მხრივ ხელმძღვანელობას შორის სატრანსფერო საკითხებზე დიდი ჭიდაობა იყო გამართული. პორტუგალიელმა მწვრთნელმა მისთვის სასურველი ფეხბურთელების მხოლოდ ნაწილი (**კაპუ, პაულინიო, სოლდადო**) მიიღო, სამაგიეროდ, მის განკარგულებაში აღმოჩნდა მოთამაშეთა ჯგუფი (**ლამელა, ერიქსენი, კირიკეში, შადლი**), რომლის ყიდვა მას არ უთხოვია.

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● საფრანგეთი. ლიგის თასი. 1/8 ფინალი



ედისონ კავანი - პსჟ-ს გმირი

# დრამა და ტრუას ცხენი მეოთხედფინალში

**ლიონი-რეიმსი 3:2**

**გოლები:** 1:0 გომისი (58), 2:0 ლაკასეტი (60), 2:1 ონიანგი (64), 3:1 გურკუფი (81), 3:2 აიიტე (87-პენ.)

**ნიცა-სოშო 3:0**

**გოლები:** 1:0 პიეჩინოვიჩი (14), 2:0 ჟენევუა (31), 3:0 პიე (34)

**პსჟ-სენტ ეტიენი 2:1 დ.დ.**

**გოლები:** 1:0 კავანი (25), 1:1 ერდინჩი (78), 2:1 კავანი (119)

**მარსელი-ტულუზი 2:1**

**გოლები:** 1:0 მენდი (13), 2:0 ჟინიაკი (29-პენ.), 2:1 სპაიიჩი (42)

**რენი-ბორდო 1:2**

**გოლები:** 0:1 ენრიკე (50), 1:1 დუკურე (52), 1:2 ჟუსი (90-პენ.)

**ევიანი-ბასტია 2:1**

**გოლები:** 0:1 ილანი (32), 1:1 ვასი (62), 2:1 ვასი (67)

**ტრუა-ტური 3:2**

**გოლები:** 0:1 ბერგუნიუ (5), 1:1 კურტი (7), 2:1 კური (23), 2:2 ადნანი (45), 3:2 ნივე (90)

**მეოთხედფინალები**

14-15 იანვარი: **ბორდო-პსჟ; ლიონი-მარსელი; ტრუა-ევიანი; ნანტი-ნიცა.**

საფრანგეთის ლიგის თასის მერვედფინალები ძალიან უხვგოლიანი და დრამატული გამოდგა. „პარი სენ-ჟერმენი" „სენტ ეტიენს" მასპინძლობდა, რომელმაც წინა სეზონში პენალტების სერიიდან გამოთიშა ამ ტურნირიდან და საბოლოოდ მისი გამარჯვებულიც გახდა. საქმე ამჯერადაც თერთმეტმეტრიანებამდე მიდიოდა, მაგრამ **ედინსონ კავანიმ** ბოლო წამებზე ჩვეულად იფეთქა და... ურუგვაელმა 119-ე წუთზე **ჟერემი მენეზს** აქტიურობა დაუფასა და დუბლი გაიფორმა. საინტერესოა ისიც, რომ „მწვანეების" მხრიდან გოლი შეცვლაზე შემოსულმა თურქმა ფორვარდმა **მევლუდ ერდინჩმა** გაიტანა, პსჟ-ს ყოფილმა ფეხბურთელმა.

დაახლოებით ერთი საათი უგოლო მატჩს ადევნებდა თვალყურს „ჟერლანზე" მისული გულშემატკივარი, მაგრამ დარჩენილ დროში გუნდებმა ისეთი სანახაობა შემოგვთავაზეს, რომ ლოდინად ღირდა. **ალექსანდრ ლაკასეტმა** ჯერ **ბაფეტიმბი გომისს** გაატანინა, მერე თავად იხეირა და „ლიონი", რომელიც ფლობდა უპირატესობას, დამსახურებულად წინ გავიდა. **პრინს ონიანგმა** „რეიმსი" თამაშში დააბრუნა. 82-ე წუთზე კი **იოან გურკუფმა** შორიდან ძალიან ეფექტური გოლი გაიტანა და თითქოს აქ მაინც დასრულდა ყველაფერი, მაგრამ... **ფლორიდ აიიტემ** 87-ეზე პენალტით სხვაობა კვლავ მინიმუმამდე შეამცირა და ცოტა ხანში **გაეტან შარბონიეს** რომ გაეტანა მატჩი დამატებით დროში გადავიდოდა, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ **ენტონი ლოპეშმა** იყოჩაღა. „ლიონი" მეოთხედფინალშიც გავიდა და თან „ევიანზე" ჩემპიონატში წაგებული თამაშისთვისაც იძია შური.

„მარსელის" დროებითმა მწვრთნელმა **ჟოზე ანიგომ** თავისი პირველი გამარჯვება მოიპოვა გუნდთან ერთად. „ოლიმპიკმა" საკუთარ „ველოდრომზე" „ტულუზს" სძლია. სტუმრებს ერთი ბურთი თავიანთმა ყოფილმა ვარსკვლავმა **ანდრე-პიერ ჟინიაკმა** გაუტანა. შეგახსენებთ, რომ წინა გათამაშებამდე, „მარსელმა" ეს ტურნირი ზედიზედ სამჯერ მოიგო.

**მარკო რუბენმა** „ბასტიას" პენალტი ვერ შეუგდო, მას მეკარე **ჟან-ლუი ლეკამ** აჯობა. ამისთვის „ევიანი" მალევე დაისაჯა და კორსიკელები მრავალნანახი ვეტერანი ბრაზილიელის **ილანის** გოლით დაწინაურდნენ. თუმცა მეორე ტაიმში იყო დანიელი **დანიელ ვასის** დიდების 5 წუთი. მისმა წყვილმა გოლმა დაპირისპირების ბედი გადაწყვიტა. სხვათა შორის, ვასის მეორე ბურთი ძალიან ლამაზი გამოვიდა.

ბრეტონის დედაქალაქ რენში ყველაზე საძულველი ადამიანი ახლა ალბათ არბიტრი **ტონი შაპრონია**, რომელმაც 91-ე წუთზე „ბორდოს" სასარგებლოდ პენალტი დანიშნა. ჟირონდელებს მინდორზე ათიოდ წუთის გამოსულმა **ჟუსიმ** მოაგებინა. მეოთხედფინალში **ფრანსის ჟიიოს** გუნდი პსჟ-ს ხვდება და „შაბან-დელმაზე" კარგი თამაში უნდა გამოვიდეს.

ერთადერთი მერვედფინალური წყვილი, რომელშიდაც ბრძოლა უინტერესოდ და დაძაბულობის გარეშე წარიმართა და რომელშიდაც ერთმა გუნდმა მეორეს, ერთბურთიან სხვაობაზე მეტით მოუგო - „ნიცა"-„სოშო" გახლდათ. ორი ლიგა 2-ის წარმომადგენელი შეება ერთმანეთს ტრუაში. დრამის გარეშე არც იქ იყო საქმე. ოთხგოლიანი პირველი ტაიმის შემდეგ, დაძაბულმა მეორე ნახევარმა უკვე ყველა დამატებით დროს შეაგუა, როდესაც მასპინძელთა თავხოტორა ათიანმა **ბენჟამინ ნივემ** დაამტკიცა, რომ ბებერი ხარის... „ტრუა" ლიგის თასზე შემორჩენილი ეული ქვედალიგელია.

● საფრანგეთი. ლიგა 1. XIX ტურის წინ

# ყველაზე ტკბილი ლუკმა

| 20 დეკემბერი | |
|---|---|
| მონაკო-ვალანსიენი | 23:30 |
| **21 დეკემბერი** | |
| სტ. ეტიენი-ნანტი | 20:00 |
| ბასტია-მონპელიე | 23:00 |
| ნიცა-ევიანი | 23:00 |
| რეიმსი-აიაჩო | 23:00 |
| სოშო-რენი | 23:00 |
| ტულუზი-გენგამი | 23:00 |
| **22 დეკემბერი** | |
| მარსელი-ბორდო | 17:00 |
| ლორიანი-ლიონი | 20:00 |
| პსჟ-ლილი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 18 | 13 | 4 | 1 | 42-11 | 43 |
| 2. მონაკო | 18 | 12 | 5 | 1 | 30-11 | 41 |
| 3. ლილი | 18 | 12 | 3 | 3 | 20-6 | 39 |
| 4. ბორდო | 18 | 8 | 6 | 4 | 25-19 | 30 |
| 5. ნანტი | 18 | 9 | 2 | 7 | 23-15 | 29 |
| 6. მარსელი | 18 | 8 | 4 | 6 | 25-18 | 28 |
| 7. სტ. ეტიენი | 17 | 8 | 3 | 6 | 25-20 | 27 |
| 8. ლორიანი | 18 | 8 | 2 | 8 | 24-24 | 26 |
| 9. რეიმსი | 18 | 6 | 8 | 4 | 19-20 | 26 |
| 10. ლიონი | 18 | 6 | 6 | 6 | 26-25 | 24 |
| 11. ტულუზი | 18 | 6 | 6 | 6 | 20-24 | 24 |
| 12. გენგამი | 18 | 6 | 5 | 7 | 19-19 | 23 |
| 13. ბასტია | 18 | 6 | 5 | 7 | 21-26 | 23 |
| 14. რენი | 18 | 5 | 6 | 7 | 21-22 | 21 |
| 15. ნიცა | 18 | 6 | 2 | 10 | 15-24 | 20 |
| 16. ევიანი | 17 | 5 | 5 | 7 | 18-28 | 20 |
| 17. მონპელიე | 18 | 2 | 10 | 6 | 18-24 | 16 |
| 18. ვალანსიენი | 18 | 2 | 5 | 11 | 15-27 | 11 |
| 19. აიაჩო | 18 | 1 | 6 | 11 | 12-30 | 9 |
| 20. სოშო | 18 | 1 | 5 | 12 | 13-38 | 8 |

**ბომბარდირები:** 14 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 12 - ედინსონ კავანი (პსჟ); 10 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი); 9 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი), რადამელ ფალკაო (მონაკო); 8 - ემანუელ რივიერი (მონაკო), ფილიპ ჯორჯევიჩი (ნანტი).

**პირველი წრის ბოლო ტურის მატჩებით საფრანგეთის ჩემპიონატი ახალ წლამდე, კერძოდ კი 10 იანვრამდე დაგვემშვიდობება. ლიგა 1-ის მე-19 ტურში თითქმის ყველა შეხვედრას სერიოზული სატურნირო დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პირველ რიგში, ცხადია პსჟ-სა და „ლილის" დაპირისპირება უნდა გამოვარჩიოთ**

## დასაწყის-დასასრული

წლის დახურვაც ასე უნდა... ტურის ცენტრალური და ბოლო შეხვედრა, ფეხბურთის გულშემატკივრებს ტკბილ ლუკმად და ჩაროზად მოგვრჩება. „პარკ დე პრენსზე" **რენე ჟირარის** „ლილი" პსჟ-ს შეეჭიდება და აბა, აქ ვნახოთ, რეალურად ვის რა შეუძლია. ჟირარი „მონპელიეში" ყოფნისას ერთხელ უკვე მოგვევლინა დავითის როლში და მოიგო გოლიათთან ბრძოლა, თუ მას ახლაც იმავეს გაკეთება უნდა, რაც წარმოუდგენლად ძნელი იქნება, პარიზელებთან ეს თამაში სულ მინიმუმ არ უნდა წააგოს და თავისი „ლილი" ლიდერის სიახლოვეს დატოვოს. რამდენიც უნდა ვისაუბროთ ლილელებზე, ფაქტია, წყვილში ფავორიტი **ლორან ბლანის** შეგირდები არიან და ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ 2013 წელი პოზიტიურად დაასრულონ.

ასეა თუ ისე, „მონაკომ" თავის მატჩში აუცილებლად უნდა იმარჯვოს, რადგან **კლაუდიო რანიერის** გუნდი ყველა ვარიანტში მოგებული რჩება - თუ პსჟ თავის შეხვედრას გამარჯვებით დაასრულებს, „მონაკო" „ლილთან" გაზრდის სხვაობას. თუ დედაქალაქში მატჩი ფრედ დასრულდება, მონტეკარლოელები პსჟ-ს ქულებით გაუთანაბრდებიან, ხოლო თუ ლილელები მოიგებენ რანიერის კლუბი სულაც პირველ ადგილზე შეხვდება ახალ წელს. აქედან გამომდინარე, „ლუი მეორის" ბინადრებს აუტსაიდერ „ვალანსიენთან" მოგების ორმაგი აუცილებლობა აქვთ. ბარემ გეტყვით იმასაც, რომ ამ ტურისა არ იყოს, ფრანგული ფეხბურთი ახალ წელსაც „მონაკოთი" დაგვიბრუნდება, კერძოდ 10 იანვარს მე-20 ტურს - „მონპელიე"-„მონაკო" გახსნის.

ჰო, კიდევ ის, რომ **რადამელ ფალკაომ** გუნდთან ერთად ივარჯიშა და საფეხბურთო სამყარო ინტერესით კვდება, ითამაშებს თუ არა ამჯერად იგი. კოლუმბიელის შესაძლო წასვლაზე ჭორები იმანაც გაამყარა, რომ „მონაკომ" „ლიონს" **ანტონი მარტიალის** თხოვებაზე უარი უთხრა, არადა ადრე რანიერი ახალგაზრდა ფეხბურთელის იჯარით გაშვების წინააღმდეგი არ იყო.

*„სხვა ფრანგული კლუბისგან ვიცოდი, რომ „მონაკო" მარტიალის განათხოვრებაზე ფიქრობდა. შესაბამისად, გუნდის ვიცე-პრეზიდენტს ვადიმ ვასილიევს დავურეკე. მან მითხრა, რომ თუ ამ ტრანსფერის შანსი იქნება, აუცილებლად დამიკავშირდება, მაგრამ ამჟამად რანიერის მარტიალის გაშვება არ უნდაო"* - განაცხადა „ლიონის" პრეზიდენტმა **ჟან-მიშელ ოლამ**.

## შუალედში

კვირადღეს ერთმანეთზე უკეთესი მატჩებია. „ველოდრომზე" „მარსელი" ფორმაში შესულ „ბორდოს" მასპინძლობს. მარსელელები შეეცდებიან ჟირონდელებს კარგი სერია გაუფუჭონ და მე-4 ადგილიდან ჩამოაგდონ. მით უმეტეს, დროებითი მწვრთნელი **ჟოზე ანიგო** როლში შევიდა და მისი ბოლო განცხადების გათვალისწინებით, გამორიცხული არ არის, პოსტზე სეზონის ბოლომდეც დარჩეს. თავის მხრივ, ამან იმის ეჭვი გაალრმავა, რომ ზაფხულში გუნდს **ანდრე ვილაშ ბოაში** ჩაიბარებს. იქამდე პორტუგალიელი დასვენებას აპირებსო.

*„მე პრეზიდენტს ვესაუბრე და ახალი მწვრთნელის მოძებნას გარკვეული დრო დასჭირდება. შესაძლოა, 5-6 თვეც. არ ვიცი როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ აქ იმისთვის ვარ, რომ გუნდს დავეხმარო. ეს ჩემთვის დიდი გამოწვევაა"* - თქვა ანიგომ.

ძალიან საინტერესო იქნება „ლიონის" სტუმრობა მიჯრით 5 მატჩის მომგებ და მე-8 ადგილამდე ასულ „ლორიანთაც". თავის მხრივ, **რემი გარდის** გუნდიც ბევრად უკეთ გამოიყურება ბოლო პერიოდში და კარგ თამაშს უნდა ველოდოთ.

შაბათს რაც შეეხება, უმნიშვნელო და უინტრიგო შეხვედრას აქაც ძნელად თუ იპოვი კაცი. უპირველეს ყოვლისა, „სენტ ეტიენი"-„ნანტის" დაპირისპირებაზე უნდა ვთქვათ ორი სიტყვა. ეს გუნდები ერთმანეთს ხუთეულში ადგილს ეცილებიან და კონკურენტიც ბევრი ჰყავთ. ამიტომ, შეხვედრა უაღრესად პრინციპულია. „იადონებმა" თასზე გადახალისებული შემადგენლობით ითამაშეს, რადგან ამ მატჩისთვის დასვენებულები ყოფილიყვნენ და „ჟოფრუა გიშარიდან" მინიმუმ ქულის, გულის სიღრმეში კი მთელი სამი ქულის წამოღების ეიმედებათ. იმედი ბოლოს კვდებაო, ვამბობთ ხოლმე, მაგრამ მათ ადგილას დიდი იმედიც არ მექნებოდა, თასზე პსჟ-სთან მტკივნეული მარცხით გამწარებული „მწვანეები" თავს არ დაზოგავენ და თავიანთ გულისწყრომას მთლიანად ნანტელებზე გადაიტანენ.

გამორჩევის ღირსია ათეულის მიჯნაზე მყოფი გუნდების „გენგამისა" და „ტულუზის" შეხვედრაც. წყვილში გამარჯვებულმა შესაძლოა ერთბაშად რამდენიმე ადგილით წინ აინაცვლოს მასპინძლებმა საბოლოოდ უნდა გაგვცენ პასუხი იმაზე, შემთხვევითი და დროებითი იყო თუ არა, მათი მშვენიერი სერია.

თუ როგორი ძნელია კორსიკაზე თამაში, **როლან კურბისს** არ ესწავლება, „მონპელიესი" არ იყოს, ის ორგზის ნამუშევარია „აიაჩოშიც", მაგრამ კურბისი გამოცდილების ხარჯზე შეეცდება „ბასტიასთან" ფონს გასვლას და მონპელიელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე მისი დაბრუნების გამართლებას. აკი თქვა კიდეც მოსვლისას - ამ წელს დარჩენილი ორი მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტი იქნებაო და აქედან ერთი უკვე წააგო.

უხეშად თუ ვიტყვით, „სოშოს" ბოლო გაფართხალება აქვს შინ „რენთან", ხოლო „აიაჩოს" სტუმრად „რეიმსთან". აი „ნიცა"-„ევიანი" ყველაზე ნაკლებდამაინტრიგებელი წყვილია. ერთადერთი ის შეიძლება გამოჩნდეს, რომ ნიცელებმა კრიზისი დასძლიეს, თუ რასაკვირველია საკუთარ „ალიანს რივიერაზე" მოიგებენ ან სულ მცირე, არ წააგებენ მაინც.

გვერდი მოამზადა
**გიორგი პაპაბაძემ**



ვინსენტ ენიეამას კართან პარიზში ჩამოცხება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XVII ტურის წინ

# რეალის და ბარსას რთული ოდისეა

## 20 დეკემბერი

**ელჩე-მალაგა 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლომბანი, მანუ დელ მორალი, ა. ხიმენესი - ელ ჰამდაუი, კასადო

ბოლო 6 მატჩი
+1=2 -3 (6-9) +2 =2 -2 (7-8)
ურთიერთშეხვედრები
სულ 4 თამაში: +2 =0 -2 (4:5)

## 21 დეკემბერი

**ვილიარეალი-სევილია 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კანი, ფარინოსი - პარეხა, ჩერიშევი, სისინიო, მარინი

ბოლო 6 მატჩი
+2 =2 -2 (7-6) +3 =1 -2 (13-11)
ურთიერთშეხვედრები
სულ 26 თამაში: +7 =7 -12 (29:38)

**ბეტისი-ალმერია 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ამაია, ხავი ტორესი, ბ. როდრიგესი, პერკისი, ნოსა იგიებორი - როდრი

ბოლო 6 მატჩი
+0 =2 -4 (6-18) +3 =1 -2 (5-9)
ურთიერთშეხვედრები
სულ 4 თამაში: +2 =1 -1 (6:3)

**ატლეტიკო-ლევანტე 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მარიო სუარესი - ლელი, ექტორ როდასი

ბოლო 6 მატჩი
+5 =1 -0 (17-2) +1 =1 -4 (3-8)
ურთიერთშეხვედრები
სულ 18 თამაში: +10 =3 -5 (27:18)

**გრანადა-სოსიედადი 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** - მ. გონსალესი, დე ლა ბელია, ესტრადა, გრანერო, იფრანი

ბოლო 6 მატჩი
+3 =0 -3 (8-9) +4 =1 -1 (19-12)
ურთიერთშეხვედრები
სულ 6 თამაში: +2 =2 -2 (9:9)

## 22 დეკემბერი

**ესპანიოლი-ვალიადოლიდი 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** - რამა, ვიქტორ პერესი

ბოლო 6 მატჩი
+1 =2 -3 (6-7) +1 =2 -3 (7-10)
ურთიერთშეხვედრები
სულ 30 თამაში: +12 =11 -7 (32:20)

**ხეტაფე-ბარსელონა 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ნეიმარი (ბარსელონა)
**ტრავმა:** - დანი ალვეში, ვიქტორ ვალდესი, მესი, ჯონათან დოს სანტოსი, აფელაი

ბოლო 6 მატჩი
+2 =1 -3 (4-10) +5 =0 -1 (14-3)
ურთიერთშეხვედრები
სულ 20 თამაში: +3 =3 -14 (19:42)

**ბილბაო-ვალეკანო 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** ნაჩო მარტინესი (ვალეკანო)
**ტრავმა:** ალბისუა - სება ფერნანდესი, ხოსე კარლოსი

ბოლო 6 მატჩი
+3 =2 -1 (8-7) +1 =1 -4 (8-14)
ურთიერთშეხვედრები
სულ 20 თამაში: +8 =8 -4 (35:31)

**სელტა-ოსასუნა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** შარლესი (სელტა) - ფ. სილვა (ოსასუნა)
**ტრავმა:** სამუელ ლორკა - დე ლას კუევასი, სისი, ნინო

ბოლო 6 მატჩი
+2 =0 -4 (7-13) +2 =1 -3 (6-12)
ურთიერთშეხვედრები
სულ 16 თამაში: +10 =2 -4 (22:9)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 16 | 14 | 1 | 1 | 44-10 | 43 |
| 2. ატლეტიკო | 16 | 14 | 1 | 1 | 43-9 | 43 |
| 3. რეალი | 16 | 12 | 2 | 2 | 46-19 | 38 |
| 4. ბილბაო | 16 | 9 | 3 | 4 | 24-20 | 30 |
| 5. ვილიარეალი | 16 | 8 | 4 | 4 | 26-16 | 28 |
| 6. სოსიედადი | 16 | 7 | 5 | 4 | 30-22 | 26 |
| 7. სევილია | 16 | 6 | 5 | 5 | 30-28 | 23 |
| 8. ხეტაფე | 16 | 7 | 2 | 7 | 18-22 | 23 |
| 9. ვალენსია | 16 | 6 | 2 | 8 | 21-26 | 20 |
| 10. გრანადა | 16 | 6 | 2 | 8 | 14-19 | 20 |
| 11. ლევანტე | 16 | 5 | 5 | 6 | 15-22 | 20 |
| 12. ესპანიოლი | 16 | 5 | 4 | 7 | 18-21 | 19 |
| 13. მალაგა | 16 | 4 | 5 | 7 | 18-22 | 17 |
| 14. ელჩე | 16 | 4 | 5 | 7 | 16-22 | 17 |
| 15. სელტა | 16 | 4 | 3 | 9 | 20-26 | 15 |
| 16. ვალიადოლიდი | 16 | 3 | 6 | 7 | 19-25 | 15 |
| 17. ოსასუნა | 16 | 4 | 2 | 10 | 13-27 | 14 |
| 18. ალმერია | 16 | 3 | 4 | 9 | 16-32 | 13 |
| 19. ვალეკანო | 16 | 4 | 1 | 11 | 15-38 | 13 |
| 20. ბეტისი | 16 | 2 | 4 | 10 | 15-35 | 10 |

**ბომბარდირები:** 17 - კრიშტიანო რონალდო (რეალი), დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 10 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი), ხავი გერა (ვალიადოლიდი); 8 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ჟონასი (ვალენსია), ლიონელ მესი (ბარსელონა), ალექსის სანჩესი (ბარსელონა), დავიდ ვილია (ატლეტიკო)

**2013 წლის ბოლო ტური დღეს დაიწყება, ხოლო ორშაბათს ცენტრალური მატჩით დასრულდება - მწვრთნელის გარეშე დარჩენილი „ვალენსია“ მადრიდის „რეალს“ უმასპინძლებს.**

უკანასკნელად „ვალენსიამ“ „სამეფო კლუბს“ 2009 წელს მოუგო (3:0). მას შემდეგ, გუნდებმა ჩემპიონატში 8 თამაში გამართეს და აქედან „ლამურებმა“ მხოლოდ ორი არ წააგეს, ბურთების სხვაობა კი მათთვის მართლაც კატასტროფულია: 8:22.

ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნამდე, „ლამურებს“ ახალგაზრდული გუნდის თავკაცი **ნიკო ესტევესი** უხელმძღვანელებს. მისი სადებიუტო შეხვედრა „ვალენსიამ“ გუშინ „ხიმნასტიკთან“ გამართა, პრიმერაში კი ესტევესს გაცილებით რთული გამოცდა ელის. მასპინძლებს საკადრო პრობლემა თითქმის არ აქვთ, აი,

23.12 ვალენსია. მესტალია **00:00**

**ვალენსია**

ურთიერთშეხვედრები
სულ 44 თამაში: +10 =9 -25 (53:85)
ბოლო 6 მატჩი
+2 =1 -3 (8-9) +5 =1 -0 (26-8)

**რეალი**

სავარაუდო შემადგენლობები

ვალენსია
დიეგო ალვესი
რუისი, მატიო
ჟ. პერეირა, გუარდადო
რომეუ, ბანეგა
ჟონასი
ფეგული, კანალესი
პოსტიგა

ბენზემა
რონალდო, ისკო, ბეილი
მოდრიჩი, ჩაბი ალონსო
მარსელო, პეპე, ს. რამოსი, კარვახალი
დიეგო ლოპესი
რეალი

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** გუაიტა, რიკარდო კოშტა - ვარანი, ხედირა, ფ. კოენტრაო


შარშან „რეალმა“ „მესტალიაზე“ 5:0 გაიმარჯვა

სტუმართა რიგებში კი საეჭვოა **კრიშტიანო რონალდოს** თამაში, რომელმაც სამეფო თასის შეხვედრა გამოტოვა. თასზე არ უთამაშია **გარეთ ბეილსაც**, თუმცა უელსელის „მესტალიაზე“ ასპარეზობის შანსი გაცილებით დიდია.

### არც ნეიმარი, არც მესი

„ბარსელონა“ წლის ბოლო შეხვედრას ნეიმარის გარეშე ჩაატარებს - ბრაზილიელმა „ვილიარეალთან“ გამართულ შეხვედრაში მეხუთე ყვითელი ბარათი მიიღო, თასზე („კარტახენასთან“) ითამაშა და შვებულებაში ნაადრევად გავიდა. კარგად მოგეხსენებათ, რომ კატალონიელებს **ლიონელ მესიც** არ ჰყავთ, რის გამოც, **ნეიმარის** გამოკლება **ხერარდო მარტინოსთვის** დამატებითი თავისტკივილია.

„ბარსას“ ყოფილი ფეხბურთელის, ალფონსო პერესის სახელობის სტადიონზე თამაში პრაქტიკულად ყველა გუნდს უჭირს, მათ შორის კატალონიურ კლუბსაც, რომელმაც აქ ბოლო წლებში სამჯერ წააგო, თუმცა შარშან დიდი ანგარიშით (4:1) იმარჯვა.

**ლუის გარსიას** გუნდი ჩემპიონატის ლიდერს საკმოდ ცუდ ფორმაში მყოფი ხვდება - 6 მატჩში მოპოვებული 5 გამარჯვების შემდეგ, მადრიდელებმა ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხი წააგეს, თანაც მათ შორის იყო მარცხი „ვისენტე კალდერონზე“ - 0:7. ხასიათი „ხეტაფეს“ ფეხბურთელებმა თასზე გამოიკეთეს, სადაც კატალონიურ „ჟირონას“ 4:1 მოუგეს და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. მეტოქე ამჯერადაც კატალონიური გუნდია, მაგრამ გაცილებით ძლიერი...

### ატლეტიკო ბაყაყების წინააღმდეგ

**დიეგო სიმეონეს** კრებული, რომელიც ყველას გაოცებას აგრძელებს, წლის ბოლო შეხვედრას საკუთარ მოედანზე „ლევანტესთან“ გამართავს. ვალენსიელებს „კალდერონზე“ ბოლო 5 მატჩი წაგებული აქვთ და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ სეზონში „ატლეტიკოს“ საკუთარ მოედანზე რვიდან რვა მატჩი აქვს მოგებული, სტუმრების შანსი არც ისე დიდი უნდა იყოს.

საკმაოდ საინტერესო მატჩი გაიმართება „ელ მადრიგალზე“, სადაც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლი „ვილიარეალი“ თასზე შერცხვენილ „სევილიას“ უმასპინძლებს. უნაი ემერის გუნდი ბოლო პერიოდში კარგად ათამაშდა და თუ თასზე განცდილ წარუმატებლობას დაივიწყებს, „ყვითელ წყალქვეშა ნავს“ სერიოზულ ბრძოლასაც გაუმართავს. გამარჯვების შემთხვევაში ანდალუსიელები მეტოქესთან არსებულ სხვაობას ორ ქულამდე შეამცირებენ და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში აქტიურად ჩაერთვებიან.

**ტატო ბაციკაძე**

ესპანეთის თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

# შერცხვენილი სევილიელები


„სევილია“ სამეფო თასს დაემშვიდობა

**ბეტისი-ლეიდა 2:2 (2:1)**

**გოლები:** 1:0 პაულაო (5), 2:0 ამაია (10), 2:1 მონფორტე (38), 2:2 ხაიმე მატა (55)
**ბეტისი (4-2-3-1):** სარა - შტაინჰიოფერი, პაულაო, ამაია (28. დიდაკ ვილა), ნაჩო - ნონო, სალვა სევილია - ხუანფრანი (61. ლ. რეიესი), ვერდუ (72. ვადილიო), რუბენ კასტრო - ხორხე მოლინა

**სოსიედადი-ალხესირასი 4:0 (1:1)**

**გოლები:** 1:0 ხავი როსი (40), 2:0 სეფეროვიჩი (67), 3:0 გრიზმანი (70), 4:0 ველა (75)
**სოსიედადი (4-2-3-1):** სუბიკარაი - კადამურო, სალდუა, ი. მარტინესი, ხოსე ანხელი - ელუსტონდო, ხავი როსი (65. რუბენ პარდო) - გ. კასტრო (61. გრიზმანი), ჩაბი პრიეტო (73. აგირეჩე), ველა - სეფეროვიჩი

**სევილია-რასინგი 0:2 (1:0)**

**გოლები:** 0:1 მიგელესი (62-პენ), 0:2 მ. კონე (89)
**სევილია (4-2-3-1):** ხავი ვარასი - დ. ფიგეირაში, მბია, კალა, ფ. ნავარო - კრისტოფორო, იბორა - ხაირო სამპერიო, ტროხოვსკი (57. კარლოს ფერნანდესი), პეროტა - რუსესკუ (57. ბაკა)
**გაძევება:** მბია (62. სევილია), დ. ფიგეირაში (89. სევილია)

**ატლეტიკო-სანტ ანდრეუ 2:1 (4:0)**

**გოლები:** 0:1 კაროსა (14), 1:1 ექტორ ერნანდესი (78), 2:1 ალდერვეირელდი (90)
**ატლეტიკო (4-4-2):** არანსუბია - მანკილიო, ხ. ხიმენესი, ალდერვეირელდი, ე. ინსუა - ჯ. როდრიგესი, გილავოგი, კარლოს რამოსი (72. გაბი), ოლივერ ტორესი - ადრიანი, ლეო ბაპტისტაო (77. ექტორ ერნანდესი)

**რეალი-შატივა 2:0 (0:0)**

**გოლები:** 1:0 ილიარამენდი (15), 2:0 დი მარია (27-პენ)
**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - კარვახალი (76. მარსელო), პეპე, ნაჩო, არბელოა - ილიარამენდი (58. ჩაბი ალონსო), კაზემირო - დი მარია, ისკო (69. ბენზემა), ხესე როდრიგესი - მორატა

**ალმერია-ლას პალმასი 0:0 (3:1)**

**ალმერია (4-2-3-1):** ესტარი - ნელსონი, ტორსილიერი, რაფიტა, მ. სილვა - ტებარი, კორონა (46. აზიზი) - რაულ გარსია, კრისტობალი (77. ალექს ვიდალი), ელდერ ბარბოსა - ოსკარ დიასი (59. იჩამი)

სამეფო თასის მეთექვსმეტედფინალის მორიგ შეხვედრებში ორი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა და ორივე ეს მატჩი ქალაქ სევილიაში გაიმართა. ლა ლიგის ბოლო პოზიციაზე მყოფმა „ბეტისმა“ „ლეიდას“ უმასპინძლა და კინაღამ შერცხვა, „სევილია“ კი მთავარი სენსაციის ავტორი გახდა - **უნაი ემერის** გუნდმა სანტანდერის „რასინგთან“ 0:2 წააგო და გავარდა. მართალია, მასპინძლებს არბიტრმა **მბია** და **ფიგეირაში** გაუძევება, მაგრამ რანგით მესამე დივიზიონის გუნდთან, რომელიც ცოტა ხნის წინ გაკოტრებას ძლივს გადაურჩა, შინ ასეთ მარცხს გამართლება მაინც არ აქვს.

**კრიშტიანო რონალდოს** და **გარეთ ბეილის** გარეშე მოთამაშე „რეალს“ „ოლიმპიკ დე შატივასთან“, რა თქმა უნდა, პრობლემები არ ჰქონია. სტუმრებს პირველ შეხვედრაში მიღწეული საპატიო ფრეც კარგად გაახსენდებათ, მომდევნო ეტაპზე კი „რეალმა“ უნდა ითამაშოს, სადაც მისი მეტოქე „ოსასუნა“ იქნება.

გაჭირვებით იმარჯვა მადრიდის „ატლეტიკომ“, რომელსაც პირველი მატჩი 4:0 ჰქონდა მოგებული. **დიეგო სიმეონემ** შანსი რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს მისცა და ერთ-ერთმა მათგანმა ამ შესაძლებლობით მშვენივრად ისარგებლა - ცვლილებაზე შემოსულმა 18 წლის **ექტორ ერნანდესმა** თავი გოლით გამოიჩინა და ანგარიში გაათანაბრა, გამარჯვება კი „როხიბლანკოს“ **ტობი ალდერვეირელდმა** მოუტანა.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

### ფილოსოფოსი ნკულუ

ბოლო დღეებში აქტიურად იყო საუბრები იმაზე, რომ **ნიკოლა ნკულუ** იანვარში „მარსელს“ დატოვებდა. მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს გავარდნილი „მონაკოდან“ „ველოდრომზე“ გადაბარგებული ნიჭიერი მცველი თავიდან დიდებულ თამაშს აჩვენებდა, ხოლო უკანასკნელ პერიოდში ველარ ბრწყინავს, მას მსურველები მაინც არ აკლია - „ნაპოლი“, „არსენალი“ და „ბაიერნი“. თუმცა 23 წლის კამერუნელს საინტერესო ხედვა აქვს - ჯერ ფორმას აღვიდგენ და წასვლაზე მერე ვიფიქრებო.

*„არსად არ მივდივარ, რადგან ამჟამად საკუთარი თამაშით კმაყოფილი არ გახლავართ, ასე კი ვერ წავალ. მე ამ კლუბმა მაღალ დონეზე თამაშის საშუალება მომცა და მისი ვალი მაქვს, წასვლამდე ჯერ ფორმა უნდა აღვიდგინო და გუნდს დავეხმარო. კარიერაში ჩავარდნა ყველა ფეხბურთელს აქვს და ახლა მთავარია, საკუთარ თავს რამდენიმე კითხვა დავუსვა და გავამხნევო. ყველაზე მეტად მე განვიცდი იმას, რომ მოწოდების სიმაღლეზე ვერ ვარ. ასეთი ინტენსიურობით თამაში ადვილი არ არის, „მარსელს“ ყოველ სამ დღეში აქვს მატჩი, მაგრამ გამართლებას არ ვეძებ, აუცილებლად უნდა მივუმატო“* - განაცხადა ნკულუმ.

### კანტონამ ნაკრები იუკადრისა

**დიდიე დეშამმა** საფრანგეთის ნაკრები, ავად თუ კარგად, კი მოახვედრა მსოფლიოს ჩემპიონატზე და ფედერაციასთან ახალი კონტრაქტიც გააფორმა, მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც საუბრობენ, რომ მას მთავარი მწვრთნელის პოსტზე დიდი დღე არ უწერია და **ზინედინ ზიდანის** შემდეგ, მისი შემცვლელის სავარაუდო კანდიდატებს შორის **ერიკ კანტონაც** მოხვდა. თუმცა „ლე რუამ“ ამ პერსპექტივისგან თავი შორს დაიჭირა და საინტერესო კომენტარიც გააკეთა.

*„საფრანგეთის ნაკრების გაწვრთნა? არა, დიდი მადლობა. ძნელია უძლევრობდე გუნდს, რომლის მოთამაშეებიც ორ თვეში ერთხელ ნახულობენ ერთმანეთს ერთი კვირით, მერე კი ცალ-ცალკე კლუბებში იშლებიან. დღევანდელი ესპანეთის სიძლიერე სწორედ იმაშია, რომ ამ ნაკრებს „ბარსელონას“ 8 ფეხბურთელი ჰყავს, რომლებიც მთელი წელი ერთად ვარჯიშობენ. თუ ოდესმე ფეხბურთში დაბრუნებას გადავწყვეტ, კლუბში მუშაობას ვამჯობინებდი, იქ მოთამაშეებთან ყოველდღიური ურთიერთობა მექნებოდა. შესაძლოა „სენტ ეტიენის“ ან „ლანსის“ მწვრთნელობაზე მეფიქრა, რადგან მხოლოდ ეს ორი გუნდი თამაშობს საფრანგეთში ინგლისური კლუბების მსგავს ფეხბურთს“* - აღნიშნა კანტონამ.

**გიორგი პაპაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A XVII ტურის წინ

# შოუბის წინ, კარგი განწყობისთვის

## წელი მილანური დერბით იხურება

### 21 დეკემბერი

**ლივორნო-უდინეზე 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** დე ლუკა, დუნკანი (ლივორნო).

**ტრავმა:** ბოტა, პიჩინი - რანიჯი, მურიელი, ბუბნიჩი.

ბოლო 6 შეხვედრა

1-1-4 | 1-1-4

ურთიერთშეხვედრები

**სულ 10 თამაში: +2=2-6, (5-15)**

**კალიარი-ნაპოლი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** როსეტინი (კალიარი).

**ტრავმა:** იბარბო - ცუნიგა, ჰამშიკი, მესტო.

ბოლო 6 შეხვედრა

2-3-1 | 3-1-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 26 თამაში: +5=12-9, (29-33)**

### 22 დეკემბერი

**ბოლონია-ჯენოა 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.

**ტრავმა:** კერუბინი, პერესი, სორენსენი - ზე ედუარდო, პორტანოვა, კუჩკა, ვრსალკო.

ბოლო 6 შეხვედრა

0-3-3 | 2-3-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 12 თამაში: +4=3-5, (16-19)**

**ატალანტა-იუვენტუსი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.

**ტრავმა:** იეპესი, რაიმონდი, ბელინი - პეპე, პირლო.

ბოლო 6 შეხვედრა

1-2-3 | 6-0-0

ურთიერთშეხვედრები

**სულ 28 თამაში: +2=6-20, (22-57)**

**ვერონა-ლაციო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მაური, ერნანესი (ლაციო).

**ტრავმა:** ჩირილიანო, მორასი - გონსალესი, პერეირინია.

ბოლო 6 შეხვედრა

2-1-3 | 1-2-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 9 თამაში: +3=1-5, (17-23)**

**რომა-კატანია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** დე როსი, სტროტმანი - სპოლი.

**ტრავმა:** ბალცარეტი, ბორიელო - ალმირონი, ბელუში.

ბოლო 6 შეხვედრა

1-5-0 | 1-1-4

ურთიერთშეხვედრები

**სულ 17 თამაში: +8=6-3, (33-19)**

**სამპდორია-პარმა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** გაბიადინი - კასანო.

**ტრავმა:** დე სილვესტრი, ედერი - პავარინი, გალოპა, გარგანო, პალეტა.

ბოლო 6 შეხვედრა

2-2-2 | 1-4-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 28 თამაში: +9=7-12, (36-35)**

**სასუოლო-ფიორენტინა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** მანიანელი, აჩერბი - კუადრადო.

**ტრავმა:** ტერანოვა, გომესი - გომესი, აგაცი, ვეჩინო.

ბოლო 6 შეხვედრა

2-2-2 | 4-0-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 0 თამაში: +0=0-0, (0-0)**

**ტორინო-კიევო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ჟილე - ცეზარი.

**ტრავმა:** ლარონდო, ბოვო, ელ ქადური - კალელო, კლეიტონი.

ბოლო 6 შეხვედრა

3-2-1 | 3-2-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 18 თამაში: +7=7-4, (22-20)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 16 | 14 | 1 | 1 | 35-10 | 43 |
| 2. რომა | 16 | 11 | 5 | 0 | 31-7 | 38 |
| 3. ნაპოლი | 16 | 11 | 2 | 3 | 35-19 | 35 |
| 4. ფიორენტინა | 16 | 9 | 3 | 4 | 32-19 | 30 |
| 5. ინტერი | 16 | 7 | 7 | 2 | 36-21 | 28 |
| 6. ვერონა | 16 | 8 | 2 | 6 | 27-25 | 26 |
| 7. ტორინო | 16 | 5 | 7 | 4 | 26-23 | 22 |
| 8. ლაციო | 16 | 5 | 5 | 6 | 21-22 | 20 |
| 9. ჯენოა | 16 | 5 | 5 | 6 | 17-19 | 20 |
| 10. მილანი | 16 | 4 | 7 | 5 | 25-25 | 19 |
| 11. პარმა | 16 | 4 | 7 | 5 | 22-24 | 19 |
| 12. კალიარი | 16 | 4 | 7 | 5 | 17-23 | 19 |
| 13. ატალანტა | 16 | 5 | 3 | 8 | 17-21 | 18 |
| 14. სამპდორია | 16 | 4 | 5 | 7 | 18-24 | 17 |
| 15. უდინეზე | 16 | 5 | 2 | 9 | 15-21 | 17 |
| 16. კიევო | 16 | 4 | 3 | 9 | 12-19 | 15 |
| 17. სასუოლო | 16 | 3 | 5 | 8 | 17-35 | 14 |
| 18. ლივორნო | 16 | 3 | 4 | 9 | 15-27 | 13 |
| 19. ბოლონია | 16 | 2 | 6 | 8 | 16-31 | 12 |
| 20. კატანია | 16 | 2 | 4 | 10 | 10-28 | 10 |

**ბომბარდირები:** 13 - როსი (ფიორენტინა); 10 - ტევესი (იუვენტუსი); 9 - პალასიო (ინტერი); 8 - ჩერჩი (ტორინო), იგუაინი (ნაპოლი);

**სერია A-ს მე-17 ტურის წინათქმა მთლიანად ერთ შეხვედრას დაეთმობა, რადგან ლეგენდარულ „ჯუზეპე მეაცაზე" ლეგენდარული დერბი გაიმართება: „ინტერი" „მილანის" წინააღმდეგ...**


კვირას ღამე, მილანური გარჩევაა

22.12. მილანი. ჯუზეპე მეაცა 23:45

**ინტერი**

ბოლო 6 შეხვედრა

2-3-1 | 1-4-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 46 თამაში: +17=11-18, (63-66)**

**მილანი**

სავარაუდო შემადგენლობები

ინტერი: ჰანდანოვიჩი; რანოკია, კამპანიარო, ჟესუსი; კამბიასო, ტაიდერი, კოვაჩიჩი, გუარანი, ჟონათანი, ნაგატომო; პალასიო.

მილანი: ბალოტელი, მატრი; კაკა; მუნტარი, დე იონგი, პოლი; კონსტანტი, დე შილიო, საპატა, ბონერა; აბიატი.

**დისკვალიფიკაცია:** ალვარესი - მონტოლივო.

**ტრავმა:** კოვუ, მილიტო, მარიგა, სამუელი - ამელია, რობინიო, ელ შაარავი, ბირსა, აბატე, ემანუელსონი.

### დერბი ულტრასების გარეშე

სერია A-ს გასულ ტურში, „ინტერი" „ნაპოლის" ესტუმრა და გარდა იმისა, რომ დათმო შეხვედრა, მილანური დერბის წინ, ულტრასების დისკვალიფიკაციასაც გამოჰკრა ხელი. დიახ, „დერბი დელა მადონინაზე" „ინტერის" ულტრასები არ დაიშვებიან, რადგან „სტადიო სან პაოლოზე" მთელი 90 წუთის განმავლობაში, ნეაპოლელებს შეურაცხყოფას აყენებდნენ. თემა ძველია: ჩრდილოეთის და სამხრეთის დაპირისპირება. მოკლედ, დერბი შავ-ლურჯთა ულტრასების გარეშე ჩაივლის, რამაც „ინტერის" კაპიტანს განსაკუთრებულად დასწყვიტა გული - მოვუსმინოთ **ხავიერ ძანეტის:**

*„სიმართლე გითხრათ, დერბი ულტრასების გარეშე უბრალოდ ვერ წარმომიდგენია. აშკარაა, რომ მათი დისკვალიფიკაცია მთლიანად თამაშს დაასვამს დაღს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფეხბურთი ქომაგებისთვისაა და კარგი იქნება თუ დისციპლინარები ასეთი გადაწყვეტილებებისგან მაქსიმალურად შეიკავებენ თავს".*

აქვე დავძინოთ, რომ ლაპარაკია არა თამაშის უმაყურებლოდ ჩატარებაზე, არამედ მხოლოდ ერთი სექტორის დისკვალიფიკაციაზე - ჩრდილოეთ ტრიბუნაზე მხოლოდ ულტრასები არ დაიშვებიან, თუმცა „ინტერის" მესვეურებს საშუალება ექნებათ, თავისუფალი სივრცე უბრალო გულშემატკივრებით შეავსონ - მაგალითად, „იუვენტუსის" მესვეურებმა ანალოგიურ ვითარებაში ორიგინალურ ხერხს მიმართეს და ტრიბუნა სკოლის მოსწავლეებით გაძეძგეს. ცნობისთვის, „იუვეს" ულტრასებიც ნეაპოლელთა შეურაცხყოფისთვის დასაჯეს.

### დიდი მატჩის წინ

მილანური დერბი ყოველთვის განსაკუთრებულად საინტერესოა და ეს განურჩევლად იმისა, რომელ ადგილზე არიან გუნდები სატურნირო ცხრილში. მიმდინარე სეზონში, ვერც „ინტერი" იბრძვის სკუდეტოსთვის და მით უმეტეს, ვერც „მილანი", მაგრამ ამით, თამაშს ბევრი არაფერი აკლდება.

**ვალტერ მაცარი** ტრადიციულად 3-5-1-1 ტაქტიკას აირჩევს და შეეცდება, რომ ცენტრზე მოიპოვოს ბატონობა. რაც შეეხება **მასიმილიანო ალეგრის,** ის ალბათ 4-3-1-2-ზე შეაჩერებს არჩევანს - „რომასთან" მატჩის შემდეგ, ალეგრიმ აღიარა, რომ **მარიო ბალოტელი** ორი ფორვარდის პირობებში გაცილებით უკეთ თამაშობს და **ალესანდრო მატრის** მოედანზე გაყვანაც მეტწილად ამით იქნება **განპირობებული.** ალეგრის ალბათ ერჩივნა, ბალოტელის გვერდით **სტეფან ელ შაარავი,** ან რობინიო ეხილა, მაგრამ ორივე ტრავმირებულია. ცნობისთვის **ჯამპაოლო პაცინი** გამოჯანმრთელდა, სათადარიგოთა სკამზე იქნება და იქნებ ჩაერთოს კიდეც თამაშში. საფეხბურთო ექსპერტთა ვარაუდით, მთავარი ბრძოლა ცენტრში გაჩაღდება და ამ მოსაზრებას მწვრთნელებიც იზიარებენ.

ვალტერ მაცარი (ინტერი): *„მილანური დერბი განსაკუთრებული მოვლენაა და ეს ქალაქს მთელი კვირაა, ეტყობა. ყველა ამ მატჩზე ლაპარაკობს და ბუნებრივია, ეს განწყობას ერთი-ორად ამაღლებს. ვეცდებით, რომ პირველ ნომრად ვითამაშოთ, რადგან ამის გარეშე, „მილანის" დამარცხება ურთულესი იქნება. ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ და მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება არ მივცეთ".*

მასიმილიანო ალეგრი (მილანი): *„ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მოვიგოთ და წინასაშობაოდ კარგი განწყობა შევიქმნათ. დერბის მოგება საკუთარი ძალების რწმენას შეგვმატებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასწორზე მხოლოდ სამი ქულა არ დევს. მეტოქე ხუთი ნახევარმცველით ითამაშებს, ჩვენ კი უფრო შემტევი სტრატეგია გვექნება - ამიტომ, საინტერესო ტაქტიკურ ჭიდილს ველოდები. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს".*

● იტალიის თასი. 1/8 ფინალი

# იუვე პირველი მერცხალია

**წინასაშობაოდ** იტალიის თასის მერვედფინალური ეტაპის მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა, დანარჩენი შეხვედრები კი უკვე 2014 წელს შედგება. პირველი მეოთხედფინალისტი „იუვენტუსია", რომელმაც სერია B-ს ბინადარ „აველინოს" უმასპინძლა და მეტოქე განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაამარცხა.

**ანტონიო კონტემ** იმ ფეხბურთელებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, რომლებსაც სერია A-ში ნაკლებად ენდობა. მაგალითად, კარში **მარკო სტორარი** იდგა, დაცვაში **მარტინ კასერესი** და **ანჯელო ოგბონა** ვიხილეთ, შუახაზში **სიმონე პადოინი, პაოლო დე ჩელიე** და **მარკო მოტა,** შეტევაში კი **სება ჯოვინკო** და **ფაბიო კვალიარელა.** მიუხედავად ამისა, ტურინელები იოლად გაუმკლავდნენ მეტოქეს და საქმე პირველივე ტაიმში მოამთავრეს.

ჯერ კიდევ მე-7 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ჯოვინკო მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და მეკარისაგან შორეული კუთხე დალაშქრა, 1:0. სულ მალე, ტურინელებმა სტანდარტულით იხეირეს - საჯარიმოში ჩააწოდეს ბურთი, სადაც კასერესმა შორეული ძელი დაკეტა და ანგარიში გაორა. მესამე გოლი კვალიარელას ანგარიშზეა, რომელმაც თავური დარტყმით შეარხია მეტოქის კარის ბადე. მეორე ტაიმში ტურინელებმა ბურთი გააგორეს და ანგარიშიც აღარ შეცვლილა 3:0.

ნამატჩევს, ანტონიო კონტე საპრესკონფერენციო დარბაზში არ გამოჩენილა და ამბობენ, რომ ამის მიზეზი ჟურნალისტებზე გაბრაზებაა - როგორც ჩანს, ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის გამო თავს დამტყდარი კრიტიკა „იუვეს" თავკაცმა მძიმედ გადაიტანა. ბოლოს, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ მერვედფინალური ეტაპის დარჩენილი შეხვედრები უკვე 2014 წელს გაიმართება - ტურინელები განსაკუთრებული ყურადღებით „რომა"-"სამპდორიას" პაექრობას მიადევნებენ თვალს, რადგან მეოთხედფინალში სწორედ ამ წყვილში გამარჯვებულთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. აქვე დავძინოთ, რომ ნახევარფინალამდე, წყვილში გამარჯვებულს მხოლოდ ერთი მატჩი ავლენს.

**იუვენტუსი-აველინო 3:0**

**გოლები:** 1:0 ჯოვინკო (7), 2:0 კასერესი (16), 3:0 კვალიარელა (34).

**იუვენტუსი (3-5-2):** სტორარი - კასერესი, ოგბონა, პელუზო - მოტა (82. ლიხტშტაინერი), პადოინი, მარკიზიო, ასამოა (68. ბუი), დე ჩელიე - ჯოვინკო (82. პეპე), კვალიარელა.

**1/8 ფინალის დარჩენილი მატჩები**

9 იანვარი: **ფიორენტინა-კიევო, რომა-სამპდორია; 10 იანვარი: უდინეზე-ინტერი; 15 იანვარი: ლაციო-პარმა, კატანია-სიენა, მილანი-სპეცია; 16 იანვარი: ნაპოლი-ატალანტა.**

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



„აველინოს" კარში მესამე გოლი ფაბიო კვალიარელამ გაიტანა

europe-bet.com

ინგლისის ლიგის თასი. 1/4-ფინალი

# ინგლისში წვიმა გაუკვირდათ

**სტოკი–იუნაიტედი 0:2**

**გოლები:** 0:1 იანგი (62), 0:2 ევრა (78)

**სტოკი:** სორენსენი, კემერონი, შოუკროსი (76. ადამი), უილსონი, პიტერსი, აირლანდი, უელანი, პალასიოსი, უოლტერსი, ასაიდი (62. არნაუტოვიჩი), კრაუჩი

**იუნაიტედი:** დე ხეა, რაფაელი, სმოლინგი, ევანსი, ევრა, ჯონსი, კლევერლი, ანდერსონი (58. ერნანდესი), ვალენსია, იანგი, უელბეკი (82. ფლეტჩერი)

**ტოტენჰემი–ვესტ ჰემი 1:2**

**გოლები:** 1:0 ადებაიორი (67), 1:1 ჯარვისი (80), 1:2 მაიგა (85)

**ტოტენჰემი:** ლორისი, უოლკერი, კაპუ, კირიკეში, როუზი (62. ფრაიერსი), დემბელე, სიგურდსონი, ტაუნსენდი (73. შადლი), ლენონი, დეფო, ადებაიორი (78. ჰოლტბი)

**ვესტ ჰემი:** კასტილიო, ობრაიენი, კოლინსი, მაკარტნი, რაცი, დიარა (79. მორისონი), ტეილორი, კოლისონი, ჯ. კოული (70. დიამე), ჯარვისი, კ. კოული (65. მაიგა)

## კიდევ ერთი მშრალი მატჩი

„ბრიტანიაზე" მატჩის დღეს ვარჯიშზე საზარდულის ტრავმა მიიღო „იუნაიტედის" 28 წლის თავდამსხმელმა **უეინ რუნიმ** და განაცხადს მიღმა დარჩა. შეგახსენებთ, რომ ბარძაყის ტრავმის გამო ვერ თამაშობს **რობინ ვან პერსიც**. ვითარება გაართულა 29-ე წუთზე დაწყებულმა კოკისპირულმა წვიმამ, რის გამოც **მარკ კლატენბურგმა** მატჩი რამდენიმე წუთით შეწყვიტა. განახლებიდან ტაიმის ბოლომდე საინტერესო არაფერი მომხდარა. მეორე ნახევარში ჯერ **ეშლი იანგმა** გაიტანა არანორმალურად ძლიერი დარტყმით, მერე **პატრის ევრამ** ჩასვა ბურთი შორეულ „ცხრიანში".

„იუნაიტედის" კლასის გათვალისწინებით, პირველ ტაიმში ჩემი ფეხბურთელები ნამდვილად კარგად თამაშობდნენ და მეტოქისთვის ბევრი არაფრის უფლება მიუციათ. მინდოდა, მეორეშიც ასე გვეთამაშა, მაგრამ მონდომება სადღაც გაქრა. მეტოქემ გამარჯვება დაიმსახურა," - განაცხადა **მარკ ჰიუზმა**. „სტოკთან" თამაში, განსაკუთრებით სტუმრად, ყოველთვის რთულია. ფლანგურ ჩაწოდებებთან ბრძოლა მოგვიხდა, თუმცა ერთი წამით არ მოვდუნებულვართ. დაცვაში ყველამ კარგად ვითამაშეთ და ზედიზედ მესამე შეხვედრაში მოვახერხეთ კარის მშრალად შენახვა," - დასძინა დევიდ მოიესმა.

## ტოტენჰემმა ტაუნსენდი დაკარგა

„ტოტენჰემს" „ვესტ ჰემთან" „უაით ჰართ ლეინზე" 1999 წლის 24 აპრილის შემდეგ არ ჰქონდა წაგებული და უკანასკნელ 83 დღეში ეს ორჯერ „მოახერხა". ჯერ იყო და, ჩემპიონატში განადგურდა 0:3, ახლა კი ლიგის თასის 1/2-ფინალშიც დაუთმო გზა თანაქალაქელს. **ტიმ შერვუდის** დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. წვიმისგან დატბორილ მოედანზე „ჩაქუჩებმა" მატჩის მიწურულს 2 გოლი გაიტანეს. გადამწყვეტი ბურთი **მოდიბო მაიგამ** შეაგდო, ვისთვისაც ეს პირველი აღმოჩნდა 12 თვის განმავლობაში. „ტოტენჰემს" მორიგი წაგების გარდა ერთი უბედურებაც ეწვია. მუხლის მყესების დაზიანების გამო რამდენიმეთვიანი დასვენება მოუწევს **ანდროს ტაუნსენდს**.



ეშლი იანგი პირველ გოლს აღნიშნავს

ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტურის წინ



# ტური სრულ სიგიჟემდე

## არსენალის შელახული თავმოყვარეობა

მოურინიომ ვენგერი მიმდინარე სეზონში „ემირეიტსზე" ერთხელ უკვე დაამარცხა (29 ოქტომბერს), ლიგის თასის 1/8-ფინალში - 2:0

### 21 დეკემბერი

**ლივერპული–კარდიფი 16:45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჯერარდი, სტარიჯი, ენრიკე, კოატესი - ბელამი

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 | +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 22 თამაში: +9=2-11 (32-36)

**პალასი–ნიუკასლი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ტომასი, ჰანტი, მაკარტი, მარი, გედიურა - ტეილორი

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 | +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 16 თამაში: +5=2-9 (12-22)

**ფულჰემი–სიტი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** როდალიეგა, ჰანგელანდი - რიჩარდსი, აგუერო, საბალეტა

ბოლო 6 მატჩი

+1=0-5 | +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 43 თამაში: +10=11-22 (61-89)

**იუნაიტედი–ვესტ ჰემი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** - კევინ ნოლანი

**ტრავმა:** ფელაინი, კერიკი, ვან პერსი, რუნი - რიდი, პეტრიჩი, ვას ტე, კეროლი, დაუნინგი

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 | +1=1-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 105 თამაში: +50=24-31 (200-139)

**სტოკი–ასტონ ვილა 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** - აგბონლაჰორი

**ტრავმა:** პუთი - ვლაარი, ბენეტი, ნზოგბია, ოკორე

ბოლო 6 მატჩი

+2=3-1 | +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 69 თამაში: +22=18-29 (79-108)

**სანდერლენდი–ნორვიჩი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ვესტვუდი - ბენეტი, პილკინგტონი, ტეტი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 | +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 27 თამაში: +9=5-13 (34-32)

**ვესტ ბრომვიჩი–ჰალი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ფოსტერი - ქუინი, ალუკო

ბოლო 6 მატჩი

+0=2-4 | +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 6 თამაში: +3=1-2 (9-8)

### 22 დეკემბერი

**საუთჰემპტონი–ტოტენჰემი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** - პაულინიო

**ტრავმა:** კლაინი, ფოქსი, დევისი, ვანიამა, დო პრადო, ბორუცი - სანდრო, ვერტონგენი, კაბული, კეინი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 | +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 72 თამაში: +23=17-32 (92-121)

**სუონსი–ევერტონი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** რანხელი -

**ტრავმა:** დაიერი, ვასკესი, მონკი - დელოფეუ, კონე, გიბსონი, ბეინსი

ბოლო 6 მატჩი

+2=3-1 | +3=3-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 8 თამაში: +0=2-6 (4-17)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 16 | 11 | 2 | 3 | 33-17 | 35 |
| 2. ლივერპული | 16 | 10 | 3 | 3 | 39-18 | 33 |
| 3. ჩელსი | 16 | 10 | 3 | 3 | 32-18 | 33 |
| 4. სიტი | 16 | 10 | 2 | 4 | 47-18 | 32 |
| 5. ევერტონი | 16 | 8 | 7 | 1 | 27-15 | 31 |
| 6. ნიუკასლი | 16 | 8 | 3 | 5 | 21-22 | 27 |
| 7. ტოტენჰემი | 16 | 8 | 3 | 5 | 15-21 | 27 |
| 8. იუნაიტედი | 16 | 7 | 4 | 5 | 25-19 | 25 |
| 9. საუთჰემპტონი | 16 | 6 | 6 | 4 | 20-15 | 24 |
| 10. სუონსი | 16 | 5 | 5 | 6 | 22-21 | 20 |
| 11. ასტონ ვილა | 16 | 5 | 4 | 7 | 16-21 | 19 |
| 12. ჰალ სიტი | 16 | 5 | 4 | 7 | 13-19 | 19 |
| 13. სტოკი | 16 | 4 | 6 | 6 | 15-20 | 18 |
| 14. ნორვიჩი | 16 | 5 | 3 | 8 | 15-29 | 17 |
| 15. კარდიფი | 16 | 4 | 5 | 7 | 12-22 | 17 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 16 | 3 | 6 | 7 | 17-22 | 15 |
| 17. ვესტ ჰემი | 16 | 3 | 5 | 8 | 13-19 | 14 |
| 18. პალასი | 16 | 4 | 1 | 11 | 11-24 | 13 |
| 19. ფულჰემი | 16 | 4 | 1 | 11 | 15-30 | 13 |
| 20. სანდერლენდი | 16 | 2 | 3 | 11 | 12-30 | 9 |

**ბომბარდირები:** 17 - ლუის სუარესი (ლივერპული), 13 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 9 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული)

**უქმეებზე ინგლისში ბოლო ტურია ე.წ. „ბოქსინგ დეისის" დაწყებამდე. შობის დღესასწაულის შემდეგ კუნძული ტრადიციულ ინტენსიურ საფეხბურთო ბატალიებში ჩაებმება და 6 დღეში 3 ტურს ჩაატარებს.**

XVII ტური სამ დღეზეა გადანაწილებული და მთავარი სანახაობა სწორედ ბოლოსკენ არის მოტოვებული. ორშაბათს ღამით „არსენალი" „ჩელსის" უმასპინძლებს. ცხრილის ლიდერებს „სიტისთან" შელახული თავმოყვარეობის გარდა სხვა პრობლემებიც აქვთ. **ჯეკ უილშირმა** „ეტიჰადზე" მასპინძელ გულშემატკივარს შუათითი უჩვენა, რაც პირდაპირ ეთერში მაყურებელმაც დააფიქსირა. საფეხბურთო ასოციაციამ მას 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. მსგავსი ჟესტისთვის 2011 წელს **ლუის სუარესი** ერთი მატჩით მოკვეთეს.

„ჩელსი" აგრძელებს არასტაბილურ ასპარეზობას. „პენსიონერები" სამშაბათს „სანდერლენდთან" ლიგის თასზე დამარცხდნენ, თანაც სოლიდური სათამაშო უპირატესობის მიუხედავად. **ჟოზე მოურინიოს** გუნდს საკადრო პრობლემები არ აწუხებს. მასპინძელს კი უკვე ტრადიციული დანაკლისის გარდა ლორან კოშელნიც არ ეყოლება (უილშირზე ზემოთ ვთქვით). 28 წლის ფრანგი საუკეთესო შემთხვევაში მომდევნო ტურში თუ დაუბრუნდება მინდორს.

ცალკე თემაა **არსენ ვენგერისა** და ჟოზე მოურინიოს ურთიერთობა. მწვრთნელებს ერთმანეთთან მისაბაძი დამოკიდებულება არასდროს ჰქონიათ. ამას თავისი ახსნა აქვს. პორტუგალიელი ყოველთვის ისეთებს ემტერებოდა, ვისგანაც მეტ საფრთხეს ელოდა და მეტ-ნაკლებად წინააღმდეგობასაც აწყდებოდა. **ალექს ფერგიუსონის** ავტორიტეტი თავისას აკეთებდა, შესაბამისად, „განსაკუთრებული" უფრო ვენგერსა და **რაფა ბენიტესს** „კბენდა". არადა, „ჩელსის" მთავარი მწვრთნელის რანგში მოურინიო ვენგერს 9-ჯერ შეხვდა, 5-ჯერ დაამარცხა და 4-ჯერ ფრედ ეთამაშა. სტუმართა გამარჯვება არც ამჯერად არის გამორიცხული...

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

**23.12 ლონდონი. ემირეიტსი 00:00**

**არსენალი**

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 | +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 158 თამაში: +61=46-51 (225-204)

**ჩელსი**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** - უილშირი (ა), ესიენი (ჩ)

**ტრავმა:** კოშელნი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი, სანოგო, დიაბი - ბერტრანი, ვან გინკელი



წყალბურთი

# პლეი ოფში თურქეთს დაუპირისპირდებიან

**გაისად 14-27 ივლისს უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება 6 გუნდმა შარშანდელი პირველობის ექვსეულში მოხვედრით გაინაღდა. 2012 წელს კონტინენტის ჩემპიონობა სერბებმა მოიპოვეს. მეორე-მესამე ადგილებზე ჩერნოგორიელები და უნგრელები გავიდნენ, ხოლო მეოთხე-მეექვსე ადგილები იტალიამ, გერმანიამ და საბერძნეთმა გაინაწილა.**

შარშანდელი შედეგებით ექვსმა ნაკრებმა (თურქეთი, ჰოლანდია, ხორვატია, მაკედონია, რუმინეთი, ესპანეთი) პლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა. მათთან შესახვედრად კი კონტინენტის 21 ქვეყნის გუნდებმა შესარჩევი ეტაპის სამი რაუნდი გაიარეს. საგზურების მაძიებელთა შორის იყვნენ ქართველი წყალბურთელებიც, რომლებმაც 40 ქულას მოუყარეს თავი და ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი გაუჩნდათ. საქართველოს ნაკრებთან ერთად პლეი ოფში თამაშის უფლება საფრანგეთმა, რუსეთმა, სლოვაკეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და უკრაინამ მოიპოვეს. გუშინ ბარსელონაში 12 გუნდის ფინალური ეტაპის 6 საგზურისთვის წილისყრა გაიმართა. ფორტუნამ საქართველოს მეტოქედ თურქეთი არგუნა. დანარჩენი გუნდები ასე დაწყვილდნენ: ჰოლანდია-რუსეთი, საფრანგეთი-მალტა (ეს გუნდი წილისყრაში ბოლო მომენტში დაუშვეს მაკედონიის ნაცვლად, როგორც შესარჩევი ეტაპის მესამეადგილოსნებს შორის საუკეთესო), სლოვაკეთი-ხორვატია, რუმინეთი-დიდი ბრიტანეთი, უკრაინა-ესპანეთი.




პლეი ოფები შინ და გარეთ 2014 წლის 15 თებერვალსა და პირველ მარტს გაიმართება.

საქართველოს ნაკრები (**ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, ბექა ქენქაძე, ტატო ნიკოლეიშვილი, გალაქტიონ ლაითაძე, ზურაბ რურუა, მიხეილ ბალათურია, რევაზ იმნაიშვილი, კონსტანტინე გეგელაშვილი, ლევან ჩიქვინიძე, ბექა ქავთარაძე, გიორგი ხვედელიანი, ალექსანდრე რუსიშვილი, ალექსანდრე ყაზახიშვილი.** იქ შეუერთდებიან ჩერნოგორიაში მოთამაშე ახალგაზრდული ნაკრების წევრები - **სანდრო ბითაძე** და **ხვიჩა ჩახაია**, რომლებიც ჰერცეგ ნოვის „იადრანში" (ჩერნოგორია) თამაშობენ, მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ისელიძე**, მწვრთნელი **იოვან პოპოვიჩი**) ამჟამად საწვრთნელ შეკრებაზე სერბეთში იმყოფება და ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრებს ნოვი სადის „ვოივოდინასა" და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან" გამართავს.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# ჩემპიონი ქულებს არ თმობს

**თბილისი, 2013 წლის 19 დეკემბერი**
**ეროვნული ჩემპიონატი,**
**II წრის I ტური**

გუშინ სასპორტო კომპლექს „არენაში" საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მე-2 წრის პირველი ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართა. ერთმანეთს ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი სტუ და ვიცე-ჩემპიონი „ბათუმი" დაუპირისპირდნენ. ამ გუნდების პირველი წრის ორთაბრძოლა სტუდენტების გამარჯვებით დასრულდა, ამიტომ გუშინდელ პაექრობაში ზღვისპირელები რევანშის წყურვილით გამოვიდნენ მოედანზე და პირველი წუთებიდანვე შეუტიეს მეტოქის კარს. ჯერ 6:0, შემდეგ კი 11:6 დაწინაურდნენ, თუმცა თბილისელებმა შესვენებამდე წონასწორობის აღდგენა შეძლეს - 17:17. სტუ-ს მწვრთნელმა **ბექა ორჯონიკიძემ** ბათუმელთა გუნდის ლიდერ **უჩა გამზარდიას** პერსონალური მეურვე მიუჩინა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი თამაშიდან ისე გამოთიშეს, რომ 3 გოლი ძლივს გაიტანა. მეორე ტაიმში ჩემპიონები 21:17 დაწინაურდნენ. იყო მომენტი, როცა სტუმრებს ზედიზედ სამჯერ ჰქონდათ ანგარიშის ერთ ბურთამდე შემცირების შანსი, მაგრამ სამივე ეპიზოდში შვიდმეტრიანები თბილისელთა მეკარე ანდრიაძემ მოიგერია. მატჩი სტუ-ს გამარჯვებით დასრულდა, რომელიც ახლა ვიცე-ჩემპიონს ოთხი ქულით უსწრებს.

გუშინ ბოლო ტურის კიდევ სამი შეხვედრა გაიმართა. ორი მათგანი ერთბურთიანი სხვაობით დასრულდა. თელავმა მოუგო ჭაბუკთა ნაკრებს (24:23) და ცხრილში ორი ადგილით ზემოთ აინაცვლა. „პეგასმა" სამტრედია დაამარცხა - 47:46, რითაც მესამე ადგილისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. „იმედმა" ქუთაისს აჯობა - 39:29.

**სტუ-ბათუმი 42:36**

**სტუ:** ანდრიაძე, ორჯონიკიძე (9), გრიშიკაშვილი (8), სიმონია (7), გოგალაძე (6), ამირანაშვილი (5), გვაზავა (4), სურმავა (3), ბერძენიშვილი, აბრამიშვილი.

**ბათუმი:** სამყურაშვილი, წივწივაძე (9), ქარდავა (7), ხუნჯუა (6), ყაველაშვილი (5), უ. მაისურაძე (4), გამზარდია (3), ჯორბენაძე (1), ჭელიძე (1), ი. ნარსია.

**იმედი-ქუთაისი 39:29**

**იმედი:** მღებრიშვილი, ალანია (9), ჩიკვილაძე (6), ბეჟანიშვილი (5), იობაშვილი (5), გიორგაძე (4), აბაშიძე (3), მძელური (2), თაბაგარი (2), ჩაკვეტაძე (1), კალანდაძე (1), ჯმუხაძე (1), გოთოშია.

**ქუთაისი:** გულეიშვილი, მათნაძე (12), ახალაძე (7), ტარუაშვილი (3), ჯულელი (2), მერკვილაძე (2), ძნელაძე (1), ლომიძე (1), ახალბედაშვილი (1).

**თელავი-ჭაბუკთა ნაკრები 24:23**

**თელავი:** ა. სამიტაშვილი, კობახიძე (12), გ. სვიმონიშვილი (5), ანდრიაშვილი (4), ი. სამიტაშვილი (1), მღებრიშვილი (1), ჯ. ნიკურაძე (1), იაგორაშვილი, გიგაური, ცისკარიშვილი, ნ. სვიმონიშვილი დიდებაშვილი.

**ჭაბუკები:** ვათიაშვილი, ხანდოლიშვილი, რუსტამოვი (7), კბილაშვილი (3), ჰუსეინოვი (3), არსენაშვილი (3), გაწერელია (3), დანელიშვილი (2), ბაინაზაშვილი (1), იობაშვილი (1), ბიბილეიშვილი, ნ. მაისურაძე, ფერაძე.

**პეგასი-სამტრედია 47:46**

**პეგასი:** ცინცაძე, დ. ნარსია, ოსიყმაშვილი (14), ცხვარაშვილი (11), დიხამინჯია (7), გელაშვილი (7), კოხრეიძე (4), აბჟანდაძე (2), ქუთათელაძე (1), ბაძალუა (1), დემეტრაშვილი.

**სამტრედია:** ხონელიძე, კიკნაძე, ხაჟომია (10), ავალიანი (10), წითელიშვილი (9), თევზაძე (8), ხვიჩია (4), ჟვანია (2), ელგანდაშვილი (1), ზურაბიანი (1), გაგლოშვილი (1), ცხვარაძე, ღლანიძე, ბოცვაძე.

**მსაჯები:** ელენე არაბული, ინა ჭკუასელი, ზურაბ ქოქოსაძე, ვახტანგ ბერიაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 11 | 11 | 0 | 0 | 383-254 | 22 |
| ბათუმი | 11 | 9 | 0 | 2 | 457-344 | 18 |
| სამტრედია | 11 | 6 | 0 | 5 | 404-387 | 12 |
| იმედი | 11 | 6 | 0 | 5 | 335-364 | 12 |
| პეგასი | 11 | 4 | 2 | 5 | 357-380 | 10 |
| თელავი | 11 | 2 | 1 | 8 | 289-329 | 5 |
| ქუთაისი | 11 | 2 | 1 | 8 | 311-411 | 5 |
| ჭაბუკები | 11 | 1 | 2 | 8 | 305-372 | 4 |

**ბომბარდირები:** უჩა გამზარდია (ბათუმი) 95, ირაკლი თევზაძე (სამტრედია) 84, ლექსო წითელიშვილი (სამტრედია) – 84, ალექსანდრე ცხვარაშვილი (პეგასი) 84, გიორგი კვერნაძე (ქუთაისი) 72, ნიკოლოზ ჯორბენაძე (ბათუმი) 72, გიორგი იობაშვილი (იმედი) 71, ირაკლი კბილაშვილი (ნაკრები) 68

საქართველოს ჩემპიონატზე შესვენება გამოცხადდა. ტურნირი 2014 წელს განახლდება.

**ვაჟა დანელია**



თემურ ორჯონიკიძე, სტუ (77)

ძიუდო. მეტოქე



# გონსალესს დოპინგში ადანაშაულებენ?

## ლიპარტელიანი VS გონსალესი: ბრძოლა ტატამს მიღმა გრძელდება

აგვისტოში, ბრაზილიაში, მსოფლიოს პირველობის ფინალში **ვალერი ლიპარტელიანის** მომგები კუბელი მსოფლიოს ჩემპიონი **ემლი გონსალესი** დოპინგზე ჩავარდაო – ხმები ამის შესახებ ჯერ მხოლოდ ჭორად ისმის, თუმცა, ვინძლო, გამართლდეს.

ამ ჭორმა ჩვენამდე რამდენიმე კვირის წინათ მოაღწია, მაგრამ აქამდე თავს ვიკავებდით გახმაურებისგან – რაც უნდა იყოს, ჯერ ოფიციალურად არაფერი დადასტურებულა, ქართველებს კი, დიდ ილიას თუ დავუჯერებთ, პირველი ევროპელი მეჭორეც ვერ აჯობებს. ოღონდ მოვლენებს თვალს მაინც ვადევნებდით ანუ პულსზე ხელი გვეჭირა, და დღეს უკვე გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხმები ამის შესახებ უკვე მთელ მსოფლიოში მუსირებს. ასე მაგალითად, იაპონიიდან, ძიგორო კანოს მემორიალიდან დაბრუნებულმა ჩვენმა სპორტსმენებმაც დაადასტურეს, რომ იქაც ღიად საუბრობდნენ. ეს გვითხრა თავად **ლიპარტელიანმაც**, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ**, უფრო ადრე კი მოარული ხმები ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა **ზურაბ კახაბრიშვილმაც** დაგვიდასტურა... ერთი სიტყვით, ვითარება ისეთია, ქართველთა ჭორაობა არაფერ შუაშია – კარგი, ჩვენ დაგვესიზმრა ან მოვიგონეთ, მაგრამ უცხოელებიც იგონებენ? ოღონდ ეგაა, ოფიციალურად არსად არაფერი დაწერილა, თუმცა კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება და რაკი ამაზე ყველგან ლაპარაკობენ, მხოლოდ ამიტომ გადავწყვიტეთ გახმაურება, თუმცა ვიმეორებთ - არაფერს ვამტკიცებთ.

შინ თუ გარეთ არაერთხელ ვყოფილვართ ასეთი ჭორების გამართლების მომსწრე. თან ამ შემთხვევაში რამდენიმე გარემოებაც გვაეჭვებს. უპირველესად თავად იმ ფინალის სტენოგრამა – ნახევარფინალში გონსალესმა უმძიმესი და უძნელესი პაექრობა ჩაატარა **ილიას ილიადისთან**, შეხვედრა დამატებით დროში გადაიზარდა, თან ფინალამდე დასასვენებლადაც ცოტა დრო ჰქონდა და ლოგიკურად, დაღლილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამისი არაფერი ეტყობოდა. პირიქით – მთელი შეხვედრა ალმავლობით ჩაატარა და პირველი ეჭვებიც მაშინვე გაჩნდა... ვარაუდი კიდევ უფრო გააძლიერა მომდევნო გარემოებამ – იმ ფინალის შემდეგ კუბელს არსად უჭიდავია... მართალია, როგორც ლიპარტელიანმა გვითხრა, თურმე მხარიც სტკივა, მაგრამ განა რა ტრავმა უნდა იყოს ასეთი, რომ გამაყუჩებლებითაც ვერ ეჭიდავა? ის არც ტოკიოში ჩასულა ერთობლივ ვარჯიშებზე, თუმცა ერთიცაა, რომ კუბელებმა მსოფლიოს შემდეგ თითქმის ყველა დიდი ტურნირი გამოტოვეს.

ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს ვინმეს ცუდი გვიხაროდეს, მაგრამ თუ კუბელის დისკვალიფიკაცია დადასტურდა, მაშინ ოქროს მედალი ლიპარტელიანს გადაეცემა. სხვა გაგრძელება წარმოუდგენელია – ძიუდოში იქნებ მსგავსი პრეცედენტი ბოლო წლებში არ ყოფილა, მაგრამ არც ჩემპიონი ჩავარდნილა. გამონაკლისი ლეგენდარული ჩინელი მძიმეწონოსანი ქალი, მსოფლიოს შვიდგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ვენ ტონგი** იყო, რომელსაც ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, თუმცა მისი საქმე იმთავითვე თეთრი ძაფით იყო ნაკერი – ღიად ამბობდნენ, რომ მეტოქეებმა „გაუჩალიჩეს". მაშინ ტონგი ცოტა უცნაურად იმართლებდა თავს - იმ შეჯიბრების წინ გოჭის ხორცი ვჭამე და ეტყობა, ის შეიცავდა მაგ აკრძალულ ნივთიერებებსო. ასეა თუ ისე, მისმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო და ტონგს სასჯელი მოუხსნეს. მაშინ მისთვის ოქრო არ ჩამოურთმევიათ, რადგან საქმემ სასამართლოში გადაინაცვლა ანუ სპორტსმენი განაჩენს ასაჩივრებდა, თორემ მას რომ დამტკიცებოდა დოპინგის მიღება, მედალს აუცილებლად ჩამოართმევდნენ. ეს საერთაშორისო ანტიდოპინგური სააგენტოს – ვადას მკაცრი მოთხოვნაა და თუ საერთაშორისო ფედერაცია არ დაემორჩილება, მაშინ ისიც უმკაცრესად დაისჯება. ამ განმარტებას საჭიროდ იმიტომ მივიჩნევთ, რომ საქართველოში ბევრს ეეჭვება, დასჯის შემთხვევაში გონსალესს ოქრო ჩამოართვან და ლიპარტელიანს გადასცენ.

როგორც იაპონიიდან დაბრუნებულმა ჩვენმა სპორტსმენებმა ისიც გვითხრეს, რომ თურმე კუბელები საქმის მიჩქმალვას ცდილობენ... თუ ანალიზი კოლბაში მოხვდა და დაილუქა, მერე მას ვერაფერი უშველის, აი, ვიდრე დოპინგოფიცრის ხელშია და არ დალუქულა, მანამ კი შეიძლება რალაც მაქინაციები. საქმეში უკეთ გასარკვევად საქართველოს ანტიდოპინგურ სააგენტოს მივმართეთ, სადაც იგივე დაგვიდასტურეს. მეტიც – როგორც გენერალურმა მდივანმა **თეიმურაზ უკლებამ** გვითხრა, ლაბორატორიაშიც კი გამორიცხულია სინჯის შეცვლა. მაგალითად კი სტამბოლის ლაბორატორია დაგვისახელა, რომელმაც თურმე თურქეთის საკალათბურთო პირველობაში მონაწილე ამერიკელ ქალბატონს დააფარა ხელი და როცა ეს გაირკვა, ვადამ ლიცენზია ჩამოართვა. ახლა იმ ლაბორატორიამ რამდენიმეწლიანი პროცედურები უნდა გაიაროს ლიცენზიის ხელახლა მისაღებად.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – თუ სიმართლეა, აქამდე რატომ არ გაახმაურებდნენ ამ ამბავსო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს პროცესი შეიძლება დროში გაიწელოს. მართალია, არა უსასრულოდ, მაგრამ გარკვეული პერიოდით მაინც. გონსალესს ანალიზს ბრაზილიაშივე აულებდნენ, ტურნირის დასრულებისთანავე, როგორც მედალოსანს – ესეც ვადას მკაცრი მოთხოვნაა. ცხადია, მისი პასუხი ანუ პირველი ტესტის შედეგი უკვე ცნობილი იქნება, მაგრამ თუ სპორტსმენმა ხელმეორე ანალიზი მოითხოვა, თუ საქმე სასამართლომდე მივიდა, მაშინ დროში გაჯანჯლდება. ოღონდ სასამართლომდე ვადა უკვე უფლებამოსილია, გვამცნოს, თუ ტესტის პასუხი დადებითია.

პირველი ტესტის პასუხი ეგრეთ წოდებულ ადამსის სიაში უკვე იქნება, მაგრამ ის ფრიად დახურული, გასაიდუმლოებული დოკუმენტაცია, რომელზეც ხელი მხოლოდ რამდენიმე ადამიანს მიუწვდება და ოფიციალურ განცხადებამდე იმათაც მკაცრად ეკრძალებათ ინფორმაციის გაცემა. იქ ცალკეულ სპორტსმენებზეც ინახება ინფორმაცია, მაგრამ მათ ანკეტებში შესასვლელად სპეციალური კოდია საჭირო, რაც ასევე რამდენიმე ადამიანის პრეროგატივაა.

ერთი სიტყვით, ასეთია ვითარება და ქართული მხარე საქმის კურსშია. იმედს ვიტოვებთ, რომ ვადაც, ძიუდოს ფედერაციაც და თუ საჭირო გახდება, უფრო მაღალი ინსტანციებიც გულმოდგინედ მიადევნებენ თვალს მოვლენათა განვითარებას და საქმეშიც ჩაერევიან, ვინძლო, კუბელებმა მართლაც არ სცადონ საქმის ჩაფარცხვა.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამბო

# დამატებითი ჩემპიონატი

2013 წელი სამბოს საიუბილეო წელიწადია - 75 წელი შეუსრულდა. ქართველმა სამბისტებმა წლეულს მსოფლიოს ორი ჩემპიონი შემატეს ქართულ სპორტს: **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (57 კგ) და **ლევან ნახუცრიშვილი** (68). ამ მაჩვენებლით წლეულს ისინი შეჯიბრებაში ინვევენ ჩვენში დანერგილ ნებისმიერ სპორტის სახეობას...

სამბოს ფედერაციამ წარმატებული სპორტული სეზონის ფინიშზე დამატებით კიდევ ერთი შიდა შეჯიბრება ჩაატარა, რათა 2014 წლის პირველ სტარტებს უფრო მომზადებული და გადახალისებული შემადგენლობით შეხვდეს.

მართალია, დიღმის სპორტკომპლექსის სარბიელზე სამბისტთა შეჯიბრებას საქართველოს თასი (პირადი პირველობა) ერქვა, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო საქართველოს კიდევ ერთი (წლეულს მეორე) ჩემპიონატი.

სამბოში ცხრა წონითი კატეგორიაა. ცხრიდან რვა ფინალი, როგორც მოჭიდავეები იტყვიან, „ქულა ქულაზე" მიდიოდა. ბოლო სასტვენამდე ძნელი იყო ჩემპიონის ამოცნობა. 90 კგ-ის ფინალში **პაატა ლვინიაშვილს** ტრავმის გამო საჭიდაოდ არ გამოუცხადდა მეორე ფინალისტი — **დავით კარბელაშვილი.**

ახალი მსოფლიოს ჩემპიონებიდან მხოლოდ **ლევან ნახუცრიშვილმა** იჭიდავა, თანაც ზედა წონაში და 74-ში ბრინჯაოს დაეუფლა. მეორე მსოფლიოს ჩემპიონი **ვახტანგ ჩიდრაშვილი** კი შეჯიბრებას ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. სხვათა შორის, მის წონაში (57 კგ) ყველა საპრიზო ადგილი იმერეთის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.



საქართველოს ჩემპიონები. მარცხნიდან: წინა რიგში - დიმიტრი მულაძე, გენადი ჩირგაძე, ბექა ტულუში, ზვიად ოდოშაშვილი
დგანან - გიორგი ნოზაძე, დავით კარბელაშვილი, დავით ლორიაშვილი, ნიკო კუცია და კახა მამულაშვილი

ფავორიტებმა სანადელს მიაღწიეს, მაგრამ გამოჩნდნენ შედარებით ახლებიც, რომლებიც მალე უდავოდ მაღალი საფეხურებისათვის იბრძოლებენ. მაგალითად, **ზაურ გაგნიძე, გიორგი პაპუნაშვილი** (82 კგ), **ზვიად კაპანაძე** (74), **მინდია ლილუაშვილი** (68), **ბექა ბერძენიშვილი** (+100), **სოსო იარაჯული** (90).

შეჯიბრებას ესწრებოდნენ სამბოში სხვადასხვა თაობის მსოფლიოს ჩემპიონები და გამოჩენილი მწვრთნელი, 92 წლის **ქრისტეფორე ნინიაშვილი.**

შეჯიბრების დასრულებისთანავე ნაკრები გუნდის 8 სამბისტი და უფროსი მწვრთნელი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ჯონდო მუზაშვილი** მოსკოვში გაემგზავრნენ A კატეგორიის სამბისტთა საერთაშორისო ტურნირზე საასპარეზოდ.

**ჰპარისხლებაი**

**52 კგ.** 1. დიმიტრი მულაძე (შიდა ქართლი), 2. გივი ნადარეიშვილი (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 3 იოსებ მელაძე (თბილისი), 3. ლევან ბერბერაშვილი (მცხეთა-მთიანეთი).

**57 კგ.** 1. გენადი ჩირგაძე, 2. ილია ტყეშელაშვილი, 3. იაგო დიხამინჯია, 3. ივანე გაჩეჩილაძე (ყველა-იმერეთი).

**62 კგ.** 1. ზვიად ოდოშაშვილი (შიდა ქართლი), 2. შმაგი ლაგაზაური (კახეთი), 3. რევაზ შველიძე (თბილისი), 3. ვარლამ შალიკაშვილი (იმერეთი).

**68 კგ.** 1. ბექა ტულუში (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 2. მინდია ლილუაშვილი (იმერეთი), 3. ზაზა პირველი (ქვემო ქართლი), 3. გოჩა ვარძელაშვილი (შიდა ქართლი).

**74 კგ.** 1. კახა მამულაშვილი (შიდა ქართლი), 2. ბესარიონ ბერულავა (სამეგრელო ზემო სვანეთი), 3. ლევან ნახუცრიშვილი (თბილისი), 3. ზვიად კაპანაძე (შიდა ქართლი).

**82 კგ.** 1. ნიკო კუცია (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 2. ზაურ გაგნიძე (ქვემო ქართლი), 3. გიორგი პაპუნაშვილი, 3. გიორგი დილებაშვილი (ორივე-შიდა ქართლი).

**90 კგ.** 1. დავით კარბელაშვილი, 2. პაატა ლვინიაშვილი (ორივე-შიდა ქართლი), 3. სოსო იარაჯული, 3. ფრიდონ ზურაბიანი (ორივე-მცხეთა-მთიანეთი).

**100 კგ.** 1. დავით ლორიაშვილი (ქვემო ქართლი), 2. ლაშა გურული (იმერეთი), 3. გიორგი ბოლოთაშვილი (შიდა ქართლი), 3. იასონ ნემსაძე (იმერეთი).

**+100 კგ.** 1. გიორგი ნოზაძე (შიდა ქართლი), 2. ბექა ბერძენიშვილი (მესხეთ-ჯავახეთი), 3. გიორგი ლაზუაშვილი (იმერეთი), 3. ამბროსი კონკროშვილი (თბილისი).

**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტო

ჭადრაკი

# როცა ლიდერები ფრთხილობენ



გიგა ყუფარაძე

სხვადასხვა რეგიონის 40 წარმომადგენელი მონაწილეობს თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 73-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრებაში. 9-ტურიანი მარათონი უმაღლესი ეშელონის 4 საგზურის მფლობელს გამოავლენს. გუშინ მე-5 ტურში ლიდერებმა სიფრთხილე გამოიჩინეს და მათი ხუთი პარტიიდან ოთხი ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ - გიგა ყუფარაძე-დავით ბენიძე, ნინო ხურციძე-ირაკლი კელეპტრიშვილი, დავით ლომსაძე-ზურაბ ჯავახაძე, ირაკლი ბერაძე-სოფიო გვეტაძე. ივერი ჭილლაძემ შავი ფიგურებით გაბრიელ ბეჭვაიას მოუგო და ქულებით (4-4) ერთპიროვნულ ლიდერ ბენიძეს გაუთანაბრდა. შვიდ მოჭადრაკეს 3.5-3.5 ქულა აქვს.

დღეს მე-6 ტურში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეუღლეების - საერთაშორისო ოსტატ ბაჩანა მორჩიაშვილისა და დიდოსტატ ნინო ხურციძის ორთაბრძოლა, ასევე, მეწინავეთა ჯგუფის შემდეგი შეხვედრები: ბენიძე-ჭილლაძე, გვეტაძე-ყუფარაძე, კელეპტრიშვილი-ბერაძე, ყაშაშვილი-ლომსაძე.

**ვაჟა დანელია**

ყურაში

# თედორე აბელაშვილი მსოფლიოს ჩემპიონია

ყურაში - უზბეკური ნაციონალური ჭიდაობა, შუააზიელებმა საერთაშორისო არენაზე გაიტანეს და დიდი ხანია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებსაც მართავენ. ამ ასპარეზობებში პერიოდულად ქართველი ფალავნებიც მონაწილეობენ.

ახლახან სტამბოლში 10 ქართველი შეუერთდა მორიგ მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. თურქეთში სულ 51 ქვეყნის წარმომადგენლები ჭიდაობდნენ. ჩვენებმა სამი მედალი მოიპოვეს - ბრინჯაო წილად ხვდა **გიორგი იაძეს** (90 კგ), ვერცხლი - **ალექსანდრე ნანიევს** (73), **თედო აბელაშვილმა** (100) კი ფინალურ შერკინებაში მსოფლიოს ჩემპიონ ირანელ რაჰნამაჯოზან ჰოჯატის სძლია და ოქროს მედალს დაეუფლა. თედო ქართული ჭიდაობის კარგი ოსტატია. არჩილ ჩოხელის შემდეგ ის მეორე ქართველი მოჭიდავეა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ყურაშში.



თედორე აბელაშვილი

**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტო

ჩოგბურთი

# ჯავახიშვილი მეოთხედფინალშია

პორტუგალიელი ანდრე გასპარ მურტა ჩოგბურთელ ვაჟთა ანტალიის საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მეშვიდე ნომრად იყო განთესილი. მეორე წრეში იგი "უაილდ ქარდით" მიწვეულ ქართველ ჩოგბურთელ **გიორგი ჯავახიშვილს** შეხვდა. ჩვენებურმა არა მარტო მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს, არამედ ორ სეტში ჩამოიშორა იგი გზიდან - 6:2, 6:4. ჯავახიშვილი მეოთხედფინალში ჰოლანდიელ ალბან მეუფელსს დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა ფრანგ მიხაელ ბოისს აჯობა. მეოთხედფინალში, ასევე, ითამაშებენ: თი ჩენი (ტაივანი)-ნიკიტა კრივონოსი (აშშ), ჟულიენ ობრი (საფრანგეთი)-ჰერკო პოლანენი (ფინეთი), ტრისტან ლამასინი (საფრანგეთი)-ალდინ სეტკიჩი (ბოსნია).

ყატარის 10.100-იან ტურნირში მონაწილეობდა მესამე ნომრად განთესილი **ნიკოლოზ ბასილაშვილი.** მეოთხედფინალში იგი კვალიფიკაციიდან ალზევებულ მილს ლოოსმანს (ჰოლანდია) იოლად დანებდა — 1:6, 3:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ვაჟა დანელია**

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ცურვა

# ნახევარფინალებს უახლოვდებიან

დანიაში მოკლე წყალზე გამართულ მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატში ოთხი ქართველი სპორტსმენი მონაწილეობდა. მართალია, ეროვნული ნაკრების წევრებმა პირადი მიღწევები გააუმჯობესეს და საქართველოს რამდენიმე რეკორდიც დაამყარეს, მაგრამ მათი შედეგები ჯერ კიდევ შორს დგას საუკეთესო ევროპული მაჩვენებლებისგან, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ ჩვენებურებმა ოცეულში ვერ შეაღწიეს, თუმცა დავით სიხარულიძეს, რომელიც ოთხი თვეა კალიფორნიის (აშშ) კოლეჯში სწავლობს და ვარჯიშობს, 100 მეტრზე თავისუფალი ყაიდით ნახევარფინალში მოსახვედრად 1.01 წამი დააკლდა. უკეთეს შედეგებს ველოდით ახალგაზრდებში 2012 წლის ევროპის პირველობის ბრინჯაოს პრიზიორ ირაკლი ბოლქვაძისგან, რომელიც უკვე 3 თვეა დუბაის ერთ-ერთ კლუბში ბრიტანელ მწვრთნელებთან იმაღლებს ოსტატობას.

**ირაკლი რევიშვილი:** 100 თავისუფალი ყაიდა - 50.54; 200 თ/ყ - 1.48.41; 400 თ/ყ -3.50.31 (ძველი დრო 3.54).

**ირაკლი ბოლქვაძე:** 100 ბრასი - 1.02.31; 200 ბრასი - 2.12.91,; 200 კომპლექსი - 2.03.64, 400 კომპლექსი - 4.20.69 (ძველი დრო 4:29).

**დავით სიხარულიძე:** 50 თ/ყ - 23.05; 100 თ/ყ - 49.81 (ძველი დრო 51), 200 თ/ყ - 1.50.50.

**თეიმურაზ კობახიძე:** 50 ბატერფლაი - 24.58 (ძველი დრო 25.1), 100 ბატერფლაი -55.21, 200 ბატერფლაი - 2.01.58, 50 თ/ყ - 23.72, 100 თ/ყ 51.25

ქართველი მოცურავეები 2014 წელს ბერლინში ეროპისა (დიდი წყალი) და დოჰაში მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის (მოკლე წყალი) მოემზადებიან.

**ვაჟა დანელია**

კროსვორდი



**თარაზულად:** 1. მოლდოვას საფეხ. კლუბი; 3. ... ბექჰემი. 4. მშვილდის ისრების ჩასაწყობი ჩანთა; 7. „აინტრახტის" ფეხბურთელი, მცველი; 8. ... გედევანიშვილი; 10. ლეგენდარული მოკრივე ლასლო ...; 12. ცნობილი სპორტული რეიტინგის ავტორი; 14. 11-გზის ოლიმპიური მედალოსანი მოცურავე; 15. კანადის პოპულარული ჰოკეის კლუბი; 17. ამერიკული საკალათბურთო კლუბი „... ჯაზი"; 19. ... ოფი; 21. საფრანგეთის საფეხ. კლუბი; 22. „სპორტინგის" ფეხბურთელი, ირვენ ...; 24. ამერიკელი ლეგენდარული ვაჟი ჩოგბურთელი; 26. საქართველოს სარაგბო გუნდი; 28. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში.

**შვეულად:** 1. საჭადრაკო ფიგურა; 2. „ბარსას" ფეხბურთელი ... ერნანდესი; 5. ლეგენდარული მოთხილამურე ... სვანი; 6. გამორჩეული სპორტსმენი გუნდში; 8. რბოლის მონაკვეთი; 9. კვიპროსის საფეხბ. გუნდი; 11. ლეგენდარული იტალიელი არბიტრი; 13. საფეხბ. კლუბი „... ემბაკმენტი"; 16. თურქეთის საკურორტო და სპორტული ქალაქი; 18. ესპანეთის საფეხბ. კლუბი; 20. გერმანიის საფეხბ. კლუბი; 23. კიევის „დინამოს", „პსვ"-ს თავდასხმელი, ჯერმეინ ...; 25. პარტიის ნაწილი ჩოგბურთში; 27. ... კინი.

შეადგინა
**თენგიზ თომაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოვრწყათ, თუ შევღებოთ

სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე" უამრავ არაფრისმომცემ ფოტოს შორის ერთი საინტერესოც აღმოჩნდა: გადამხმარ მოედანს მწვანედ ღებავენ. ვერ დავადგინე, რომელი ქვეყნის სტადიონი იყო, თუმცა გამახსენდა ერთი, თითქმის ანალოგიური შინაარსის სურათი, რომლის წარმომავლობა უკვე დადგენილია: 21-ე საუკუნეში ჩემპიონთა ლიგაზე ცსკა-"მანჩესტერ სიტის" მატჩის წინ რუსები სტადიონს „ლეიკით" რწყავდნენ.

გადამხმარი სტადიონები საქართველოშიცაა, თუმცა ბოლო დროს ხელოვნურსაფრიანი მოედნების რაოდენობამ იმატა, აღარც მორწყვა გვჭირდება და აღარც მოედნის გადაღებვა... არადა სად ბუნებრივ ბალახზე თამაში და სად - ხელოვნურ საფარზე. ბალახს ხომ თავისებური ეშხი, თავისებური სურნელი აქვს, რომელიც ნებისმიერი ფეხბურთელისთვის მშობლიურია.

*- იცი, რა სტადიონი ჰქონდა ძველი ანაგის „მილანს"? უნდა გენახა ტოკლიკიშვილი ხასხასა ბალახზე რა მაკრატელებს ურტყამდა, იტანდა კიდეც,* - გაიხსენა სამარშრუტო ტაქსიში ახალგაცნობილმა, საშუალო ხნის მეზობელმა და ორი მანდარინი შემომთავაზა.






მან მოედნიდან ტრიბუნებზე გადაინაცვლა და თხრობა განაგრძო:

*- საოცარი ამბები ტრიალებდა ძველ ანაგაში უმაღლესი ლიგის მატჩებისას - დიდიანპატარიანად ყველა ფეხბურთისთვის ემზადებოდა, ტრიბუნები ბოლომდე ივსებოდა და თუ „დინამოს" ან სხვა რომელიმე ძლიერ გუნდს დავამარცხებდით, ენით აუწერელი სიხარული ტრიალებდა. მატჩის დასრულების შემდეგ კი პატივისცემის გარეშე ერთ სტუმარსაც არ ვუშვებდით, საკლავიც ადგილობრივი გვქონდა და ღვინოც.*

მატჩის შემდგომ ამბებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ასეთი საფეხბურთო ცხოვრების პულსის მატება დღესაც მოუხდებოდა როგორც ანაგას, ასევე ნებისმიერ ქალაქსა თუ რაიონს. რაც მთავარია, სწორედ რეგიონებშია ბუნებრივი სტადიონები, რომლებსაც არც „ლეიკით" მორწყვა სჭირდება და არც საღებავით გადამწვანება...




# ეთნომუნდიალი

განვაგრძობთ მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნების წარმოდგენას. დღეს B ჯგუფის ჯერია, რომელშიც ესპანეთი, ჰოლანდია, ჩილე და ავსტრალია მოხვდნენ. შეგახსენებთ თამაშის წესებს: ქვეყნები ერთმანეთს ოთხ ეთნოკრიტერიუმში ეჯიბრებიან და ჯგუფიდან ორი საუკეთესო გადის.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას A ჯგუფიდან ბრაზილია და ხორვატია გავიდნენ.



**B ჯგუფი**

## ესპანეთი

**სახელი**

სიტყვა „ესპანეთი" ფინიკიური წარმოშობისაა, „ი-შპანიმ" „კურდღლების სანაპიროს" ნიშნავს.

**სამოსი**



**ტრადიცია**

ქალაქ პამპლონაში 7-14 ივლისს ხარებს ქუჩებში უშვებენ და ხალხი მათგან თავის დაღწევით მოქნილობისა და მოხერხებულობის გამოვლენას ცდილობს.

ესპანელებმა ხარებთან ბრძოლის ტრადიცია ერთგვარ სპორტადაც აქციეს, რომელსაც კორიდა ეწოდება.

**სახე**

ელენა ხიმენესი



## ჰოლანდია

**სახელი**

ჰოლანდიის ზოგი ადგილი ზღვის დონეზე დაბალია. ამ ქვეყანას ამიტომაც ჰქვია „ნიდერლანდი", რაც „დაბალ მიწას" ნიშნავს.

**სამოსი**



**ტრადიცია**

ცოდვად ითვლება ახლობლის დაბადების დღის დავიწყება, ამიტომ ჰოლანდიაში ბევრგან შეხვდებით საპირფარეშოს კარზე ჩამოკიდებულ კალენდარს დაბადების დღეების აღნიშვნით.

**სახე**

ჟაკლინ სტენბეკი



## ჩილე

**სახელი**

არავაკელი ინდიელების ენაზე „ჩილე" სიცივეს, ზამთარს ნიშნავს. დაგვეთანხმებით, მაღალმთიანი ჩილესთვის შესაფერი სახელწოდებაა.

**სამოსი**



**ტრადიცია**

ჩილეში მისალმებისას ხელის ჩამორთმევით არ იფარგლებიან - აუცილებელია დიდი სიხარულის გამოხატვა, ხელების ქნევა და ლოყაზე კოცნა, მიუხედავად იმისა, იცნობ თუ არა პიროვნებას.

**სახე**

კამილა ანდრადე



## ავსტრალია

**სახელი**

ლათინურად „ტერა აუსტრალის" „სამხრეთის მიწაა". შეხსენება არ დაგჭირდებათ, რომ ავსტრალია სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარეობს.

**სამოსი**



**ტრადიცია**

ავსტრალიელ აბორიგენებს ახალგაზრდები განმარტოებულ, ბნელ ადგილას მიჰყავთ, ბელადი თეთრ ტალახს ისვამს და მათ შეშინებას ცდილობს. ვინც გამოცდას ვერ გაუძლებს, ქორწინების უფლება არ ენიჭება.

**სახე**

ერინ ჰოლანდი



## შეფასება

**სახელი**

თუ საინტერესოობის მიხედვით ვიმსჯელებთ, პირველ ადგილზე ესპანეთი უნდა დავაყენოთ: ესპანეთი - 4 ქულა, ჩილე - 3, ჰოლანდია - 2, ავსტრალია - 1.

**სამოსი**

ჰოლანდია - 4, ესპანეთი - 3, ჩილე - 2, ავსტრალია - 1.

**ტრადიცია**

ამ კომპონენტში რომელიმეს გამორჩევა რთულია. მაგრამ მაინც: ჰოლანდია - 4, ავსტრალია - 3, ჩილე - 2, ესპანეთი - 1.

**სახე**

ესპანეთი - 4, ჰოლანდია - 3, ავსტრალია - 2, ჩილე - 1.

## ჯამი

ჰოლანდია - 13 ქულა, ესპანეთი - 12, ჩილე - 8, ავსტრალია - 7.

ასე და ამგვარად, ჯგუფში პირველ ადგილზე ჰოლანდია გავიდა და A ჯგუფის მეორეადგილოსან ხორვატიას დაუპირისპირდება, ხოლო B ჯგუფის მეორეს, ესპანეთს, მერვედფინალში ბრაზილია ელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ქართული ექვსეული ისევ მოწინავეა

**ევროთასების გათამაშების ორი ტურის შემდეგ საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში შეჯიბრება მე-14 ტურის შეხვედრებით განახლდება. ამ ტურით ჩემპიონატის მეორე წრე გაიხსნება. პირველი კი დავით ზირაქაშვილის „კლერმონმა“ მოიგო. ქართველ მორაგბეთა გუნდები ლიდერები არიან და სატურნირო ცხრილის პირველი ექვსი საფეხური უჭირავთ.**



მოლის ცენტრში ანტონ ფეიქრიშვილი

როგორც უკვე ვთქვით, „კლერმონი“ პირველ ადგილზეა და მე-14 ტურში შინ მიიღებს აუტსაიდერ ბასკურ „ბიარიცს“. ამ უკანასკნელმა ბოლო ხანს თამაშის ხარისხი გამოასწორა და ოდნავ წამოეწია კონკურენტებს, თუმცა სტუმრად „ვულკანებთან“ გამარჯვება ძალიან გაუჭირდება. როგორც ჩანს, „ბიარიცს“ სერიოზული კრიზისი აქვს, რადგან გუნდიდან წასვლას აპირებს ლიდერი, ქართული წარმოშობის ფრანგი, ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი.**

„კლერმონი“ ევროთასებზეც წარმატებით ასპარეზობს და ნაკლებად სავარაუდოა, ბასკებთან დაპირისპირებაში წაიფორხილოს. მით უფრო, რომ ტრავმა მოიშუშა და, გამორიცხული არ არის, „ბიარიცთან“ ითამაშოს კიდეც **დავით ზირაქაშვილმა.**

„ვულკანებს“ ოთხი ქულით ჩამორჩება ქართველ მორაგბეთა ერთბაშად სამი გუნდი. მეორე საფეხური სატურნირო ცხრილში **ლევან ჩილაჩავასა და კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონს“ უკავია, რომელსაც, ისევე როგორც შარშან, ქვეყნის ჩემპიონობა და „ჰაინეკენის თასის“ მფლობელობა აქვს მიზნად დასახული. ტულონელები ორივე ფრონტზე ჯერჯერობით წარმატებით იბრძვიან, თუმცა ფინიშამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და რაიმეს გადაჭრით პროგნოზირება ძალიან ძნელია.

„ტულონი“ მე-14 ტურში **მამუკა გორგოძისა და მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“ მასპინძლობს, რომელიც მეტოქეს ორი ქულით ჩამორჩება და მე-6 ადგილზეა. მონპელიელებმა „ჰაინეკენის თასის“ გათამაშებაში პლეი ოფში გასვლის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგეს და, სავარაუდოდ, მთელ კონცენტრაციას საფრანგეთის ჩემპიონატის შეხვედრებზე მოახდენენ.

საგულისხმოა, რომ ევროთასების ბოლო მატჩში **ფაბიენ გალტიემ** ინგლისური „სეილ შარქსის“ წინააღმდეგ სათამაშოდ თითქმის სათადარიგო შემადგენლობა გაიყვანა და წამყვანი მოთამაშეების უმრავლესობას სულის მოთქმისა და ძალების მოკრების საშუალება მისცა. რასაც ვერაფრით ვიტყვით „ტულონზე“. ერთი სიტყვით, თამაში საკმაოდ საინტერესო უნდა გამოდგეს და ვნახავთ, გაამართლებს თუ არა გალტიეს სტრატეგია.

მიქაუტაძე, გორგოძე და ნარიაშვილი, სავარაუდოდ, ითამაშებენ. ჩილაჩავა, მართალია, ჯანმრთელადაა, მაგრამ ასპარეზობა იშვიათად უწევს. საქართველოს ნაკრების პირველხაზელს გუნდთან კონტრაქტი უმთავრდება და მასთან ხელშეკრულების გაფორმების მსურველები ინგლისური გუნდები, „გლოსტერი“ და „ვორსტერი“ არიან.

36 ქულით მესამე ადგილზეა საფრანგეთის ჩემპიონი, **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, რომელიც მე-14 ტურში შინ მიიღებს **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანს“. კასტრელები საშინაო არენიდან გახარებულს არავის უშვებენ და არც ახლა იქნება მოულოდნელი, თუ კატალონიურ გუნდს, რომელსაც ჯერ რკიდევ არ აქვს დაძლეული კრიზისი, შინ გაწბილებულს გაისტუმრებენ.

„პერპინიანი“ 30 ქულით მე-10 ადგილზეა და, მეტოქისგან განსხვავებით, ვერც ევროთასებზე ყოჩაღობს. ამას ისიც დაერთო, რომ ტრავმა მიიღო გუნდის წამყვანმა პირველხაზელმა გიორგი ჟღენტმა. ეს კი, კატალონიელებს სახარბიელო მდგომარეობაში არ აყენებს.

მესამე „ქართული გუნდი“, რომელიც ლიდერ „კლერმონს“ ოთხი ქულით ჩამორჩება, ფრანგული რაგბის გრანდი, **ჯაბა ბრეგვაძისა და ვასილ კაკოვინის** „ტულუზია“, რომელიც მე-14 ტურში შინ მიიღებს მეცხრეადგილოსან „ბორდოს“. ტულუზელებმა თითქოს პოზიციები დათმეს, რაც ძირითადად მათი წამყვანი მოთამაშეების ხშირი ტრავმებითაა გამოწვეული. თუმცა, ყველა პრობლემის მიუხედავად, ჩვენებურთა გუნდი მაინც ახერხებს მოწინავეთა რიგებში ყოფნას, როგორც ევროპულ, ისე საშინაო არენაზე.

წესით, შინ „ბორდოსთან“ მოგება „ტულუზს“ არ უნდა გაუჭირდეს. ამდენად, ბრეგვაძეს, რომელმაც ტრავმა ახლახან მოირჩინა, ალბათ მეტი სათამაშო დრო მიეცემა. კაკოვინი დაშავებულია და ვერ ითამაშებს.

„ქართული გუნდების“ ამ ტრიოს ერთი ქულით ჩამორჩება და მეხუთე ადგილზეა **ზურაბ ჟვანიასა და დავით ქუბრიაშვილის** „სტად ფრანსე“. პარიზელებმა ნელ-ნელა შეძლეს კრიზისიდან გამოსვლა და წლეულს პლეი ოფში მოხვედრის კარგი შანსი აქვთ. ჩვენებურთა გუნდი მე-14 ტურში შინ ეთამაშება „გრენობლს“. „ალპელებს“ მეტოქეზე ორი ქულით ნაკლები აქვს და მე-7 ადგილზეა. ეს ფაქტი, საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ თამაში უშელავათო იქნება. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „გრენობლი“ მაინც სახლის გუნდია და სტუმრად თამაშისას იშვიათად აღწევს წარმატებას.

ნიშანდობლივია, რომ „სტად ფრანსე“ წარმატებით ასპარეზობს „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაშიც. რაც იმის დასტურია, რომ გუნდს საკმაოდ დიდი პოტენციალი და ადამიანური რესურსი გააჩნია.

ჯერჯერობით დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის **გოდერძი შველიძისა** და **კარლენ ასეიშვილის** „ბრივი“, რომელიც შინ მიიღებს **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგს“. ეს პარიზული გუნდი, მეტოქისგან განსხვავებით, პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვის. „მეტრო რასინგს“ 31 ქულა აქვს და მე-8 ადგილზეა.

**I დივიზიონი**

**XIV ტური**

**სტად ფრანსე-გრენობლი, ტულონი-მონპელიე, ოიონაქსი-ბაიონი, კლერმონი-ბიარიცი, კასტრი-პერპინიანი, ბრივი-მეტრო რასინგი, ტულუზი-ბორდო.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 40 ქულა, 2. ტულონი - 36, 3. კასტრი - 36, 4. ტულუზი - 36, 5. სტად ფრანსე - 35, 6. მონპელიე - 34, 7. გრენობლი - 33, 8. მეტრო რასინგი - 31, 9. ბორდო - 30, 10. პერპინიანი - 30, 11. ბრივი - 28, 12. ოიონაქსი - 25, 13. ბაიონი - 25, 14. ბიარიცი - 17.



ბურთით ზურაბ ჟვანია

საქართველოს ჩემპიონატი



არმია-ხარები

# პირველი ეტაპის ბოლო ტური

**საქართველოს ჩემპიონატის მე-12 ტური წლეულს ბოლო იქნება, რომლის შემდეგაც ეგრეთ წოდებული „ზამთრის ჩემპიონი“ გამოვლინდება. თუმცა, ის მაინც არ იქნება სრულყოფილი, რადგან რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო ორი თამაშის გამართვა ვერ მოხერხდა. მომავალ უქმეებზე გამართული მატჩების შემდეგ ეროვნულ ჩემპიონატში შესვენება მარტამდე გამოცხადდება.**

მანამ კი, სატურნირო ცხრილს სათავეში ისევ მოქმედი ჩემპიონი თბილისის „ლელო“ ჩაუდგა. თუმცა, პოტენციური ლიდერი ქუთაისის „აია“, რომელმაც მე-11 ტურის შეხვედრა „ბათუმთან“ უამინდობის გამო გამოტოვა. „ლელომ“ კი, „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ ერთ-ერთ აუტსაიდერს, თბილისის „აკადემიას“ დამაჯერებლად სძლია - 32:0.

ამ მატჩში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ აკადემიელებს სერიოზული პრობლემები აქვთ და უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლა თავდაუზოგავად მოუწევთ. „ლელომ“ კი, ზედიზედ ორი წაგებული თამაშის შემდეგ ხასიათი გამოიკეთა. მომდევნო ტურში ლელოელები სტუმრად ითამაშებენ კიდევ ერთ აუტსაიდერ რუსთავის „ხარებთან“.

ტურის ცენტრალური მატჩი თბილისში, „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ გაიმართება, სადაც მეორეადგილოსანი თბილისის „ლოკომოტივი“ ქუთაისის „აიას“ დაუპირისპირდება. დღესდღეობით ორივე გუნდს 36-36 ქულა აქვს და მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ. რკინიგზელები, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი სეზონის წინ წამყვან მოთამაშეებს კარგავენ, მაინც ინარჩუნებენ ადგილს ლიდერთა მარაქაში და ამჯერადაც ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტები არიან.

„ლოკომოტივმა“ წინა ტურში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა თბილისის „არმაზთან“, რითაც თავისი ამბიციების საფუძვლიანობა დაამტკიცა. ამ შეხვედრაში პირველად გაიბრწყინა რკინიგზელთა ახალწვეულმა, მგეზავმა **გოდერძი ჭინჭარაულმა**, რომელიც გუნდში „ლელოდან“ გადაბარგდა. ცხადია, მას მხარი საქართველოს ნაკრების ფულბეკმა **ბექა წიკლაურმაც** აუბა, რომელიც მიმდინარე გათამაშებაში ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა.

„აიას“ და „ლოკომოტივის“ დაპირისპირებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ქუთათურებს ტრადიციულად უჭირთ რკინიგზელთა გუნდთან თამაში. აკი პირველ წრეში, „აიამ“ შინ მეტოქეს ვერაფერი დააკლო და ჩემპიონატში პირველი მარცხი იგემა. ცხადია, ქუთაისელი მორაგბეები რევანშის აღებას შეეცდებიან. მით უფრო, რომ განვლილ ტურში არ უთამაშიათ და ძალების დაზოგვას შეძლებდნენ.

მე-12 ტურში გამორჩეული იქნება ასევე „ჯიქებისა“ და „არმაზის“ დაპირისპირება. ეს გუნდები სატურნირო ცხრილში მეზობლები არიან და პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვიან. „არმაზის“ მარცხის შესახებ „ლოკომოტივთან“ უკვე ვთქვით. ისიც არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ „ჯიქები“ ახალგაზრდული და ბოლომდე მებრძოლი გუნდია. **გიორგი ამირხანაშვილის** სამწყსომ მეორე წრე „ლოკომოტივთან“ ხმაურიანი გამარჯვებით დაიწყო და მისი წინსვლა განვლილ ტურში ბოლნისის „ყოჩებმა“ დაამუხრუჭეს.

„ჯიქებს“ შესანიშნავი შანსი აქვს, გამარჯვების შემთხვევაში მოწინავე ექვსეულში პოზიცია გაიმყაროს. თუმცა, ისიც ალსანიშნავია, რომ „არმაზს“ ერთი მატჩი აუტსაიდერ „ბათუმთან“ თადარიგში აქვს. ერთი სიტყვით, ამ ორი, თითქმის ტოლ-სწორი გუნდის დაპირისპირება საინტერესო უნდა გამოდგეს და ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს.

მეორე წრეში მწყობრში ჩადგა „არმია“, რომლის სათვალავიდან ამოღება არაფრით არ შეიძლება. არმიელებმა „ლოკომოტივისა“ და „აიას“ მსგავსად 36 ქულა დააგროვეს და ახლა მე-4 ადგილზე არიან. მათი მეტოქე სტუმრად აუტსაიდერი „ბათუმი“ იქნება, რომელთანაც, სავარაუდოდ, მორიგი გამარჯვების მოპოვება არ უნდა გაუჭირდეთ და ჩემპიონატის პირველ ეტაპს მოწინავე სამეულში დაამთავრებენ. თუმცა, თეორიულად იმის შანსიც არსებობს, რომ სულაც ლიდერები გახდნენ.

საინტერესო ბრძოლა შედგება თბილისის „აკადემიასა“ და ბოლნისის „ყოჩებს“ შორის. ეს უკანასკნელი თამაშიდან-თამაშამდე უმატებს და შეჯიბრების ბოლოს, ვფიქრობთ, ერთ-ერთ ფავორიტად მოგვევლინება.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 11 | 8 | 0 | 3 | +141 | 39 |
| 2. ლოკომოტივი | 11 | 8 | 0 | 3 | +63 | 36 |
| 3. აია | 10 | 8 | 0 | 2 | +86 | 36 |
| 4. არმია | 11 | 7 | 1 | 3 | +102 | 36 |
| 5. ყოჩები | 11 | 6 | 1 | 4 | +34 | 30 |
| 6. ჯიქები | 11 | 5 | 2 | 4 | +57 | 29 |
| 7. არმაზი | 10 | 6 | 0 | 4 | -16 | 26 |
| 8. ხარები | 11 | 1 | 0 | 10 | -142 | 7 |
| 9. აკადემია | 11 | 1 | 0 | 10 | -177 | 7 |
| 10. ბათუმი | 9 | 1 | 0 | 8 | -148 | 6 |

**XII ტური**

**ბათუმი-არმია, ხარები-ლელო, აკადემია-ყოჩები, ლოკომოტივი-აია, ჯიქები-არმაზი.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მაიამი შინ გადარჩა


უეიდმა 32 ქულა დააგროვა

გუშინდელი დიდი სათამაშო დღის მშვენება იყო აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერთა მატჩი „მაიამისა“ და „ინდიანას“ შორის. შეხვედრის წინ მთავარი საკითხი იყო **ლებრონ ჯეიმსის** ტრავმირებული ფეხის მდგომარეობა, რის გამოც მან ბოლო რამდენიმე ვარჯიში გამოტოვა. საბოლოოდ, ლებრონმა შეძლო მოედანზე გასვლა და საკუთარი გუნდის წარმატების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი გახდა - „მეფე“ კვლავ ახლოს იყო სამმაგ დუბლთან - 24 ქულა, 9 მოხსნა და 7 შედეგიანი პასი.

არადა, „მაიამისთვის“ ორმეოთხედნახევარი ძალიან ცუდად ვითარდებოდა და მესამე 12-წუთეულში „ინდიანა“ 15 ქულით იყო წინ. მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხა „ჰიტმა“ თანდათან სხვაობის შემცირება, ხოლო მეოთხე მეოთხედის ბოლოს, 10:0 გაქცევის შემდეგ კი „ინდიანას“ უპირატესობისგან ალარაფერი დარჩა. შეხვედრამ კულმინაციას მიაღწია და აქ გადამწყვეტი როლი ითამაშა ჯეიმსის პლეიმეიკერულმა თვისებებმა. მან ჯერ **კრის ბოშს** ჩააგდებინა სამქულიანი, შემდეგ **რეი ალენს**. პირველი შორეული ტყორცნის შემდეგ, ანგარიში გათანაბრდა - 92:92, მეორემ კი „მაიამის“ ლიდერობა მოუტანა - პირველად სასტარტო მეოთხედის შემდეგ და ფლორიდელებმა შანსი ხელიდან აღარ გაუშვეს.

**უესტის** ორმა ზუსტმა საჯარიმომ სირენამდე 44 წამით ადრე, მოედანზე დუღილის ტემპერატურა მაქსიმუმამდე გაზარდა, მაგრამ დარჩენილ დროში თამაშიდან ბურთის ჩაგდება ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო. **კრის ანდერსენმა** საშუალო დისტანციიდან სროლა გარისკა და ააცილა, **პოლ ჯორჯმა** კი პოტენციურად გამარჯვების მომტანი შეტევისას დაკარგა ბურთი, რაც მის გუნდს ძვირად დაუჯდა.

„პეისერსი“ იძულებული იყო, ჯარიმა აელო ალენზე, რომელიც ორივეჯერ ზუსტი გახლდათ საჯარიმოს ხაზიდან და სირენამდე 10 წამით ადრე, მასპინძლები სამი ქულით იგებდნენ. „ინდიანას“ გადარჩენა საკუთარ თავზე ჯორჯმა აიღო, მაგრამ მისმა სამქულიანმა მიზანს არ მიაღწია. სტუმრების ლიდერი დიდხანს უმტკიცებდა მსაჯებს, რომ სროლის დროს, მასზე ლებრონი წესებს არღვევდა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

ამ გამარჯვების წყალობით, „მაიამიმ“ მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა „პეისერსთან“. „ინდიანას“ ხუთი წაგება აქვს რეგულარულში, „ჰიტს“ - ექვსი.

**მაიამი-ინდიანა 97:94**

22:26, 19:26, 30:24, 26:18

მ: უეიდი (32), ჯეიმსი (24), ბოში (15).
ი: ჯორჯი (25), დევ. უესტი (23), სტივენსონი (13).

# ლებრონი ყველაზე გაყიდვადია

ეროვნულმა საკალათბურთო ლიგამ თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა 2013 წელს მაისურების გაყიდვის შედეგები. ზედიზედ მეხუთედ, პირველ ადგილზეა „მაიამი ჰიტის“ ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი**. „ფილადელფია სიქსერზის“ გამთამაშებელი **მაიკლ კარტერ-უილიამსი** ერთადერთი დებიუტანტია ამ სიაში - ის მე-15 ადგილზე იმყოფება.

ადგილები გაცვალეს „ლეიკერსის“ მცველმა **კობი ბრაიანტმა** და „ჩიკაგო ბულზის“ გამთამაშებელმა **დერიკ როუზმა** - კალიფორნიელს ახლა მეორე ადგილი უკავია. **სტივენ კარი** „გოლდენ სტეიტიდან“, **ჯეიმს ჰარდენი** „ჰიუსტონიდან“ და **პოლ ჯორჯი** „ინდიანადან“ პირველად მოხვდნენ ამ სიაში.

გთავაზობთ სიას სრული შემადგენლობით:

1. **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი“), 2. **კობი ბრაიანტი** („ლეიკერსი“), 3. **დერიკ როუზი** („ჩიკაგო“), 4. **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა“), 5. **კარმელო ენტონი** („ნიუ იორკი“), 6. **სტივენ კარი** („გოლდენ სტეიტი“), 7. **დუეინ უეიდი** („მაიამი“), 8. **კრის პოლი** („კლიპერსი“), 9. **კაირი ირვინგი** („კლივლენდი“), 10. **ბლეიკ გრიფინი** („კლიპერსი“), 11. **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა“), 12. **ჯეიმს ჰარდენი** („ჰიუსტონი“), 13. **რაჟონ რონდო** („ბოსტონი“), 14. **პოლ ჯორჯი** („ინდიანა“), 15. **მაიკლ კარტერ-უილიამსი** („ფილადელფია“).


ლებრონ ჯეიმსი

# პორტლენდი დაიღალა

დასავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილი დაკარგა „პორტლენდმა“, რომლისთვისაც „მინესოტასთან“ გასვლითი მატჩი მეოთხე იყო ბოლო ხუთ დღეში. „ბლეიზერსი“ ბოლო შეხვედრებში ბოლო წამებზე ახერხებდა მოგებას, მაგრამ, ახლა, ვერაფერი მოუხერხა მასპინძლების ლიდერ **კევინ ლავს**. ამ უკანასკნელმა მთლიანად დაჩაგრა ბოლო ორი კვირის საუკეთესო მოთამაშე **ლამარკუს ოლდრიჯი**. პირველ 16 წუთში ლავმა 17 ქულა, 10 მოხსნა და 6 შედეგიანი პასი დააგროვა და საკუთარ გუნდს კომფორტული ორნიშნა უპირატესობა მოუტანა.

„ბლეიზერსმა“ სამქულიანების ხარჯზე სცადა სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ „მინესოტა“ ახლოს არ უშვებდა მეტოქეს და 120:109 გაიმარჯვა. ამ მოგებით, „მგლებმა“ გათამაშების ცხრილში მოგება-წაგების თანაბარი ბალანსი მიიღეს (13-13) და დასავლეთ კონფერენციაში მეათე ადგილზე გადავიდნენ.

■ ■ ■

ორი დღის წინ, „ნიუ იორკმა“ „ვაშინგტონთან“ წააგო. მაშინ **კარმელო ანტონიმ** გაუშვა შანსი ბოლო წამებზე, როცა წარუმატებელი სოლო ნომერი ჩაატარა, არადა, იმ მომენტში „ნიქსს“ ტაიმ-აუტიც ჰქონდა მარაგში და მხოლოდ ორ ქულას აგებდა. გუშინ, ნიუიორკელებმა ისევ უაზრო ბოლო წამები ითამაშეს „მილუოკისთან“, თანაც, ეს ორჯერ გააკეთეს.

ძირითადი დროის ბოლო წუთზე, ორივე მეტოქემ გაუშვა მოგების შანსი - თამაშიდან ორ-ორი ბურთი ააცილეს. პირველი ოვერტაიმის შუაში „ნიუ იორკი“ ორი ქულით დაწინაურდა - 94:92. და ისევ გაგრძელდა არაზუსტი სროლების სერია. ამ ანტიკალათბურთის აპოგეა გახდა იტალიელი **ანდრეა ბარნიანის** სამქულიანი. „ნიქსის“ ფორვარდმა შორიდან ისროლა იმის მიუხედავად, რომ მისი გუნდი იგებდა და სირენამდე კიდევ 12 წამი რჩებოდა.

ფარიდან ბურთი მასპინძლებმა მოხსნეს და **ჰენსონის** მონდომებით გაათანაბრეს ანგარიში. და მაინც, გამარჯვება სტუმრებმა მოიპოვეს, რაც კარმელო ენტონის დამსახურებაა. სწორედ მან დააგროვა თავისი გუნდის ბოლო რვა ქულა.

**მილუოკი-ნიუ იორკი 101:107 (2ო)**

22:24, 22:21, 22:23, 21:19, 7:7, 7:13

მ: ნაითი (36), მიდლტონი (20), ჰენსონი (20+14 მოხსნა), ილიასოვა (11), ანტეტოკუნმპო (10).
ნ-ი: ენტონი (29), უდრიხი (21), ჯ.-ა. სმიტი (19), ბარნიანი (12+10 მოხსნა).

**ორლანდო-იუტა 82:86**

20:27, 19:22, 23:19, 20:18

ო: ნელსონი (17), ვუჩევიჩი (14+14 მოხსნა), ტობ. ჰარისი (14+10 მოხსნა), გ. დევისი (12), ე. მური (10).
ი: ბერკი (30), ჰეივორდი (15), ფეივორსი (14+11 მოხსნა), ბერკსი (13).

**ტორონტო-შარლოტი 102:104 (ო)**

15:18, 32:19, 23:33, 25:25, 7:9

ტ: დეროზანი (30), ლოური (17), სალმონსი (11), ა. ჯონსონი (10+13 მოხსნა), ვალანჩუნასი (10).
შ: უოკერი (29), ელ ჯეფერსონი (24), მაკრობერტსი (13), ჰენდერსონი (11), სეშენსი (11), ტოლივერი (10).

**ატლანტა-საკრამენტო 124:107**

28:26, 25:28, 32:33, 39:20

ა: კორვერი (28), ჰორფორდი (25+10 მოხსნა), ჯ. ტიგი (18+15 პასი), კეროლი (15), მილსეპი (14), სკოტი (10).
ს: კაზინსი (28), გეი (22), ა. ტომასი (20+10 პასი), დერ. უილიამსი (12), მაკლემორი (10).

**ბოსტონი-დეტროიტი 106:107**

42:23, 21:29, 18:28, 25:27

ბ: სალინჯერი (19), კროუფორდი (17), ბრედლი (14), ჯ. გრინი (13), ბასი (11), ჰემფრიზი (10), კ. ლი (10).
დ: ჯენინგსი (28+14 პასი), ჯოშ სმიტი (20), დრამონდი (14), მონრო (12), სინგლერი (11).

**ბრუკლინი-ვაშინგტონი 107:113**

28:30, 25:29, 24:26, 30:28

ბ: პირსი (27), ბ. ლოპესი (22), ჯ. ჯონსონი (20), დერონ უილიამსი (15+13 პასი), ბლეტჩი (12).
ვ: უოლი (21), ნენე (17), ბილი (15), არიზა (15), უებსტერი (13), გორტატი (10), სერაფინი (10).

**მინესოტა-პორტლენდი 120:109**

31:22, 38:21, 29:35, 22:31

მ: პეკოვიჩი (30), ლავი (29+15 მოხსნა), კევ. მარტინი (22), ბარეა (10).
პ: ლილარდი (36), ბატუმი (20), მეტიუზი (16), ოლდრიჯი (15+14 მოხსნა).

**დალასი-მემფისი 105:91**

27:21, 25:18, 26:27, 27:25

დ: ნოვიცკი (20), ელისი (18), კარტერი (14), კალდერონი (12), მერიონი (10).
მ: ტ. ალენი (16+10 მოხსნა), ზ. რენდოლფი (14), ლოიერი (14), ე. დევისი (12), ჯ. ჯონსონი (11).

**ჰიუსტონი-ჩიკაგო 109:94**

24:16, 33:30, 26:20, 26:28

ჰ: ჰოვარდი (23), პარსონსი (19), ჰარდენი (19), ბევერლი (15), კასპი (11).
ჩ: ბატლერი (20), დენგი (18), ბუზერი (17), გიბსონი (14).

**ფინიქსი-სან ანტონიო 101:108**

34:29, 24:30, 23:28, 20:21

ფ: ფრაი (22), დრაგიჩი (18), ბლედსოუ (15), პლამლი (13+13 მოხსნა), მარკიფ მორისი (12).
ს-ა: ჯინობილი (24), დანკანი (17+13 მოხსნა), ლეონარდი (14), მილზი (12).

**კლიპერსი-ნ. ორლეანი 108:95**

27:22, 25:23, 26:20, 30:30

კ: გრიფინი (21+10 მოხსნა), დადლი (20), კროუფორდი (17), ჯორდანი (14+20 მოხსნა), კოლისონი (14), პოლი (12+11 პასი), უ. გრინი (10).
ნ-ო: ენტ. დევისი (24+12 მოხსნა), რ. ანდერსონი (17), ჰოლიდეი (13+10 პასი), ევანსი (11+13 მოხსნა+10 პასი), მოროუ (11).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# როდმანი: მესამედ კორეაში



დენის როდმანი

სკანდალურად ცნობილი ამერიკული კალათბურთელი **დენის როდმანი** ჩრდილოეთ კორეაში მესამე ვიზიტს გეგმავს, თუმცა ექსჩიკაგოელი არ აპირებს პოლიტიკაში ჩაბმას და უბრალოდ იქაური ნაკრების განვრთნა აქვს განზრახული. მას ასევე დროის მხიარულად გატარება უნდა, - წერს სააგენტო „როიტერი“.

ჩრდილოეთ კორეის ნაკრებს რამდენიმე ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი აშშ-ის გუნდებთან და სწორედ ამ შეხვედრებისთვის აპირებს ეროვნული გუნდის მომზადებას როდმანი. მისი განცხადებით, ის არ განიხილავს ჩრდილოეთ კორეის ლიდერთან **კიმ ჩენ ინთან** მისი ბიძის **ჩან სონ ჩეკის** სიკვდილით დასჯას, რის შესახებაც ინფორმაცია გასულ კვირას გავრცელდა.

*„ამას ჩემთან არანაირი კავშირი არ აქვს. ის მაქვს მხედველობაში, რომ ასეთი ამბები იქ დიდი ხანია ხდება,* - განაცხადა კალათბურთელმა გამგზავრების წინ. - *მე იქ მხოლოდ იმისთვის მივდივარ, რომ რამე კარგი გავაკეთო ადამიანებისთვის, ვითამაშო და კორეელ ბავშვებს კალათბურთი შევაყვარო“.*

ამასთან, როდმანმა არ გამორიცხა, რომ შეიძლება ჩრდილოკორეელ ლიდერთან ერთად განიხილოს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ამის შესახებ თავად კიმ ჩენ ინი ჩამოაგდებს სიტყვას.

*„თუ ისე მოხდება, რომ ის თავად მოინდომებს ამის შესახებ ლაპარაკს, მეც ავყვები, მაგრამ ჩემგან ინიციატივა არ იქნება, რადგან არ მინდა მან იფიქროს, რომ მე, როგორც მისი მეგობარი, ვცდილობ გამოვიყენო ეს ფაქტორი და უცებ, პოლიტიკაზე დავიწყო საუბარი. ეს არ მოხდება“,* - ახსნა როდმანმა.

## ამბები

**კალათბურთი**

### აშიქი ბოსტონში გადავა

„ჰიუსტონმა“ და „ბოსტონმა“ გააგრძელეს მოლაპარაკებები თურქი ცენტრის, **ომერ აშიქის** გაცვლის თაობაზე. ვარაუდობენ, რომ „როკეტსი“ ამ გარიგების თანახმად მიიღებს ფორვარდ **ბრენდონ ბასსა** და მცველ **კორტნი ლის**. გარდა ამისა, „ჰიუსტონს“ 2014 წლის დრაფტის პირველ რაუნდში არჩევის უფლების მიღება სურს.

შეგახსენებთ, რომ აშიქმა თავად მიმართა თხოვნით „ჰიუსტონის“ ხელმძღვანელობას გაცვლის თაობაზე.

**ფორმულა 1**

### გადარჩენილი როსბერგი

ამ დღეებში, ბაჰრეინში მიმდინარეობს „პირელის“ ტესტები, რომელზეც 2014 წლის ჩემპიონატისთვის განკუთვნილ საბურავებს ცდიან. ტესტების მეორე დღე კინაღამ სავალალოდ დასრულდა „მერსედესის“ პილოტ **ნიკო როსბერგისთვის**. გერმანელის თქმით, ერთ მომენტში მის ბოლიდზე წინა საბურავი გამოვიდა მწყობრიდან და მანქანა საათში 320 კილომეტრ სიჩქარეზე მოცურდა.

*„ამ ინციდენტის შემდეგ ტუალეტის ქაღალდი დამჭირდა“,* - დაწერა თავის „ტვიტერზე“ როსბერგმა.

### რედ ბულს ორი ინჟინერი წაართვეს

კონსტრუქტორთა თასის მოქმედმა მფლობელმა „რედ ბულმა“ ორი მნიშვნელოვანი ინჟინერი დაკარგა. ისინი თავის რიგებში „მერსედესმა“ გადაიბირა.

როგორც „ბილდი“ იტყობინება, ერთ-ერთი ინჟინერია დინამიკის განყოფილების შეფი **მარკ ელისი**, მეორე კი სიმულაციის განყოფილების ხელმძღვანელი **ჟილ ვუდი** გახლავთ.

**ოლიმპიზმი**

### კანადის მეთაურიც უარზეა

კანადის პრემიერ-მინისტრი **სტივენ ჰარპერი** არ იქნება ქვეყნის დელეგაციაში, რომელიც სოჭის ოლიმპიადაზე გაემგზავრება. მოგვიანებით გახდება ცნობილი, ოფიციალური პირებიდან ვინ წარმოადგენს კანადას რუსეთში.

*„როგორც წესი, ჰარპერი არ ესწრება ოლიმპიურ თამაშებს,* - ამბობს კანადის პრემიერ-მინისტრის პრესმდივანი **ჯეისონ მაკდონალდი**. - *გამონაკლისი იყო მხოლოდ ვანკუვერის 2010 წლის თამაშები, რადგან კანადა ოლიმპიადას მასპინძლობდა“.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# იაგრის 693

მორიგი სტატისტიკური მიღწევა ჰქონდა გუშინ „ნიუ ჯერსი დევილზის" ჩეხ ვეტერანს **იარომირ იაგრს**. ლეგენდარული ფორვარდი მერვე ადგილზე გადავიდა NHL-ის ყველა დროის სნაიპერებს შორის. 41 წლის ჰოკეისტმა „ოტავასთან" შეხვედრაში კარიერაში 693 შაიბა გაიტანა, რითაც გაუსწრო „დეტროიტის" ლეგენდა **სტივ აიზერმანს**, რომლის ანგარიშზე 692 გოლი მოდის.

„სენატორზის" წინააღმდეგ, ჩეხმა ფორვარდმა მეორე პერიოდის დასაწყისში გაიტანა, რითაც ფაქტობრივად გადაწყვიტა მატჩის ბედი, რადგან ამ მომენტში ანგარიში 3:0 გახდა „დევილზის" სასარგებლოდ.

იაგრისთვის მიმდინარე სეზონი შესანიშნავად მიმდინარეობს. მას 25 მატჩში 12 გოლი და 17 შედეგიანი პასი დაუგროვდა. 2013-14 წლების სეზონის მსვლელობისას, იარომირმა გოლების რაოდენობით გაუსწრო **მარიო ლემიეს** და მალე მეშვიდე ადგილზე გადასვლის კარგი შანსი ექნება - ამ პოზიციაზე მყოფი **მარკ მესიე** იაგრს მხოლოდ ერთი გოლით უსწრებს.


იარომირ იაგრი

**ნიუ ჯერსი-ოტავა 5:2**

2:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ს. ჯონტა-1 (ენრიკე-7, ვოლჩენკოვი-6), 2:0 ბუშე-1 (გელინასი-11, რაიდერი-6), 3:0 იაგრი-12 (ზეიჯაკი-8, ენდი გრინი-12), 3:1 გრინინგი-3 (ზიბანეჯადი-7, ე. კარლსონი-23), 4:1 ბრუნერი-8 (ელიაში-14), 4:2 მ. მიხალეკი-6 (ვირჩიოკი-11), 5:2 გელინასი-4 (ბრუნერი-5, ელიაში-15).

**რეინჯერსი-პიტსბურგი 3:4 (ბ)**

0:0, 1:1, 2:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 კუნიტცი-18 (ი. იოკინენი-13, კროსბი-29), 1:1 პაგელინი-7 (მური-4, ბ. რიჩარდსი-17), 1:2 დუპუი-6 (კროსბი-30, კუნიტცი-17), 1:3 ბ. სატერი-7 (მაატა-7), 2:3 ცუკარელო-7 (მური-5, ფალკი-2), 3:3 ბრასარი-6 (პულიო-5, ცუკარელო-16).
**ბულიტები გაიტანეს:** ბ. სატერი (პიტსბურგი).

ველოსპორტი

# როჯერსს ორი წელი ემუქრება


მაიკლ როჯერსი

კიდევ ერთი ცნობილი ველომრბოლი გამოიჭირეს დოპინგის გამოყენებაში. დანიური საჯინიბოს - Saxo-Tinkoff-ის ერთ-ერთი ლიდერის **მაიკლ როჯერსის** დოპინგსინჯში აღმოჩნდა აკრძალული პრეპარატი. ტესტი 2013 წლის ოქტომბერში ჩატარდა.

ამ მომენტისთვის, ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ A სინჯის შედეგები. მან ველომრბოლის სისხლში კლენბუტეროლის კვალი დააფიქსირა. თუ ეს ნივთიერება აღმოჩნდება B სინჯშიც, მაშინ როჯერსს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. სინჯების ანალიზი ტოკიოს ლაბორატორიაში ჩატარდება. ამ მომენტისთვის, როჯერსი დროებით ჩამოშორებულია პროფესიულ ტურნირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო აფრთხილებდა მრბოლელებს, რომ ჩინეთში არსებობს იქაურ კერძებში კლენბუტეროლის გამოყენების რისკი. სააგენტომ ურჩია სპორტსმენებს „პეკინის ტურის" დროს თავი შეიკავონ ადგილობრივი კერძების მიღებისგან.

ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა გამოაცხადა, რომ იგივე პრეპარატი აღმოაჩინეს 22 წლის ბელგიელის **ჯონათან ბრეინის** სინჯში.

კრივი

# კლიჩკოს ტიტულს პრეტენდენტები გამოუჩნდნენ

ამერიკელი **კრის არეოლა** და კანადელი **ბერმეინ სტივერნი** გაითამაშებენ სუპერმძიმე წონაში WBC-ის ტიტულს, რომელიც ვაკანტური გახდა მას შემდეგ, რაც **ვიტალი კლიჩკოს** „საპატიო ჩემპიონის" ტიტული მიანიჭეს. შეგახსენებთ, რომ ერთი დღით ადრე, უკრაინელმა პროფესიული კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

სტივერნი WBC-ის რეიტინგის პირველი ნომერი გახლავთ, ის აგრეთვე WBC Silver-ის ტიტულის მფლობელია. არეოლა, რომელსაც ეკუთვნის WBC International-ის ტიტული, მეორე ადგილს იკავებს კლასიფიკაციაში. მოკრივეები აპრილში უკვე შეხვდნენ ერთმანეთს ტიტულზე პრეტენდენტის სტატუსისთვის და მაშინ, კანადელმა მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა ამერიკელი.

არეოლამ პროფესიულ რინგზე 39 ბრძოლა ჩაატარა, მოიგო 36 (31 - ნოკაუტით) და სამჯერ დამარცხდა. სტივერნის ანგარიშზეა 25 ბრძოლა, 23 მოგება (20 - ნოკაუტით), ერთი წაგება და ერთი ფრე.


სტივერნი და არეოლა


მაიდანასა და ბროუნერის ბრძოლა

# გაურკვეველი აბი რინგზე

ტეხასის შტატის საკრივო კომისიამ გამოძიება დაიწყო არგენტინელი მოკრივის **მარკო მაიდანას** საქმესთან დაკავშირებით, რომელმაც გასულ უქმეებზე, ამერიკელ **ედრიენ ბროუნერთან** შეხვედრის მსვლელობისას, შესაძლოა, სეკუნდანტის მიერ მიწოდებული გაურკვეველი აბი მიიღო.

ვებგვერდმა TMZ.com-მა გამოაქვეყნა ვიდეოჩანაწერი, რომელიც ტექსასის საკრივო კომისიის მხრიდან განხილვის საგანი გახდა. ჩანაწერში ჩანს, რომ რაუნდებს შორის შესვენებისას, მაიდანას ერთ-ერთმა სეკუნდანტმა ხელსახოცზე დადო საგანი, რომელიც აბს ჰგავდა, შემდეგ ხელსახოცი მოკრივის სახესთან მიიტანა. ვიდეოთი რთულია იმის გარკვევა, გადაყლაპა თუ არა მაიდანამ ეს აბი.

კრივის წესების თანახმად, სეკუნდანტებს თან შეიძლება ჰქონდეთ ნივთები, რომელსაც წინასწარ ამოწმებენ. სამედიცინო პრეპარატები დაშვებულია მხოლოდ ხსნარის სახით. ბრძოლის წინ წყალიც კი მოწმდება.

მაიდანას წარმომადგენელმა **სებასტიან კონტურსიმ** Boxingscene.com-თან ინტერვიუში უარყო თავისი შეგირდის მიმართ ყველანაირი ბრალდება. მისი თქმით, არც მას და არც მაიდანას არავინ დაკავშირებია ტექსასის საკრივო კომისიიდან.

მაიდანასა და ბროუნერის ბრძოლა 14 დეკემბერს, სან ანტონიოში გაიმართა და მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით არგენტინელმა გაიმარჯვა. მან მიიღო WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 66.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში.

30 წლის მაიდანას კარიერაში 38 ბრძოლა აქვს ჩატარებული, აქედან მოიგო 35 (31 -ნოკაუტით) და წააგო სამი შეხვედრა.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი. კონფერენსი | |
|---|---|
| გრიმსბი-კიდერმინსტერი | 3:1 |

| ესპანეთის თასი. 1/16 ფინალი. II მატჩები | |
|---|---|
| ესპანიოლი-რეალ ხაენი | 2:0 (2:2) |
| ვალიეკანო-ვალიადოლიდი | 3:1 (0:0) |
| ვალენსია-ხიმნასტიკი | 1:0 (0:0) |
| ბილბაო-სელტა | 4:0 (0:1) |

| საფრანგეთი. II დივიზიონი | |
|---|---|
| ლანსი-ისტრი | 1:2 |

| ჰოლანდიის თასი. 1/8 ფინალი | |
|---|---|
| გრონინგენი-ნიიმეგენი | 0:1 |
| ისელმეერვოგელსი-აიაქსი | 0:3 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| მარიტიმუ-ბრაგა | 2:2 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| პანიონიოსი-ვერია | 2:1 |
| არისი-ასტერასი | 1:1 |

| თურქეთის თასი. 1/8 ფინალი | |
|---|---|
| ესქისეჰირი-ფეთჰიესპორი | 3:0 |
| შივასი-ნაზილი | 0:0 დ.დ. 2:1 |
| ერჩიესი-ახისარი | 0:1 |
| ბურსა-ინეგოლი | 3:0 |

| კვიპროსის თასი. 1/16 ფინალი | |
|---|---|
| დიგენისი-აპოელ | 2:2 დ.დ. 2:4 |

| ხორვატია | |
|---|---|
| ლოკომოტივა-რიეკა | 0:2 |

| რუმინეთი | |
|---|---|
| ბოტოშანი-გაზ მეთანი | 2:2 |
| სეჯეატა-ბრაშოვი | 0:0 |
| უნივერსიტატეა-ოცელული | 1:0 |
| პანდური-პეტროლული | 0:1 |

| ბულგარეთის თასი. 1/8 ფინალი. II მატჩი | |
|---|---|
| ლევსკი-ცსკა | 0:0 პენ. 7:6 (0:0) |

| ირანი | |
|---|---|
| ესტეგლალი-მალავანი | 0:2 |
| ფაჯრი-გოსტარეში | 0:0 |
| ზობ აჰანი-მეს კერმანი | 1:1 |
| პერსეპოლისი-საიპა | 1:0 |

| ავსტრალია | |
|---|---|
| სენტრალ კოუსტი-ველინგტონი | 1:0 |

| ს. აფრიკა | |
|---|---|
| ლამონტვილი-კაიზერ ჩიფსი | 0:1 |
| ორლანდო-უნივერსიტი | 1:0 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| სტელმეტი-ოლიმპიაკოსი | 80:91 |
| ეფესი-რეალი | 61:86 |
| ბამბერგი-ჟალგირისი | 80:84 |
| პანათინაიკოსი-მაკაბი | 55:68 |
| პარტიზანი-ცსკა | 62:73 |
| ბარსელონა-ბუდიველნიკი | 96:77 |
| ნანტი-ფენერბაჰჩე | 76:95 |
| მონტეპასკი-უნიკახა | 62:64 |

**ჰოკეი**

| ევროტური | |
|---|---|
| რუსეთი-შვედეთი | 3:2 |
| ჩეხეთი-ფინეთი | 2:0 |

TV პროგრამა

**20 დეკემბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. ვოლფსბურგი-შტუტგარტი.
12:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XIII ტური. ეშტორილი-ჟილ ვისენტე.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური. ლევერკუზენი-აინტრახტი.
16:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. დინამო-რაპიდი.
18:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVII ტური. უტრეხტი-ეინდჰოვენი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XIV ტური. პორტო-ოლიალენსე (LIVE).
01:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XIV ტური. სეტუბალი-ბენფიკა (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბელენენსეში.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. X ტური. მონტეპასკი-უნიკახა.
14:30 საჩოგბურთო მიმოხილვა.
15:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ბარსელონა-სელტიკი.
17:00 რაგბი - ლიგის მსოფლიო თასი. ავსტრალია-აშშ.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი.
23:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
00:30 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ოცნების გუნდი. 1992 წელი. II ნაწილი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
13:30 სპორტ-NEWS.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.
18:00 სპორტ-NEWS.
18:30 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. X ტური. პანათინაიკოსი-მაკაბი.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -5 | 8 | (მზე) |
| ქუთაისი | 0 | 11 | (მზე) |
| ბათუმი | 3 | 10 | (მზე) |
| ფოთი | -1 | 9 | (მზე) |
| ზუგდიდი | -3 | 10 | (მზე) |
| გორი | -10 | 6 | (მზე) |
| თელავი | -6 | 7 | (მზე) |
| სიღნაღი | -6 | 6 | (მზე) |
| გუდაური | -13 | -2 | (მზე) |
| ბაკურიანი | -16 | -1 | (მზე) |
| ბორჯომი | -13 | 3 | (მზე) |
| მესტია | -14 | 3 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.3489 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7087 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.7947 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1872 |

ჩოგბურთი

# პეტროვა ავსტრალიას ტოვებს

რუსი ჩოგბურთელი **ნადეჟდა პეტროვა** პირადი მიზეზებით მონაწილეობას არ მიიღებს ავსტრალიის ღია პირველობაში, - დაიწერა ტურნირის მიკრობლოგში „ტვიტერის" ვებგვერდზე.

მიზეზი ყველასთვის კარგად არის ცნობილი. რამდენიმე დღის წინ, ავტოკატასტროფაში დაიღუპა ჩოგბურთელის დედა - **ნადეჟდა ილინა**, რომელიც 1976 წლის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს პრიზიორი იყო მძლეოსნობაში.

უფრო ადრე, იმავე მიზეზით პეტროვამ განაცხადები გამოიტანა ოკლენდისა და ჰობარტის ტურნირებიდან.

31 წლის რუსის ადგილს ძირითად ბადეში ბულგარელი **ცვეტანა პირონკოვა** დაიკავებს.

ავსტრალიის ღია პირველობა 9 იანვარს აიღებს სტარტს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ნადეჟდა პეტროვა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ბილი ჯინ კინგი

# ამერიკული პრესა: გენიალური ობამა

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ სოჭის ოლიმპიადაზე აშშ-ის დელეგაციაში ვერ ვიხილავთ ქვეყნის პრეზიდენტ **ბარაკ ობამას**. ასევე არ გეგმავენ რუსეთში ჩასვლას პირველი ლედი, ვიცე-პრეზიდენტი ან აშშ-ის რომელიმე ყოფილი პრეზიდენტი. ასეთი რამ პირველად ხდება 2000 წლის შემდეგ.

სამაგიეროდ, აშშ-ის დელეგაციაში იქნებიან წარსულის ცნობილი სპორტსმენები, მათ შორის, ჩოგბურთში „დიდი სლემის“ ტურნირების 20-გზის გამარჯვებული **ბილი ჯინ კინგი**.

გაზეთმა USA Today-მ გენიალური სვლა უწოდა ობამას გადაწყვეტილებას - დელეგაციაში სწორედ ბილი ჯინ კინგი შეეყვანა, რადგან ადრე მან ღიად განაცხადა თავისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ. ჰომოსექსუალთა უფლებების დამცველები ამას „ძლიერ გადაწყვეტილებას“ უწოდებენ. ორგანიზაცია All Out-ის აღმასრულებელი დირექტორი **ანდრე ბერქსი** ამბობს: „ეს დელეგაცია არის პუტინის კანონებზე ერთგვარი კრიტიკა...“

უკვე არაერთხელ დავწერეთ იმის შესახებ, რომ ბევრი ქვეყნის ლიდერი თავს არიდებს სოჭში ჩასვლას. ოფიციალურ მიზეზს არავინ ასახელებს, მაგრამ დასავლეთში ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს არის პასუხი რუსეთში ადამიანთა უფლებების დაცვისა და ოპოზიციური ძალების მიმართ რეპრესიის საწინააღმდეგოდ.

# ველური ჰიზერ მილსი

საერთაშორისო პარალიმპიურმა კომიტეტმა (IPC), შესაძლოა, სანქციები გამოიყენოს ბრიტანელი სამთო მოთხილამურის **ჰიზერ მილსის** წინააღმდეგ, რომელმაც შეურაცხმყოფელი ფრაზები ისროლა ამ ორგანიზაციის მიმართ და დაემუქრა მას.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ლეგენდარული „ბითლზის“ წევრის **პოლ მაკარტნის** ყოფილმა მეუღლემ უარი თქვა სოჭში პარალიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე. თავდაპირველად, პრესაში დაიწერა იმის შესახებ, რომ სპორტსმენმა ტრავმის გამო მიიღო ეს გადაწყვეტილება. მაგრამ შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მილსი, რომელსაც მუხლსქვემოთ მარცხენა ფეხი აქვს ამპუტირებული, მომავალ თამაშებზე ვერ გამოიყენებდა პროთეზს, რომლითაც ის, ჩვეულებრივ, სათხილამურო ტრასაზე გადის. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მსგავსი კონსტრუქციის პროთეზმა ვერ გაიარა IPC-ის რატიფიკაცია.

როცა საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებმა მილსს უარის შესახებ აცნობეს, ბრიტანელი „ნამდვილ ველურს“ დაემსგავსა: *„მე ვცდილობდი მისთვის ამეხსნა, რომ ჩვენ წელს არაერთხელ ვთქვით უარი ასეთი მოწყობილობის გამოყენებაზე... ამ სიტყვების შემდეგ, ის აფეთქდა. ზურგზე დამახტა და ყვირილი დაიწყო: „შენ არ იცი მე ვინ ვარ, მე შენს ცხოვრებას ჯოჯოხეთად ვაქცევ!“* - განაცხადა სამთო თხილამურებში IPC-ის კომიტეტის თავმჯდომარე **სილვან მესტრემ**.

ამის შემდეგ, მილსის წარმომადგენელმა გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ყოფილმა მოდელმა *„მოთმინებით მოუსმინა სილვან მესტრეს, შემდეგ სცადა მისთვის აეხსნა, რომ პროთეზის გამოყენება შეიძლება და ჩვეულებრივისგან ის მხოლოდ გარეგნულად არის განსხვავებული. მაგრამ, სილვანმა ჰიზერს ყვირილი დაუწყო, არ ალაპარაკა ბრიტანეთის ნაკრების მწვრთნელი, შეტრიალდა და წავიდა“.*

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო პარალიმპიურმა კომიტეტმა მკვეთრ ფორმაში დაგმო მილსის საქციელი და მას სამარცხვინო უწოდა. ვარაუდობენ, რომ ორგანიზაცია სპორტსმენს 500-დან ათას ევრომდე ჯარიმას გადაახდევინებს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ჰიზერ მილსი


გამოიწერეთ გაზეთი "ლელო" და კიდევ ერთი ნებისმიერი პერიოდული გამოცემა 1 წლით და მიიღეთ საჩუქრად წლის ერთ-ერთი ბესტსელერი წიგნი

პალიტრა მედიის გამოცემები

| დასახელება | ერთეულის ფასი | რაოდენობა 1 წლით | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| გაზეთი "კვირის პალიტრა" | 1,00 | 52 | 52,00 |
| გაზეთი "სიტყვა და საქმე" | 1,00 | 260 | 260,00 |
| გაზეთი "ყველა სიახლე" | 1,00 | 52 | 52,00 |
| ჟურნალი "გზა" | 1,00 | 52 | 52,00 |
| ჟურნალი "რეიტინგი" | 2,00 | 52 | 104,00 |
| ჟურნალი "არსენალი" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "კარიბჭე" | 1,00 | 26 | 26,00 |
| ჟურნალი "ოჯახის მკურნალი" | 1,50 | 26 | 39,00 |
| ჟურნალი "კარუსელი" | 0,80 | 52 | 41,60 |
| ჟურნალი "საბავშვო კარუსელი" | 1,00 | 52 | 52,00 |
| გაზეთი "ლელო" | 0,80 | 260 | 208,00 |
| ჟურნალი "ლელო" | 1,50 | 52 | 78,00 |
| ჟურნალი "ბომონდი" | 5,00 | 12 | 60,00 |
| ჟურნალი "ლიტერატურული პალიტრა" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "ავტობილდი" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "და ქალი" | 2,00 | 12 | 24,00 |
| ჟურნალი "გემრიელი" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "ისტორიანი" | 2,00 | 12 | 24,00 |
| გაზეთი "Georgian Journal" | 2,00 | 52 | 104,00 |



ბესტსელერები
ჩემი საშობაო საუნჯე
ვეფხისტყაოსანი
დესერტების ოქროს წიგნი
ადამიანის სხეულის ილუსტრირებული ატლასი

ELVA.GE პრესა და წიგნები ადგილზე მიწოდებით, ფასნამატის გარეშე ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge



ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი

ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608